დამტკიცებულია

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის

რექტორის ლელა ქელბაქიანის

05/09/2019 წლის №514 ბრძანებით

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დებულება

ქუთაისი, 2019 წელი.

სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულება 3

თავი II. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამები და მათი განხორციელების პირობები 5

თავი III. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცედურები 7

თავი IV. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები და მისდამი წაყენებული მოთხოვნები 11

თავი V. პროგრამის კომიტეტი 12

თავი VI. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა 14

თავი VII. აკადემიური პროგრამების დანომვრის წესი 15

თავი VIII. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა16

თავი IX. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლების წესი და პროგრამის განმახორციელებელიპ ირები 18

თავი X. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების სისტემა 20

თავი XI. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების წესი 24

თავი XII. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლის შედეგების შემფასებელიკომისიების საქმიანობის წესები 30

თავი XIII. უნივერსიტეტის სტუდენტად მიღების პირობები 33

თავი XIV. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება-სწავლის ხელშეკრულება 33

თავი XV. სტუდენტის პირადი საქმე და მისი წარმოების წესი 35

თავი XVI. სტუდენტის სტატუსი 36

თავი XVII. სტუდენტის უფლებები 39

თავი XVIII. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლის შედეგების აღრიცხვა. სტუდენტის ინფორმირება 40

თავი XIX. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების ზოგადი წესი 44

თავი XX. აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების წესი 45

თავი XXI. აკადემიური უმაღლესი განათლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების წესი 45

თავი XXII. აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი და მისი გაცემის წესი 46

თავი XXIII. აკადემიური, მასწავლებელთა და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის თანამშრომლების აკადემიური დატვირთვა 49

თავი XXIV. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა 53

თავი XXV. სტუდენტთა სასწავლო ჯგუფებში გაერთიანების წესი..... 56

თავი XXVI. სასწავლო, კონსულტაციებისა და საგამოცდო ცხრილების შედგენისა და გამოქვეყნების წესები..... 58

თავი XXVII. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტთა სწავლების წესები 62

თავი XXVIII. უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების პროგრამებით სწავლის საფასური და მისი გადახდის წესი..... 63

თავი XXIX. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლის წლიური საფასურის ფასდაკლებები. მათი შემოღების წესი 69

თავი XXX. საუნივერსიტეტო სტიპენდიები, მათი მინიჭებისა და გაცემის წესი 70

თავი XXXI. უნივერსიტეტის სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და განხორციელების წესი..... 72

თავი XXXII. უნივერსიტეტის მსმენელად მიღების წესი ..... **Error! Bookmark not defined.**

თავი XXXIII. უნივერსიტეტის მსმენელთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა 79

თავი XXXIV. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების საფასური და მისი გადახდის წესი 81

თავი XXXV. დებულების და მისი ცვლილებების დამტკიცებისა და ძალაში შესვლის წესი 81

თავი I. ზოგადი დებულება

1.1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დებულება, „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ კანონების, მათი შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის წესდებისა და შინაგანაწესის საფუძველზე, აწესრიგებს ურთიერთობებს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებს, ხელმძღვანელებს, სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის შპს ქუთაისის უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლებისა და მოკლევადიანი სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში.

1.2. აკადემიური უმაღლესი განათლების თითოეული პროგრამა წარმოადგენს შემადგენელი ნაწილების - კომპონენტების ერთობლიობას.

1.3. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ყოველი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ჩამონათვალი, სასწავლო კომპონენტების

ლოგიკური თანმიმდევრობითი ერთობლიობა, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები განისაზღვრება პროგრამის აღწერით - კურიკულუმით.

1.4. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტის მიზნები, ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებული შემადგენელი ელემენტები, სწავლების კალენდარული გეგმა, სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები დაწვრილებით აღიწერება ამ კომპონენტის სილაბუსით.

1.5. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის პროგრამის კურიკულუმი და პროგრამის კომპონენტის სილაბუსი დგება „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" შესაბამისად. მეთოდოლოგიას ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

1.6. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების პროგრამის კურიკულუმს და პროგრამის კომპონენტების სილაბუსებს ამტკიცებს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო შპს ქუთაისის უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

1.7. ამ დებულების პუნქტები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან კანონმდებლობას, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის წესდებას ან შინაგანაწესს, სავალდებულოა შესასრულებლად შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ყველა ხელმძღვანელის, თანამშრომლისა და სტუდენტისათვის.

1.8. შპს ქუთაისის უნივერსიტეტი ვალდებულია, წინამდებარე დებულება და მისი ყველა ცვლილება, ძალაში შესვლამდე, გააცნოს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს. ამ მიზნით დებულება და მისი ცვლილებები, ძალაში შესვლამდე არანაკლებ 10 დღით ადრე, ქვეყნდება შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

1.9. წინამდებარე დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აკადემიური საბჭო - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;

ბ) ბაკალავრიატი - აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის, მთავრდება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით;

გ) დოქტორანტი - სტუდენტი, რომელიც სწავლობს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით;

დ) დოქტორანტურა - აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით;

ე) მაგისტრანტი - სტუდენტი, რომელიც სწავლობს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით;

ვ) მაგისტრატურა - აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე - პირის მომზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის, მთავრდება მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით;

ზ) მსმენელი - პირი, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტის სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით;

თ) პარტნიორთა საერთო კრება, პარტნიორთა კრება - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის პარტნიორთა საერთო კრება;

ი) პროგრამა - აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის, მათ შორის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც ახორციელებს შპს ქუთაისის უნივერსიტეტი;

კ) რექტორი - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი;

ლ) სამედიცინო განათლების პროგრამა – ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან;

მ) სასერტიფიკატო პროგრამები - მოკლევადიანი აკადემიური უმაღლესი განათლების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისაგან განსხვავებული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც არაა აკრძალული კანონმდებლობით და რომელთა განხორციელება არ რეგულირდება კანონმდებლობით, მათ შორის დაწესებულების ავტორიზაციის ან/და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებით;

ნ) სტრუქტურული ქვედანაყოფი - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული;

ო) სტუდენტი - ფიზიკური პირი, რომელიც სწავლობს შპს ქუთაისის უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით ან შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი ან დოქტორანტურის ერთობლივი პროგრამის ან სტუდენტთა გაცვლის პროგრამის ფარგლებში დროებით სწავლობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

პ) უნივერსიტეტი - შპს ქუთაისის უნივერსიტეტი;

ჟ) ფაკულტეტი - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტი;

რ) შინაგანაწესი - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის შინაგანაწესი;

ს) წესდება - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის წესდება.

თავი II. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამები და მათი განხორციელების პირობები

2.1 უნივერსიტეტი უფლებამოსილია, განახორციელოს სტუდენტთა სწავლება აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით მხოლოდ მაშინ, როცა მოპოვებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. სტატუსი დასტურდება შესაბამისი ჩანაწერით საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში,

რომელსაც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აწარმოებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

2.2. უნივერსიტეტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ავტორიზაცია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

2.3. ავტორიზაციის პროცედურას, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი პირობებითა და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 01.10.2010 № 99/ნ ბრძანებით დადგენილი წესით, ახორციელებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ავტორიზაციის ვადაა 6 წელი.

2.4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამები განახორციელოს მხოლოდ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 10.12.2010 № 120/ნ ბრძანებით განსაზღვრული მიმართულებების, დარგების / სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციების ჩამონათვალის კვალიფიკაციათა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით.

2.5. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება განხორციელდეს აკრედიტაციით ან მის გარეშე. ამ თავით განსაზღვრულია აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა აკრედიტაციის გარეშე განხორციელება დაუშვებელია.

2.6. აკრედიტაცია არის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცედურა, რომელსაც, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი პირობებით და „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04.05.2011 № 65/ნ ბრძანებით დადგენილი წესით, ახორციელებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადაა 7 წელი.

2.7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, განახორციელოს აკადემიური უმაღლესი განათლების დოქტორანტურის მხოლოდ აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები.

2.8. აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები რეგულირებად სპეციალობებში (იურიდიული, პედაგოგიური, სამედიცინო, საზღვაო, ვეტერინარიის), აგრეთვე მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, სამედიცინო/სტომატოლოგიური საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მათი აკრედიტების შემდეგ.

2.9. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, გარდა ამ თავის 2.7-2.8 პუნქტებით გათვალისწინებული პროგრამებისა,

დასაშვებია მათი აკრედიტაციის გარეშეც, იმის გათვალისწინებით, რომ არააკრედიტებული პროგრამების სტუდენტები სწავლის სახელმწიფო დაფინანსებას ვერ მიიღებენ.

თავი III. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცედურები

3.1. აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება გულისხმობს უნივერსიტეტის აკადემიური, მასწავლებელთა და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის მიერ სტუდენტთა სწავლებას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით, ამ დებულებით განსაზღვრულ ვადებში, ამავე დებულებით გათვალისწინებული პროცედურებით.

3.2. თითოეული პროგრამა წარმოადგენს შემადგენელი ნაწილების - კომპონენტების ერთობლიობას. შესაბამისად, პროგრამის განხორციელება ნიშნავს მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის ცალ-ცალკე განხორციელებას.

3.3. პროგრამის კომპონენტი შეიძლება იყოს სასწავლო (სასწავლო კურსები, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი, სადოქტორო სემინარის ნაშრომი) ან სამეცნიერო-კვლევითი (სამაგისტრო ნაშრომი, დისერტაცია).

3.4. ბაკალავრიატის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა შედგება მხოლოდ სასწავლო კომპონენტებისაგან. ესენია:

ა) სასწავლო კურსები,

ბ) სასწავლო მოდულები - სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული კომპონენტები, რომლებიც სისტემურად, ურთიერთკავშირებისა და სწავლების თანმიმდევრობის გათვალისწინებით, აერთიანებს მონათესავე სასწავლო კურსებს;

გ) პროფესიული პრაქტიკა;

დ) საბაკალავრო ნაშრომი.

3.5. მაგისტრატურის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტებსა და ერთ სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. ესენია:

ა) სასწავლო კურსები (სასწავლო კომპონენტები);

ბ) პროფესიული პრაქტიკა (სასწავლო კომპონენტი);

გ) სამაგისტრო ნაშრომი (სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი).

3.6. დოქტორანტურის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტებსა და ერთ სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. ესენია:

ა) სასწავლო კურსები (სასწავლო კომპონენტები);

ბ) პედაგოგიური პრაქტიკა (სასწავლო კომპონენტი);

გ) სადოქტორო სემინარების ნაშრომები (სასწავლო კომპონენტები);

დ) დისერტაცია (სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი).

3.7. ყოველი პროგრამის თითოეული კომპონენტის განხორციელება მოიცავს მის სწავლა-სწავლებასა და ამ კომპონენტის სწავლით სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგის დონის შეფასებას (სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება).

3.8. აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ერთსაფეხურიანი სამედიცინო განათლებისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება რამოდენიმე აკადემიური წლის განმავლობაში.

3.9. აკადემიური წელი არის დროის უწყვეტი პერიოდი, რომელიც მოიცავს 12 კალენდარულ თვეს.

3.10. აკადემიური წელი შედგება 2 - საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრისაგან და სემესტრებს შორის შესვენების პერიოდების - არდადეგებისაგან. შესვენების პერიოდი საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებს შორის არის ზამთრის არდადეგები, ხოლო შესვენების პერიოდი საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრებს შორის - ზაფხულის არდადეგები.

3.11. სემესტრი არის აკადემიური წლის ნაწილი, რომლის დროსაც მიმდინარეობს პროგრამის კომპონენტების განხორციელება - სწავლა-სწავლება და სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება.

3.12. აკადემიური წელი, გარდა მაგისტრატურის და ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამების პირველი აკადემიური წლისა, იწყება კალენდარული წლის სექტემბრის მე-3 ორშაბათს.

3.13. საშემოდგომო სემესტრი, გარდა მაგისტრატურის და ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამებით სწავლება-სწავლის პირველი აკადემიური წლის საშემოდგომო სემესტრისა, იწყება აკადემიური წლის დაწყებისას - სექტემბრის მე-3 ორშაბათს და მოიცავს 21 კვირას.

3.14. მაგისტრატურის პროგრამებით სწავლება-სწავლის პირველი აკადემიური წლის საშემოდგომო სემესტრი იწყება ამავე აკადემიური წლის 4 ოქტომბრის მომდევნო ორშაბათს და მოიცავს 19 კვირას.

3.15. ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების ინგლისურენოვანი პროგრამის აკადემიური წლისა და სემესტრების ვადები ყოველწლიურად განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

3.16. საგაზაფხულო სემესტრი იწყება აკადემიური წლის თებერვლის მე-3 ორშაბათს და მოიცავს 22 კვირას.

3.17. სემესტრი შედგება სასწავლო და საგამოცდო კვირებისაგან.

3.18. სასწავლო კვირა შედგება სასწავლო და დასვენების დღეებისაგან.

3.19. სასწავლოა დღე, რომელიც მოიცავს ერთ ან რამოდენიმე საკონტაქტო საათს. სასწავლო კვირის სტანდარტული სასწავლო დღეებია უნივერსიტეტის შინაგანაწესის XII თავით განსაზღვრული სტანდარტული სამუშაო დღეები.

3.20. პროგრამის თითოეული კომპონენტის სწავლა-სწავლება ხორციელდება საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებში. საკონტაქტო საათი არის პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის (ლექტორი, მასწავლებელი, ხელმძღვანელი) ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო, დამოუკიდებელი საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო.

3.21. სტანდარტული სასწავლო დღეებია კვირის დღეები (გარდა უქმე დღეებისა) ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

3.22. სტუდენტთა ან სასწავლო კურსის ლექტორის/მასწავლებლის ინტერესის გათვალისწინებით დასაშვებია, სასწავლო კურსების სასწავლო დღეებად შაბათის დადგენა რექტორის ბრძანებით. ამ შემთხვევაში იმ სტუდენტებისა და სასწავლო კურსის ლექტორების/მასწავლებლებისათვის, რომლებისთვისაც შაბათი ან/და კვირა სასწავლო დღედ დადგინდა, რექტორის ბრძანებით დასვენების დღედ/დღეებად კვირის სხვა დღე/დღეები გამოიყოფა.

3.23. საგამოცდო კვირებში მიმდინარეობს სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება.

3.24. აკადემიური წლის დაწყებამდე, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე, რექტორი ამტკიცებს აკადემიურ კალენდარს, რომლითაც განისაზღვრება დამდეგი აკადემიური წლის, მისი სემესტრებისა და არდადეგების, თითოეულ სემესტრში საგამოცდო კვირების დაწყებისა და დამთავრების ზუსტი თარიღები. აკადემიური კალენდრის პროექტს ამზადებს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური.

3.25. ყოველგვარი აქტიურობა, რომელიც ითვალისწინებს საკონტაქტო საათებში უშუალო ურთიერთობებს პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირსა (ლექტორი, მასწავლებელი, ხელმძღვანელი) და სტუდენტს შორის, გარდა ურთიერთობებისა სტუდენტსა და სასწავლო/პროფესიული პრაქტიკის ხელმძღვანელს შორის უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე ან ურთიერთობისა სტუდენტსა და მის ხელმძღვანელს შორის სამეცნიერო/საველე კვლევის ობიექტზე კვლევითი კომპონენტის განხორციელებისას, დასაშვებია მხოლოდ უნივერსიტეტის შენობაში, ამ თავით გათვალისწინებული სასწავლო დღის განმავლობაში. ეს წესი არ ვრცელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისა და სწავლების განმახორციელებელი პირის ურთიერთობებზე ამ დებულების XXVII თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3.26. დრო, რომელიც სტუდენტმა უნდა დახარჯოს პროგრამის კომპონენტის სწავლაზე (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ერთობლიობა) - სტუდენტის სასწავლო დატვირთვა - იზომება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) სპეციალური ერთეულებით - კრედიტებით.

3.27. ერთი კრედიტი ყველა უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამაზე, გარდა ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამისა მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამის შემთხვევაში - 30 საათს.

3.28. აკადემიური წლის განმავლობაში სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არის პროგრამის ამავე პერიოდში სასწავლი კომპონენტების სწავლაზე გათვალისწინებული კრედიტების ჯამი.

3.29. პროგრამის განხორციელების მთელ პერიოდში სტუდენტის სასწავლო დატვირთვა აკადემიური წლის განმავლობაში უნდა იყოს საშუალოდ 60 კრედიტი და არ აღემატებოდეს 75 კრედიტს.

3.30. უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობა კრედიტებით შემდეგნაირადაა გამოხატული:

3.30.1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს.

3.30.2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი პრინციპით:

ა) ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;

ბ) ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;

3.30.3. სამაგისტრო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება 120 კრედიტის ოდენობით, სადაც სამაგისტრო ნაშრომის წილი შესაძლოა იყოს 20-30 კრედიტი.

3.30.4.დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს;

3.30.5.დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის/კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს.

3.30.6. ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამის მოცულობა განისაზღვრება 360 კრედიტით.

3.30.7. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების და კრედიტების განაწილება უნდა მოხდეს დარგობრივი სტანდარტის შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში).

3.30.8. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

3.31. სტუდენტის წლიური სასწავლო დატვირთვის ნორმის გათვალისწინებით უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა:

ა) ბაკალავრიატის პროგრამებით - 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი);

ბ) მაგისტრატურის პროგრამებით - 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი);

გ) ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამით - 6 აკადემიური წელი (12 სემესტრი);

დ) დოქტორანტურის პროგრამებით - 3 აკადემიური წელი (6 სემესტრი).

3.32. თუ სტუდენტი ვერ დაამთავრებს სწავლას აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის ამ დებულების 3.31 პუნქტით განსაზღვრულ სტანდარტულ ვადაში, უფლება აქვს, გაახანგრძლივოს აკადემიური უმაღლესი განათლების იგივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა ამ დებულებით გათვალისწინებული პირობებით:

ა) ბაკალავრიატის პროგრამით - არაუმეტეს 4 სემესტრით;

ბ) მაგისტრატურის პროგრამით - არაუმეტეს 2 სემესტრით;

გ)ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამით - არაუმეტეს 6 სემესტრით;

დ) დოქტორანტურის პროგრამით - არაუმეტეს 6 სემესტრით.

3.33. ამ თავის 3.31-3.32 პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში არ ითვლება სემესტრები, რომლებშიც სტუდენტს შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

3.34. პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური, მასწავლებელთა ან მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის თანამშრომელი. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირი შეიძლება იყოს აგრეთვე პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, მასწავლებელთა ან მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის თანამშრომელი ან პარტნიორი სამეცნიერო-

კვლევითი დაწესებულების მეცნიერი თანამშრომელი. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ამ პირთა მიმართ დადგენილია შინაგანაწესით.

3.35. ყველა პროგრამის სასწავლო კომპონენტის - სასწავლო კურსის - სწავლა-სწავლება, როგორც წესი, ხორციელდება ჯგუფურად - სტუდენტთა ჯგუფებში. გამონაკლისი - სწავლება ინდივიდუალურად, სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, დასაშვებია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის, ამ დებულების XXVII თავით დადგენილი წესით.

3.36. პროგრამის ერთიდაიგივე კომპონენტის სწავლა-სწავლება (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით) და სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ყველა სტუდენტისათვის უნდა განხორციელდეს ერთნაირი პირობებით - ერთიდიგივე მეთოდების გამოყენებით.

3.37. ნებისმიერი პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტი ისწავლება ერთი სემესტრის განმავლობაში.

3.38. პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ქართულ ან უცხოურ ენაზე.

3.39. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

3.40. უცხოურ ენაზე დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება ქართულენოვან ანალოგთან ერთად ალტერნატივის სახით.

3.41. სასწავლო კურსების სწავლების თავისებურებიდან გამომდინარე შესაძლებელია მათი სწავლება განხორციელდეს კურაციის ფორმატით და სასწავლო პროცესის მიმდინარეობა აისახება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

თავი IV. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები და მისდამი წაყენებული მოთხოვნები

4.1. პროგრამის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის მქონე ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პირი, რომელიც ამავე პროგრამის ერთი ან რამოდენიმე სასწავლო კურსის ლექტორია. იგი არის პროგრამის კომიტეტის თავმჯდომარე.

4.2. გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის აუცილებლობა.

4.3. პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე, ქართველი ან უცხოელი, ხელმძღვანელი.

4.4. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს ძირითად საკონტაქტო პირს, რომელიც მონაწილეობს პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის პროცესში, პროგრამის სრულყოფის მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელი ეცნობა შედეგებს, რეაგირებს მათზე, აანალიზებს და აფასებს მათ. იგი პასუხისმგებელია აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე.

4.5. პროგრამის ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

4.5.1. აკადემიური ხარისხი (საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულების/დარგის შესაბამისად);

4.5.2. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულების/დარგის შესაბამისად (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

4.5.3. პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება (მათ შორის უმაღლესი განათლების სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების ცოდნა, კომპიუტერული უნარების ფლობა, სასურველია, უცხო ენის (პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე) ცოდნა;

4.6. პროგრამის ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი.

4.7. პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილება შეწყდება მისივე სურვილით ან თუ იგი:

4.7.1. აღარ ასწავლის არცერთ კომპონენტს აკადემიური უმაღლესი განათლების მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;

4.7.2. დაიკავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლის თანამდებობას ან გახდება სხვა პროგრამის ხელმძღვანელი.

4.7.3. არ/ვერ ასრულებს ან არასათანადოდ ასრულებს ამ თავით გათვალისწინებულ მოვალეობებს.

თავი V. პროგრამის კომიტეტი

5.1. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ნებისმიერი სასწავლო/კვლევითი კომპონენტის განმახორციელებელი ყველა პირი ერთიანდება მუდმივმოქმედ კოლეგიურ ორგანოში - ამ პროგრამის კომიტეტში.

5.2. პროგრამის კომიტეტის შემადგენლობას აკადემიური წლის დაწყებამდე ბრძანებით ამტკიცებს დეკანი. ბრძანების პროექტს ადგენს ფაკულტეტის მდივანი.

5.3. აკადემიური, მასწავლებელთა და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის თანამშრომელი, თუ იგი ახორც იელებს ერთიდაიგივე ან სხვადასხვა კომპონენტებს აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის ან/და მაგისტრატურის რამოდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, არის ყველა ამ პროგრამის კომიტეტის წევრი.

5.4. პროგრამის კომიტეტის შემადგენლობაში ასევე შედის ამ პროგრამის ერთი სტუდენტი, რომელსაც ირჩევენ თავად სტუდენტები.

5.5. პროგრამის კომიტეტის წევრს პროგრამის კომიტეტის თავმჯდომარის უფლებამოსილება ენიჭება და უუქმდება დეკანის ბრძანებით ასეთი ბრძანების გამოცემის მიზეზის წარმოშობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. ბრძანების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის მდივანი.

5.6. პროგრამის კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს თავის სხდომებზე ღია კენჭისყრით, სხდომის მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია პროგრამის კომიტეტის თავმჯდომარის ხმა.

5.7. პროგრამის კომიტეტის სხდომას იწვევს მისი თავმჯდომარე საკუთარი, დეკანის ან პროგრამის კომიტეტის წევრთა 1/3-ის ინიციატივით.

5.8. თავმჯდომარე პროგრამის კომიტეტის სხდომაზე იწვევს კომიტეტის ყველა წევრს მათთვის წერილობით მოწვევის დაგზავნის გზით ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მოწვევაში მითითებული უნდა იყოს სხდომის გამართვის თარიღი, ადგილი, დღის წესრიგი და რეკომენდაციები დღის წესრიგის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მისაღებად. მოსაწვევები იგზავნება სხდომის გამართვამდე, სულ ცოტა, 3 დღით ადრე.

5.9. სხდომა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ ესწრება კომიტეტის თავმჯდომარე და კომიტეტის სხვა წევრთა უმრავლესობა. სხდომაზე ყოფნისა და აზრის გამოთქმის უფლება აქვთ რექტორს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დეკანს და ფაკულტეტის დეპარტამენტების ხელმძღვანელებს.

5.10. პროგრამის კომიტეტის საქმიანობას ორგანიზაციულად და მატერიალურად უზრუნველყოფს დეკანის ოფისი.

5.11. პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმს და გადაწყვეტილების პროექტს აწარმოებს სხდომის მდივანი, რომელსაც სხდომის მონაწილეთაგან ირჩევს სხდომა. ოქმი უნდა შედგეს სხდომის გამართვის დღესვე. ოქმს ხელს აწერენ პროგრამის კომიტეტის თავჯდომარე და სხდომის მდივანი. ასეთი დავალების შეუსრულებლობა კომიტეტის წევრის მხრიდან ან უარის თქმა მის შესრულებაზე განიხილება შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევად. ოქმი ხელმოწერისთანავე გადაეცემა დეკანს, რომელთანაც იგი მუდმივად ინახება. დეკანი ვალდებულია, მოთხოვნისთანავე მისცეს პროგრამის კომიტეტის ნებისმიერი ოქმის დამოწმებული ასლი კომიტეტის წევრებს, რექტორს, დეკანს, ფაკულტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, საზოგადოების სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს.

5.12. პროგრამის კომიტეტი:

ა) გამოდის აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის ცვლილებათა ინიციატივით და ამზადებს ასეთ ცვლილებათა პროექტს;

ბ) რექტორის დავალებით ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამის ცვლილებებთან დაკავშირებით;

გ) განიხილავს და შესაბამის დასკვნას წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიერ წინა უნივერსიტეტში ათვისებული კრედიტების აღიარების საკითხის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია გამოითხოვოს შესაბამისი საგნის სილაბუსი;

დ) უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშის მომზადების ფარგლებში ამზადებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს ინფორმაციას პროგრამის შესახებ;

ე) ადგენს უნივერსიტეტის მიერ მაგისტრანტობის და დოქტორანტობის კანდიდატებისათვის ჩასატარებელი სამაგისტრო და სადოქტორო გამოცდის საკითხებს, ამ საკითხების მიხედვით შედგენილ საგამოცდო დავალებებს (ბილეთებს) და გამოცდის შედეგების შეფასების ინსტრუქციას;

ვ) ამზადებს პროგრამის სტუდენტის სემესტრული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს;

ზ) ადგენს პროგრამის კომპონენტების შეფასების სისტემაში შუალედური და დასკვნითი გამოცდების მინიმალური კომპეტენციების ზღვრებს, შუალედური შეფასების კომპონენტებს შორის ქულათა გადანაწილებას;

თ) ამზადებს დასკვნას ფაკულტეტის დოქტორანტის კოლოქვიუმის ნაშრომისა და სამეცნიერო ფორუმზე მისი მოხსენების შესახებ;

ი) სტრატეგიული განვითარების, ინტერნაციონალიზაციისა და კვლევების ხელშეწყობის სამსახურთან ათანხმებს გაცვლითი პროგრამის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნივერსიტეტის სტუდენტის სწავლის ხელშეკრულების პროექტს.

კ) პროგრამის კომიტეტის გადაწყვეტილებას იღებს შუალედური შეფასების კომპონენტებს შორის ქულათა გადანაწილების, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის განსაზღვრის შესახებ, იმ პირობით, რომ მინიმალური კომპეტენციების ჯამი არ უნდა იყოს 41 ქულაზე ნაკლები.

5.13. პროგრამის კომიტეტის წევრთა მონაწილეობას აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის მომზადება-მოდერნიზაციაში აფასებს პროგრამის კომიტეტის თავმჯდომარე.

5.14. პროგრამის კომიტეტი უფლებამოსილია, შეიმუშაოს და განსახილველად წარუდგინოს ფაკულტეტის საბჭოს წინადადებები უნივერსიტეტის ან/და ფაკულტეტის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

თავი VI. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

6.1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს სტუდენტთა შემდგომი განათლების შესაძლებლობა.

6.2. უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა უქმდება:
ა) უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებისას;
ბ) პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებისას;
გ) უნივერსიტეტის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისას;
დ) უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით;
ე) პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით;

6.3. პარტნიორთა კრებამ პროგრამა შეიძლება გააუქმოს:
ა) მისი განხორციელების არადამაკმაყოფილებელი ხარისხის გამო;
ბ) პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და სხვა რესურსების არარსებობის გამო;
გ) მისი გაგრძელების მიზანშეუწონლობის გამო ფინანსური მომგებიანობის თვალსაზრისით;
დ) პროგრამის კურსდამთავრებულებისადმი ბაზრის მოთხოვნის არარსებობის გამო;
ე) ან სხვა არგუმენტირებული მიზეზის გამო.

6.4. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, მისი განხორციელება წყდება მიზეზის შესაბამისი სამართლებრივი აქტის კანონიერ ძალაში შესვლის მომდევნო სამუშაო დღიდან.

6.5. თუ აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა უქმდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, პროგრამის განხორციელების შეწყვეტამდე უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ამ პროგრამის ყველა სტუდენტისათვის შესაძლებლობა:
ა) სწავლა გააგრძელოს იგივე პირობებით, მათ შორის სწავლის საფასურად რაიმე დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულების გარეშე, უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე;
ბ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმების პირობებით სწავლა გააგრძელოს ამ დაწესებულებების აკადემიური უმაღლესი განათლების ისეთ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის დასრულების შემდეგაც კურსდამთავრებული იღებს იგივე კვალიფიკაციას, რომელსაც მიიღებდა შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ გაუქმებული პროგრამის კურსდამთავრებული;

6.6. სტუდენტთა სხვა უნივერსიტეტში მობილობისას უნდა მოხდეს:
ა) სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დროული ინფორმირება სტუდენტთა დახმარებისთვის ცენტრის მხრიდან საჭირო ჩართულობის უზრუნველსაყოფად;

ბ) სტუდენტების დროული ინფორმირება, რათა მათ ჰქონდეთ არჩევანისთვის საჭირო გონივრული ვადა;
გ) მიმღები უნივერსიტეტისთვის სტუდენტის მიერ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტში“ მიღებული განათლების შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის დროული მიწოდება;

6.7. მემორანდუმი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან უნდა ითვალისწინებდეს:
ა) გაუქმებული პროგრამით სწავლის პერიოდში შპს „ქუთაისის უნივერსიტეტში“ მოპოვებული კრედიტების აღიარების ზუსტ პირობებს;
ბ) მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის საფასურად დამატებით (იმაზე გადამეტებით, რაც სტუდენტს უნდა გადაეხადა შპს „ქუთაისის უნივერსიტეტისათვის“ გაუქმებული პროგრამით სწავლის სტანდარტულ ვადაში, სტანდარტული პირობებით დასრულების შემთხვევაში) გადასახდელი თანხების უნივერსიტეტის მიერ ანაზღაურების წესს.

6.8. თუ აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა უქმდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, გადაწყვეტილების მიღებიდან მეორე დღეს წყდება პროგრამაზე სტუდენტთა მიღება, ხოლო პროგრამის განხორციელება წყდება საერთო კრების მიერ დადგენილი დღიდან, მაგრამ არაუადრეს მიმდინარე სემესტრის დასრულებისა.

6.9. პარტნიორთა კრების იმ სხდომის ოქმის დამოწმებულ ასლებს, რომელმაც გააუქმა აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა, რექტორი, არაუგვიანეს ოქმის შედგენის მომდევნო სამუშაო დღისა, გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ფაკულტეტის დეკანს, რომელიც შესაბამის ინფორმაციას დაუყოვნებლივ განათავსებს საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

6.10. რექტორი პროგრამის გაუქმებისა და განხორციელების შეწყვეტის თარიღებისა და განხორციელების შეწყვეტის პირობების შესახებ წერილობით აცნობებს სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს“ ოქმის ასლის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

თავი VII. აკადემიური პროგრამების დანომვრის წესი

7.1. აკადემიური უმაღლესი განათლების ყველა საგანმანათლებლო პროგრამა და მისი შემადგენელი ყველა კომპონენტი ინომრება. პროგრამისა და მისი კომპონენტების ნომრები აისახება პროგრამის კურიკულუმში და კომპონენტების სილაბუსებში.

7.2. პროგრამის ნომერი წარმოადგენს შემდეგ კოდს:

FF X PP KK,

სადაც FF ფაკულტეტის ნომერია (მაგალითად, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის ნომერია 01),

X - აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურის ინდექსი („B“ - ბაკალავრიატი, „M“ - მაგისტრატურა, „D“ - დოქტორანტურა, “DM” - ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამა),

PP - საგანმანათლებლო პროგრამის ორციფრიანი ინდექსი (პირველი პროგრამის ინდექსია „01“, შემდეგი პროგრამისათვის ინდექსი იზრდება ერთით და ა.შ.),

7.3. პროგრამის კომპონენტის ნომერი წარმოადგენს შემდეგ კოდს:

D KKK X,

სადაც D იმ დეპარტამენტის ინდექსია, რომელიც პასუხისმგებელია მოცემული კომპონენტის სწავლებაზე (მაგალითად, E - ეკონომიკისა და ბიზნესის),

KKK - კომპონენტის სამციფრიანი ინდექსი მოცემული დეპარტამენტის კომპონენტების ფარგლებში (პირველი კომპონენტის ინდექსია „001“, შემდეგი კომპონენტის ინდექსი იზრდება ერთით და ა.შ.),

X - აკადემიური უმაღლესი განათლების იმ საფეხურის ინდექსი, რომელზეც ისწავლება კომპონენტი („B“ - ბაკალავრიატი, „M“ - მაგისტრატურა, „D“ - დოქტორანტურა, “DM” - ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამა).

7.4. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმებისა და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების დედნები ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

7.5. ფაკულტეტის დეკანის ოფისი, შპს “ქუთაისის უნივერსიტეტის” აკადემიური უმაღლესი განათლების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფარგლებში, აწარმოებს უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების და მათი კომპონენტების ელექტრონულ რეესტრებს.

7.6. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ელექტრონულ რეესტრში შეიტანება:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური;

ბ) პროგრამის დასახელება;

გ) პროგრამის ნომერი;

დ) აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების თარიღი;

ე) აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის ბოლო ცვლილების დამტკიცების თარიღი;

ვ) პროგრამის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის თარიღი;

ზ) პროგრამის სტატუსი (მოქმედი, გაუქმებული, ასამოქმედებელი);

თ) სწავლის სტანდარტული და მაქსიმალური ხანგრძლივობა სემესტრებში;

ი) პროგრამის შესაბამისი კრედიტები და კრედიტების განაწილება სავალდებულო და ასარჩევ კომპონენტებს შორის;

კ) პროგრამის კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია.

7.7. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტების ელექტრონულ რეესტრში შეიტანება:

ა) კომპონენტის კოდი;

ბ) კომპონენტის დასახელება;

გ) კომპონენტის სტატუსი (აქტიური, გაუქმებული);

დ) სტატუსის ბოლო შეცვლის თარიღი;

ე) აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური;

ვ) სწავლების ფორმა (ჯგუფურად, ინდივიდუალურად);

ზ) სწავლების სემესტრი (საშემოდგომო, საგაზაფხულო, ორივე);

თ) კომპონენტის სწავლით ასათვისებელი კრედიტები;

ი) სწავლის ხანგრძლივობა საათებში, საათების განაწილება საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებად;

კ) კომპონენტის სწავლის შედეგის შეფასების ქულების განაწილება შეფასების ფორმებს და კომპონენტებს შორის;

ლ) პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა ფარგლებშიც ისწავლება კომპონენტი და მისი სტატუსი თითოეულ პროგრამაში (სავალდებულო, არჩევითი);

მ) კომპონენტის განმახორციელებელი პირების სახელი და გვარი და თითოეული მათგანის სტატუსი (ლექტორი, მასწავლებელი, ხელმძღვანელი).

თავი VIII. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა

8.1. ბაკალავრიატის ყოველი საგანმანათლებლო პროგრამა შედგება:

ა)

- ძირითადი სპეციალობისგან (major), რომელიც მოიცავს სასწავლო კურსებს, პროფესიული პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომს;
- დამატებითი სპეციალობისგან (minor), რომელიც მოიცავს მხოლოდ სასწავლო კურსებს (ვრცელდება არსებულ სასწავლო კურსებზე)

ბ)

- ძირითადი სპეციალობისგან (major), რომელიც მოიცავს სასწავლო კურსებს, პროფესიული პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომს;
- თავისუფალი კომპონენტებისგან;

8.2. ამ თავის 8.1 პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობის და დამატებითი სპეციალობის/თავისუფალი კომპონენტები წარმოადგენენ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დამოუკიდებელ თანმიმდევრულ ნაწილებს, რომლებიც აერთიანებენ მონათესავე სასწავლო კურსებსა და სხვა კომპონენტებს. მასში განსაზღვრულია ამ სასწავლო კურსების/კომპონენტების ურთიერთკავშირები და სწავლების თანმიმდევრობა.

8.3. დამატებითი სპეციალობაზე სწავლის შედეგად სტუდენტს არ ენიჭება დამატებითი აკადემიური ხარისხი ან კვალიფიკაცია. აღნიშნულ სპეციალობაზე ნასწავლი სასწავლო კურსები და მათი სწავლის შედეგების შეფასებები აისახება დიპლომის დანართში.

8.4. დამატებითი სპეციალობა არჩევითია - სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს რამოდენიმე შესაძლებლიდან.

8.5. ბაკალავრიატის ძირითადი სპეციალობის მოცულობა არ უნდა იყოს 120 კრედიტზე ნაკლები და 180 კრედიტზე მეტი.

8.6. ბაკალავრიატის დამატებითი სპეციალობის/თავისუფალი კომპონენტების მოცულობაა 60 კრედიტი.

8.7. ბაკალავრიატის პროგრამების ძირითადი სპეციალობის შემადგენელი სასწავლო კურსები შეიძლება იყოს სავალდებულო ან არჩევითი. დამატებითი სპეციალობის ყველა არჩეული სასწავლო კურსი სავალდებულოა.

8.8. ბაკალავრიატის პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს სწავლობს მოცემული პროგრამის ყველა სტუდენტი.

8.9. ბაკალავრიატის პროგრამის არჩევით სასწავლო კურსს სტუდენტი ირჩევს რამოდენიმე შესაძლებელი ვარიანტიდან. სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება პროგრამის სასწავლო გეგმით.

8.10. დასაშვებია, ბაკალავრიატის პროგრამის სპეციალობის/ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები დაჯგუფებული იყოს მოდულებად - მონათესავე სასწავლო კურსების ურთიერთდაკავშირებულ ერთობლიობად. ამ შემთხვევაში სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთ მოდულს რამოდენიმე შესაძლებელი ვარიანტიდან. არჩეული მოდულის შემადგენელი ყველა სასწავლო კურსის სწავლა სავალდებულოა.

8.11. ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამაზე სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულების და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მოცულობა უნდა იყოს მინიმუმ 330 კრედიტი, ხოლო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების მოცულობა კი შეიძლება იყოს მაქსიმუმ 30 კრედიტი.

8.12. მაგისტრატურის თითოეული პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსებს, პროფესიულ პრაქტიკასა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.

8.13. შესაძლებელია, მაგისტრატურის პროგრამის ყველა სასწავლო კურსი იყოს სავალდებულო ან ნაწილი იყოს სავალდებულო, დანარჩენები - არჩევითი.

8.14. მაგისტრატურის პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების (თუ ასეთები გათვალისწინებულია) მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 20 კრედიტს.

8.15. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების მოცულობა უნდა იყოს 25-30 კრედიტი.

8.16. დოქტორანტურის თითოეული პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტების და დისერტაციის ნაწილებს.

8.17. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს. იგი მოიცავს სასწავლო კურსებს, პედაგოგიურ პრაქტიკასა და სადოქტორო სემინარებს.

8.18. პედაგოგიური პრაქტიკა და სადოქტორო სემინარები სავალდებულო სასწავლო კომპონენტებია.

8.19. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსების ნაწილი შეიძლება იყოს სავალდებულო, დანარჩენები - არჩევითი.

თავი IX. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლების წესი და პროგრამის განმახორციელებელი პირები

9.1. პროგრამის სასწავლო კომპონენტის - სასწავლო კურსის სწავლა-სწავლება საკონტაქტო საათებში გულისხმობს ამ კომპონენტის განმახორციელებელი პირის (ლექტორი, მასწავლებელი) მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემას ერთ-ერთი ან რამოდენიმე მეთოდით ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

ა) ლექცია;

ბ)პრაქტიკუმი: სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსებით სწავლება;

გ) კონსულტაცია

9.2. ლექცია არის სწავლება-სწავლის მეთოდი საკონტაქტო საათებში, რომლის დროსაც სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი - ლექტორი - გააცნობს სტუდენტს/სტუდენტთა ჯგუფს ახალ თეორიულ მასალას. ლექციის მსვლელობა შეიძლება მოიცავდეს დისკუსიას, დებატებს, დემონსტრირებას და მსგავსი ხასიათის აქტივობებს.

9.3. პრაქტიკუმი (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება) არის სწავლა-სწავლების მეთოდი საკონტაქტო საათებში, რომლის დროსაც სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის - მასწავლებლის - ხელმძღვანელობით მიმდინარეობს თეორიული მასალის პრაქტიკული გამოყენების სწავლა-სწავლება. პრაქტიკუმის მსვლელობა შეიძლება მოიცავდეს დისკუსიას, დებატებს, დემონსტრირებას, პრეზენტაციას, პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას, ლაბორატორიულ ცდებს და მსგავსი ხასიათის აქტიურობებს.

9.4. კონსულტაცია არის სწავლა-სწავლების საშუალება საკონტაქტო საათებში, რომლის დროსაც სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი - ლექტორი/მასწავლებელი - დამატებით უხსნის/განუმარტავს სტუდენტს/სტუდენტებს დასამუშავებელი თეორიული მასალის ან შესასრულებელი პრაქტიკული სამუშაოს გაურკვეველ ან დასაზუსტებელ საკითხებს.

9.5. ლექტორი - ლექციის წამყვანი - შეიძლება იყოს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი ან მოწვეული პროფესორი, რომელსაც აქვს დოქტორის, მაგისტრის ან რომელიმე მათგანთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

9.6. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ლექტორ პროფესორს, ასოცირებულ პროფესორს და ასისტენტ-პროფესორს, ასისტენტს ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს კომპონენტის შესაბამისი დარგის საკითხებზე მონოგრაფია, სახელმძღვანელო ან სამეცნიერო ნაშრომი რეფერირებად გამოცემაში ან/და პრაქტიკული პროექტი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას.

9.7. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ლექტორი - მოწვეული სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს ამ თავის მე-9.6. პუნქტის პირობებს ან/და ჰქონდეს სასწავლო კომპონენტის შესაბამის დარგში პრაქტიკული საქმიანობის, სულ ცოტა, 3 წლიანი გამოცდილება ბოლო 10 წლის განმავლობაში.

9.8. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის პრაქტიკუმის ჩატარება შეუძლია პროფესორს, ასოცირებულ პროფესორს, ასისტენტ-პროფესორს, ასისტენტს, მასწავლებელს ან მოწვეულ სპეციალისტს, რომელსაც აქვს შესაბამის დარგში დოქტორის, მაგისტრის ან რომელიმე მათგანთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ხოლო საბაკალავრო პროგრამების შემთხვევაში დასაშვებია პრაქტიკუმს გაუძღვეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირიც.

9.9. დოქტორანტურის პროგრამის სასწავლო კურსის მასწავლებელი შეიძლება იყოს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი ან მოწვეული პროფესორი, რომელსაც მიღებული აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სასწავლო კურსის შესაბამის დარგში.

9.10. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროფესორი ან, ერთჯერადი გამონაკლისის სახით, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ასოცირებული ან მოწვეული პროფესორი, რომელსაც ბოლო 10 წლის განმავლობაში აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი თემატიკის/მიმართულების შესაბამისი მონოგრაფია ან მაღალრეიტინგულ, რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში 5 სამეცნიერო ნაშრომი.

9.11. მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი ან მოწვეული პროფესორი, რომელსაც ბოლო 10 წლის განმავლობაში აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან გამოქვეყნებული აქვს სამაგისტრო ნაშრომის ზოგადი თემატიკის/მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომი.

9.12. სასწავლო კურსის სწავლა-სწავლება ლექცია-პრაქტიკუმებით, როგორც წესი, ხორციელდება ჯგუფურად - სტუდენტთა ჯგუფებში, სასწავლო ცხრილის მიხედვით.

9.13. პროგრამების სასწავლო კურსების ლექცია-პრაქტიკუმები, გარდა მაგისტრატურის პროგრამების პირველი სემესტრისა და ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სამედიცინო ინგლისურენოვანი პროგრამისა, ტარდება სასწავლო დღეებში - სემესტრის I-VII და X-XVII კვირებში.

9.14. მაგისტრატურის პროგრამების განხორციელების პირველი აკადემიური წლის საშემოდგომო სემესტრის ლექცია-პრაქტიკუმები ტარდება სასწავლო დღეებში ამ სემესტრის I-VII და IX-XVI კვირებში.

9.15. თუ პროგრამით გათვალისწინებული ლექცია/პრაქტიკუმი არ ჩატარდა ლექტორის/მასწავლებლის მიზეზით, ლექტორი/მასწავლებელი ვალდებულია, სანაცვლოდ, სემესტრის დასრულებამდე, სასწავლო კვირაში, ჩაატაროს დამატებითი ლექცია/პრაქტიკუმი ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებულ დროს.

9.16. კონსულტაციები ტარდება სასწავლო დღეებში, ლექცია-პრაქტიკუმებისაგან თავისუფალ დროს, კონსულტაციების ცხრილის მიხედვით.

9.17. სასწავლო და კონსულტაციების ცხრილები სემესტრის დაწყებამდე ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში.

თავი X. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სტუდენტის სწავლისშედეგების მიღწევის დონის შეფასების სისტემა

10.1. სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების (შემდგომში - „შეფასება“) მიზანია, ხარისხობრივად განისაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შესაბამისობა აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან.

10.2. შეფასების პრინციპებია:

ა) გამჭვირვალობა და საჯაროობა: ინფორმაცია შეფასების კომპონენტებზე, მეთოდებსა თუ კრიტერიუმებზე ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს - სტუდენტმა აკადემიური წლის დასაწყისშივე უნდა იცოდეს, როდის და როგორ შეაფასებენ მისი ცოდნა-უნარების ამა თუ იმ პარამეტრს;

ბ) სისტემატურობა: შეფასება არაა ერთჯერადი აქტი, ის გეგმაზომიერი პროცესია, რომელიც სწავლის ერთიანი მოტივაციური სისტემის ელემენტია - სტუდენტს გამოუმუშავებს მუდმივ მზადყოფნას, გამოავლინოს და განსაზღვროს საკუთარი შრომის ეფექტიანობა, ხოლო ლექტორს/მასწავლებელს/ხელმძღვანელს - განახორციელოს მონიტორინგი სტუდენტის ცოდნის შეძენისა და განვითარების პროცესზე;

გ) სამართლიანობა: მიდგომა ყველა სტუდენტის ცოდნის შეფასებისადმი ერთიანი სტანდარტით უნდა განხორციელდეს, ყველა სტუდენტს მაღალი აკადემიური მაჩვენებლის მიღწევის თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეს.

10.3. შეფასებას ექვემდებარება სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე პროგრამის თითოეული კომპონენტის მიხედვით.

10.4. პროგრამის ნებისმიერი კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე თითოეულ სტუდენტს უფასდება ინდივიდუალურად.

10.5. სასწავლო კომპონენტით სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება მხოლოდ იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ისწავლებოდა.

10.6. სამაგისტრო ნაშრომითა და დისერტაციით სწავლის შედეგის მიღწევის დონე შეიძლება შეფასდეს მათი დასრულების ან მომდევნო სემესტრში.

10.7. სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს: შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

10.8. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების ერთ ან რამოდენიმე კომპონენტს – შეფასების ფორმების ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს ან ხერხებს: წერითი გამოცდა, ზეპირი ან წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული ან/და თეორიული სამუშაო.

10.9. შეფასების თითოეული კომპონენტი, თავის მხრივ,მოიცავს შეფასების ერთ ან რამოდენიმე მეთოდს – პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებას - ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული ან/და თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ.

10.10. შეფასების მეთოდისსაზომიერთეულია შეფასების კრიტერიუმი, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

10.11. პროგრამის კომპონენტით სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე შეფასების თითოეული კრიტერიუმის მიხედვით, იზომება რიცხვითი ერთეულებით - ქულებით.

10.12. სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება შეფასების გამოყენებული მეთოდით არის რიცხვი, რომელიც წარმოადგენს შეფასების ამ მეთოდის ყველა კრიტერიუმის მიხედვით სტუდენტისათვის მინიჭებული ქულების ჯამს.

10.13. სწავლის შედეგის მიღწევის დონე შუალედური ან დასკვნითი შეფასების კონკრეტული კომპონენტით არის შეფასების იმ მეთოდებით სტუდენტისათვის მინიჭებული ქულების ჯამი, რომლებსაც მოიცავს შეფასების ფორმის ეს კომპონენტი.

10.14. სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური ან დასკვნითი შეფასება არის შეფასების ამ ფორმის შემადგენელი ყველა კომპონენტით სტუდენტისათვის მინიჭებული ქულების ჯამი.

10.15. სწავლის შედეგის მიღწევის დონის საბოლოო შეფასება არის სტუდენტისათვის შუალედური და დასკვნითი შეფასებებით მინიჭებული ქულების ჯამი.

10.16. პროგრამის თითოეული კომპონენტით სწავლის შედეგის მიღწევის დონის საბოლოო შეფასების უდიდესი შესაძლებელი მნიშვნელობაა 100 ქულა.

10.17. პროგრამის ყოველი კომპონენტით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების როგორც შუალედური, ასევე დასკვნითი ფორმისათვის ამ კომპონენტის სილაბუსით განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

10.18. თუ შუალედური ან დასკვნითი შეფასების ქულა ნაკლებია მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე, შეფასება შესაბამისი ფორმით (შუალედურით ან დასკვნითით) იქნება 0 ქულა. თუ დასკვნითი შეფასების ქულა არის 0, საბოლოო შეფასების ქულაც იქნება 0.

10.19. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დასკვნითი შეფასებისათვის არ უნდა იყოს დასკვნითი შეფასების უდიდესი შესაძლებელი მნიშვნელობის 50%-ზე მეტი.

10.20. პროგრამის ყველა კომპონენტის (გარდა დისერტაციისა) სწავლის შედეგის მიღწევის დონე, საბოლოო შეფასების ქულის მიხედვით, ფასდება შეფასების ნიშნით, შემდეგი წესით:

ა) 91-100 ქულა - ნიშანი A (ფრიადი);

ბ) 81-90 ქულა - ნიშანი B (ძალიან კარგი);

გ) 71-80 ქულა - ნიშანი C (კარგი);

დ) 61-70 ქულა - ნიშანი D (დამაკმაყოფილებელი);

ე) 51-60 ქულა - ნიშანი E (საკმარისი);

ვ) 41- 50 ქულა - ნიშანი FX (ვერ ჩააბარა);

ზ) 40 ან ნაკლები ქულა - ნიშანი F (ჩაიჭრა).

10.21. დოქტორანტურის პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - დისერტაცია, დასკვნითი შეფასების ქულის მიხედვით, ფასდება ნიშნით შემდეგი წესით:

ა) 91-100 ქულა - ნიშანი „ფრიადი (summa cum laude)“ - შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) 81-90 ქულა - ნიშანი „ძალიან კარგი (magna cum laude)“- შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;;

გ) 71-80 ქულა - ნიშანი „კარგი (cum laude)“ - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) 61-70 ქულა - ნიშანი „საშუალო (bene)“ - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) 51-60 ქულა - ნიშანი „დამაკმაყოფილებელი (rite)“- შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ვ) 41- 50 ქულა - ნიშანი „არადამაკმაყოფილებელი (insufficienter)“ - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს, მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო, ვერ აკმაყოფილებს;

ზ) 40 ან ნაკლები ქულა - ნიშანი „სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone)“ - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

10.22. ამ თავის 10.20 და 10.21 პუნქტების „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნიშნებით შეფასება დადებითია, „ვ“-„ზ“ პუნქტებით გათვალისწინებული ნიშნებით შეფასება - უარყოფითი.

10.23. თუ პროგრამის კომპონენტით სწავლის შედეგის მიღწევის დონე შეფასებულია დადებითად, სტუდენტს ენიჭება ამ კომპონენტის სილაბუსით გათვალისწინებული კრედიტები.

10.24. თუ პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე შეფასებულია უარყოფითი ნიშნით, შესაძლებელია მისი განმეორებით სწავლა რომელიმე მომდევნო სემესტრში.

10.25. ერთიდაიგივე პროგრამის ფარგლებში ერთიდაიგივე კომპონენტის სწავლა დასაშვებია სულ 3-ჯერ.

10.26. პროგრამების სასწავლო კურსებით სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასებები შუალედური შეფასების კომპონენტებით, გარდა შუალედური გამოცდის შეფასებისა, აისახება სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების აღრიცხვის ჟურნალებში (შემდგომში - „აღრიცხვის ჟურნალი“).

10.27. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასებები შუალედური და დასკვნითი გამოცდებით, აგრეთვე - პროგრამის დანარჩენი კომპონენტებით სწავლის

შედეგების მიღწევის დონის შეფასებები როგორც ქულებით, ასევე ნიშნებით, აისახება შეფასების უწყისებში.

10.28. თუ სწავლის შედეგის მიღწევის დონეს აფასებს კომისია, კომისიის წევრები თავიანთ შეფასებებს ასახავენ შეფასების ბიულეტენებში, რომლებიც შეფასების უწყისის შემადგენელი ნაწილებია.

10.29. სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების უწყისები აღრიცხვის ჟურნალები და ბიულეტენები იწარმოება დამტკიცებული ფორმით.

10.30. აკადემიური უმაღლესი განათლების ნებისმიერი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის მთელ პერიოდში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასებები აღრიცხვის ჟურნალებიდან და უწყისებიდან ფაკულტეტის დეკანის ოფისს გადააქვს სტუდენტის სასწავლო ბარათში.

10.31. სტუდენტის სასწავლო ბარათში აღირიცხება ასევე პროგრამის კომპონენტის სილაბუსით გათვალისწინებული, სტუდენტისათვის მინიჭებული კრედიტები.

10.32. სტუდენტის სასწავლო ბარათს აწარმოებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს“ დანართების მიხედვით, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით.

10.33. სტუდენტისათვის უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სხვადასხვა სტიპენდიით სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის რეიტინგული სიის შესადგენად, გასაცემი დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტის დეკანის ოფისი ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ, არდადეგების პირველ კვირაში, გამოთვლის სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების დონის შეფასების კუმულატიურ შეწონილ ქულას (GPA).

10.34. პროგრამის ყოველი კომპონენტის (თუ ამ კომპონენტის სწავლის შედეგად სტუდენტს მინიჭებული აქვს შესაბამისი კრედიტები) სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების შეწონილი ქულა (GP) იანგარიშება მხოლოდ დადებითი შეფასებებისათვის და გამოითვლება შემდეგი წესით:

ა) თუ სწავლის შედეგის მიღწევის დონის საბოლოო შეფასების ქულაა 91 ან მეტი (A შეფასება), შეფასების შეწონილი ქულაა 4,0;

ბ) თუ სწავლის შედეგის მიღწევის დონის საბოლოო შეფასების ქულაა 81-90, (B შეფასება), შეფასების შეწონილი ქულაა 3,0;

გ) თუ სწავლის შედეგის მიღწევის დონის საბოლოო შეფასების ქულაა 71-80, (C შეფასება), შეფასების შეწონილი ქულაა 2,0;

დ) თუ სწავლის შედეგის მიღწევის დონის საბოლოო შეფასების ქულაა 61-70, (D შეფასება), შეფასების შეწონილი ქულაა 1,0;

ე) თუ სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების საბოლოო ქულაა 51-60, (E შეფასება), შეფასების შეწონილი მიღწევის ქულაა 0,5;

ვ) თუ სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების საბოლოო ქულაა 51-ზე ნაკლები, (F შეფასება), შეფასების შეწონილი მიღწევის ქულაა 0;

10.35. პროგრამის სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების შეწონილი ქულის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება დამატებითი შეფასების ქულა, ანუ შეფასების საბოლოო ქულა ამ შემთხვევაში არის შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამი.

10.36. საგანმანათლებლო პროგრამით სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების კუმულატიური შეწონილი ქულა (GPA) გამოითვლება შემდეგი წესით:

ა) პროგრამის ყოველი კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების შეწონილი ქულა (GP) მრავლდება ამ კომპონენტის სწავლით სტუდენტისათვის მინიჭებულ კრედიტზე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით მიღებული რიცხვები იკრიბება;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით მიღებული ჯამი იყოფა სტუდენტის მიერ მოცემული საფეხურის პროგრამით (პროგრამებით) სწავლის პერიოდში ასათვისებელი კრედიტების ჯამზე.

საგანი	ქულა	შეფასება	GP	კრედიტი	GP*კრედიტი	GPA
ეკონომიქსი 1	87	B	3	6	18	
მათემატიკა	67	D	1	7	7	
ისტორია	96	A	4	5	20	
ჯამი				18	45	2.5

10.37. პროგრამის თითოეული კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების შეწონილი ქულა და მოცემული საფეხურის პროგრამით (პროგრამებით) სწავლის დაწყებიდან ბოლო სემესტრის დასრულებამდე პერიოდში სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების კუმულატიური შეწონილი ქულა (GPA) ფაკულტეტის დეკანის ოფისს შეაქვს სტუდენტის სასწავლო ბარათში ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ.

თავი XI. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების წესი

11.1. სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შესაფასებლად გამოიყენება შეფასების ორივე ფორმა - შუალედური და დასკვნითი შეფასება. სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის საბოლოო შეფასების ქულა არის შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამი.

11.2. სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია ერთი შუალედური წერითი გამოცდა. შუალედური შეფასების სხვა კომპონენტებად დასაშვებია, გამოყენებულ იქნეს ზეპირი ან წერითი გამოკითხვები, ინდივიდუალური (პრაქტიკული ან თეორიული) სამუშაოები ან მათი კომბინაცია.

11.3. სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის დასკვნითი შეფასების ერთადერთი და სავალდებულო კომპონენტია დასკვნითი წერითი გამოცდა.

11.4. პროგრამის სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის საბოლოო შეფასების უდიდესი შესაძლებელი 100 ქულა ნაწილდება შუალედური და დასკვნითი შეფასების შემდეგ კომპონენტებზე:

ა) შუალედური შეფასების კომპონენტები ერთად, გარდა შუალედური წერითი გამოცდისა;

ბ) შუალედური წერითი გამოცდა;

გ) დასკვნითი წერითი გამოცდა.

11.5. შუალედური შეფასების კომპონენტებს შორის ქულათა გადანაწილების, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მინიმალური კომპეტენციების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონკრეტული პროგრამის კომიტეტი, იმ პირობით, რომ მინიმალური კომპეტენციების ჯამი არ უნდა იყოს 41 ქულაზე ნაკლები.

11.6. დასკვნითი გამოცდის წილი - 40 ქულაა.

11.7. შუალედური შეფასების კომპონენტების ჩამონათვალი, მათი რაოდენობა, შეფასების მეთოდები და სწავლის შედეგის მიღწევის დონის ამ კომპონენტებით შეფასების უდიდესი შესაძლებელი ჯამური ქულის განაწილება მათ შორის წარმოდგენილი უნდა იყოს სასწავლო კურსის სილაბუსში.

11.8. სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების კომპონენტის - ზეპირი გამოკითხვის - მეთოდია სტუდენტის მიერ პასუხების გაცემა მასწავლებლის შეკითხვებზე.

11.9. ზეპირი გამოკითხვები ტარდება სასწავლო კურსის პრაქტიკუმის მსვლელობისას, სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულ კვირებში. უნდა გამოიკითხოს და შეფასდეს პრაქტიკუმზე დამსწრე ყველა სტუდენტი.

11.10. სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების კომპონენტის - წერითი გამოკითხვის - მეთოდებია ტესტი, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, პრაქტიკული ამოცანის/კაზუსის გადაწყვეტა.

11.11. წერითი გამოკითხვები ტარდება სასწავლო კურსის პრაქტიკუმის მსვლელობისას, სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულ კვირებში. უნდა შეფასდეს პრაქტიკუმზე დამსწრე ყველა სტუდენტი, რომელიც შეასრულებს წერითი გამოკითხვის სამუშაოს.

11.12. სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების კომპონენტის - ინდივიდუალური სამუშაოს - მეთოდები, თემატიკა, შესრულების ფორმა, შესრულების შეფასების კრიტერიუმები და წესი მოცემული უნდა იყოს სასწავლო კურსის სილაბუსში.

11.13. ინდივიდუალური სამუშაოს დავალებებს, სასწავლო კურსის სილაბუსთან შესაბამისობაში, ადგენს და ანაწილებს სტუდენტთა შორის სასწავლო კურსის მასწავლებელი.

11.14. ინდივიდუალურ სამუშაოს სტუდენტი ასრულებს დამოუკიდებელ საათებში.

11.15. თუ ინდივიდუალური სამუშაოა მოხსენება პრეზენტაციით, პრეზენტაცია უნდა შესრულდეს პრაქტიკუმის მსვლელობისას, სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულ კვირაში.

11.16. სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონეს შუალედური შეფასების ინდივიდუალური სამუშაოს კომპონენტით აფასებს სასწავლო კურსის მასწავლებელი სილაბუსით გათვალისწინებულ სასწავლო კვირაში:

ა) პრაქტიკუმის მსვლელობისას, პრეზენტაციის მოსმენის დამთავრებისთანავე, თუ ინდივიდუალური სამუშაო შესრულებულია პრეზენტაციის სახით;

ბ) ინდივიდუალური სამუშაოს წარმოდგენისათვის სილაბუსით დადგენილი ბოლო დღის მომდევნო 3 სამუშაო დღის ვადაში, თუ ინდივიდუალური სამუშაო არ მოიცავს პრეზენტაციას.

11.7. სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების ფორმის ზეპირი და წერითი გამოკითხვებისა და ინდივიდუალური სამუშაოს შესრულების შეფასების ქულები მასწავლებელს შეფასების დღესვე შეაქვს სწავლის შედეგების აღრიცხვის ჟურნალში

11.8. სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტების - შუალედური და დასკვნითი წერითი გამოცდების მეთოდებია ტესტი, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, პრაქტიკული ამოცანის/კაზუსის გადაწყვეტა ან მათი კომბინაცია.

11.9. სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონე შუალედური და დასკვნითი წერითი გამოცდებით ფასდება შუალედური და დასკვნითი გამოცდების საგამოცდო კვირებში, გამოცდების ცხრილით განსაზღვრულ დროს. გამოცდა ტარდება ცხრილში მითითებულ აუდიტორიაში. გამოცდა ტარდება ერთდროულად, ერთ აუდიტორიაში ყოველ იმ ჯგუფისთავის, რომლებსაც, სასწავლო ცხრილის შესაბამისად, ერთდროულად ეკითხება მოცემული სასწავლო კურსის ლექციები მიმდინარე სემესტრში.

11.10. შუალედური და დასკვნითი გამოცდების ცხრილები, შესაბამისი გამოცდების საგამოცდო კვირების დაწყებამდე, ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში.

11.11. შუალედური გამოცდები, გარდა მაგისტრატურის პროგრამების განხორციელების პირველი აკადემიური წლის საშემოდგომო სემესტრის და ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების ინგლისურენოვანი პროგრამის შუალედური გამოცდებისა, ტარდება სემესტრის VIII-IX კვირებში.

11.12. მაგისტრატურის პროგრამების განხორციელების პირველი აკადემიური წლის საშემოდგომო სემესტრის შუალედური გამოცდები ტარდება ამ სემესტრის VIII კვირაში.

11.13. დასკვნითი გამოცდები, გარდა მაგისტრატურის პროგრამების განხორციელების პირველი აკადემიური წლის საშემოდგომო სემესტრის და ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების ინგლისურენოვანი პროგრამის დასკვნითი გამოცდებისა, ტარდება სემესტრის XVIII-XIX კვირებში.

11.14. მაგისტრატურის პროგრამების განხორციელების პირველი აკადემიური წლის საშემოდგომო სემესტრის დასკვნითი გამოცდები ტარდება ამ სემესტრის XVII-XVIII კვირებში.

11.15. შუალედური და დასკვნითი წერითი გამოცდების საგამოცდო საკითხები, შეფასების მეთოდები (ტესტი, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, პრაქტიკული ამოცანის/კაზუსის გადაწყვეტა ან მათი კომბინაცია), თითოეული მეთოდის შეფასების კრიტერიუმები და მათი გამოყენების წესი მოცემული უნდა იყოს სასწავლო კურსის სილაბუსში.

11.16. შუალედური და დასკვნითი გამოცდების საგამოცდო დავალების საკითხებზე სტუდენტის პასუხები აისახება წერით დოკუმენტში - საგამოცდო ნაშრომში.

11.17. სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისი ჩანაწერების მიხედვით საგამოცდო დავალებებს (საგამოცდო ბილეთებს, ტესტებს, შესასრულებელი ესეს თემას თითოეული სტუდენტისათვის და სხვ.) ადგენს სასწავლო კურსის ლექტორი და ფაკულტეტის შესაბამისი დეპარტამენტი სხდომაზე ამტკიცებს შუალედური და დასკვნითი გამოცდების საგამოცდო კვირების დაწყების წინა კვირაში.

11.18. საგამოცდო დავალებებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი დამტკიცებისთანავე უგზავნის საგამოცდო ცენტრის კოორდინატორს, ელექტრონული ფორმით ელექტრონულ მისამართზე exam@unik.edu.ge საკუთარი კორპორაციული ფოსტის გამოყენებით.

11.19. სასწავლო კურსის შუალედური გამოცდის დღემდე ფაკულტეტის დეკანის ოფისი ადგენს ამ სასწავლო კურსის საგამოცდო უწყისს.

11.20. საგამოცდო უწყისი დგება ცალ-ცალკე სტუდენტთა თითოეული სასწავლო ჯგუფისათვის.

11.21. საგამოცდო უწყისში შეიტანება ჯგუფის ყველა იმ სტუდენტის მონაცემები, მათ შორის გამოცდის დღემდე ჩატარებული ზეპირი და წერითი გამოკითხვების და შესრულებული ინდივიდუალური სამუშაოების შეფასების ქულები, რომლებიც ჯგუფში ირიცხებოდნენ სემესტრის დაწყებიდან გამოცდის წინა დღემდე, იმათ გარდა, რომლებსაც გამოცდის წინა დღემდე შეუწყდათ სტუდენტის სტატუსი.

11.22. თუ უწყისში რიცხულ სტუდენტს გამოცდის დღისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, ფაკულტეტის დეკანის ოფისი შესაბამის ჩანაწერს შეიტანს საგამოცდო უწყისში გამოცდის წინა დღეს. სტატუსშეჩერებული სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება.

11.23. გამოცდის დღეს კონვერტს, რომელშიც დალუქულია საგამოცდო დავალებები, გამოცდის დაწყებისას, აუდიტორიაში, სტუდენტთა თანდასწრებით, ხსნის საგამოცდო ცენტრის კოორდინატორი. საგამოცდო დავალებებს იგი ანაწილებს სტუდენტთა შორის. საგამოცდო დავალება საგამოცდო წერითი ნაშრომის დანართი და შემადგენელი ნაწილია. თუ გამოცდა ტარდება შეფასების ელექტრონული სისტემით ტესტირების დასრულებისთანავე შეფასების შედეგი აისახება სტუდენტის მონიტორზე და ელექტრონულ სისტემის მონაცემთა ბაზაში.

11.24. შუალედური და დასკვნითი წერითი გამოცდების საგამოცდო ნაშრომების შესრულებას აფასებს სასწავლო კურსის ლექტორი თუ გამოცდა არ ტარდება შეფასების ელექტრონული სისტემით.საგამოცდო ნაშრომების შესრულება ფასდება გამოცდის მომდევნო 3 დღის ვადაში.

11.25. საგამოცდო ნაშრომის შესრულება ფასდება ქულებით, შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია სასწავლო კურსის სილაბუსით.

11.26. თუ გამოცდა არ ტარდება შეფასების ელექტრონული სისტემითსაგამოცდო ნაშრომის შესრულების შეფასების ქულა ლექტორს შეაქვს საგამოცდო უწყისში, რომელსაც შევსებისთანავე აბარებს ფაკულტეტის დეკანის ოფისს. შეფასებულ საგამოცდო ნაშრომებს ლექტორი, საგამოცდო უწყისთან ერთად, აბარებს ფაკულტეტის დეკანის ოფისს.

11.27. სტუდენტს უფლება აქვს, გააპროტესტოსთავისი შუალედური ან/და დასკვნითი საგამოცდო ნაშრომის შესრულების შეფასება მისი შეფასების შესახებ ინფორმირების დღიდან სამი სამუშაო დღის ვადაში ფაკულტეტის დეკანისათვის შესაბამისი წერილობითი განცხადებით მიმართვის გზით. წერილობით განცხადებაში ზუსტად უნდა

იყოს მითითებული, კონკრეტულად რა და რატომ პროტესტდება. ამის გარეშე საგამოცდო ნაშრომის შესრულება თავიდან არ შეფასდება.

11.28. ფაკულტეტის დეკანი, მისთვის ამ თავის 11.38 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების წარდგენის ან მომდევნო სამუშაო დღეს ბრძანებით ნიშნავს საგამოცდო ნაშრომის შემფასებელი კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს. ბრძანების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისის მდივანი.

11.29. ამ თავის 11.39 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემის დღესვე ფაკულტეტის დეკანის ოფისი საგამოცდო ნაშრომის შემფასებელი კომისიის თითოეულ წევრს გადასცემს სტუდენტის შეფასებული საგამოცდო ნაშრომის თითო ქსეროასლს და საგამოცდო ბიულეტენს. მომდევნო სამუშაო დღეს კომისიის წევრები, ლექტორის შეფასების გაუთვალისწინებლად, ცალ-ცალკე აფასებენ საგამოცდო ნაშრომის შესრულებას და შეფასების შედეგები შეაქვთ შეფასების ბიულეტენებში, რომლებსაც, საგამოცდო ნაშრომის შეფასებულ ქსეროასლებთან ერთად, შევსებისთანავე გადასცემენ კომისიის თავმჯდომარეს.

11.30. საგამოცდო ნაშრომის შესრულების შემფასებელი კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრთა შეფასებების საფუძველზე, გამოთვლის საგამოცდო ნაშრომის შესრულების შეფასების ქულას და შეფასების ქულა შეაქვს საგამოცდო უწყისში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

11.31. კომისიის თავმჯდომარე საგამოცდო უწყისსა და საგამოცდო ნაშრომის შეფასებულ ქსეროასლებს უწყისის ხელმოწერისთანავე აბარებს ფაკულტეტის დეკანის ოფისს.

11.32. საგამოცდო ნაშრომის შესრულების კომისიისეული შეფასება საბოლოოა.

11.33. სასწავლო კურსის სწავლის შედეგის შეფასება შუალედური ან დასკვნითი გამოცდით იმ სტუდენტისათვის, რომელიც დაშვებული იყო გამოცდაზე, მაგრამ არ შეასრულა საგამოცდო წერითი ნაშრომი ან დაარღვია გამოცდაზე ქცევის შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით დადგენილი წესი, იქნება 0 ქულა.

11.34. თუ სტუდენტი ვერ გამოცხადდება შუალედურ გამოცდაზე შუალედური გამოცდების ცხრილით განსაზღვრულ დროს და ამას ექნება საპატიო მიზეზი, ფაკულტეტის დეკანი უფლებამოსილია, სტუდენტის განცხადების საფუძველზე, ბრძანებით დაუნიშნოს მას შუალედური გამოცდის სხვა დრო შუალედური გამოცდების დასრულების შემდეგ, ერთი კვირის ვადაში.

11.35. თუ სტუდენტი ვერ გამოცხადდება დასკვნით გამოცდაზე დასკვნითი გამოცდების ცხრილით განსაზღვრულ დროს და ამას ექნება საპატიო მიზეზი, ფაკულტეტის დეკანი უფლებამოსილია, სტუდენტის განცხადების საფუძველზე, ბრძანებით დაუნიშნოს მას დასკვნითი გამოცდის სხვა დრო დასკვნითი გამოცდების კვირებში, ხოლო თუ ეს შეუძლებელია - დამატებითი გამოცდების კვირებში.

11.36. სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების საბოლოო ქულაა დასკვნითი წერითი გამოცდის საგამოცდო ნაშრომის შესრულების შეფასებისა და სასწავლო კურსით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების ქულების ჯამი.

11.37. სასწავლო კურსით სწავლის შედეგის მიღწევის დონის საბოლოო შეფასების ქულას გამოთვლის ფაკულტეტის დეკანის ოფისი საგამოცდო უწყისების ჩანაწერების საფუძველზე.

11.38. ფაკულტეტის დეკანის ოფისი, სასწავლო კურსით სწავლის შედეგის მიღწევის დონის საბოლოო შეფასების ქულის მიხედვით, განსაზღვრავს სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ნიშანს.

11.39. თუ სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონე, დასკვნითი გამოცდით, სტუდენტს შეუფასდა ამ დებულების 10.21. პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების ნიშნით FX (ვერ ჩააბარა), მას უფლება აქვს, იმავე სემესტრში ჩააბაროს დამატებითი გამოცდა, რისთვისაც შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს.

11.40. დამატებითი გამოცდები ტარდება დამატებითი გამოცდების საგამოცდო კვირებში, დამატებითი გამოცდების ცხრილით განსაზღვრულ დროს. შუალედი ერთიდაიგივე სასწავლო კურსის დასკვნით და დამატებით გამოცდებს შორის უნდა იყოს 5 ან მეტი დღე.

11.41. დამატებითი გამოცდები საშემოდგომო სემესტრში, გარდა მაგისტრატურის პროგრამების განხორციელების პირველი აკადემიური წლის საშემოდგომო სემესტრის დამატებითი გამოცდებისა, ტარდება სემესტრის XX-XXI კვირებში.

11.42. მაგისტრატურის პროგრამების განხორციელების პირველი აკადემიური წლის საშემოდგომო სემესტრის დამატებითი გამოცდები ტარდება ამ სემესტრის XIX კვირაში. დამატებითი გამოცდები საგაზაფხულო სემესტრში ტარდება სემესტრის XX-XXI კვირებში.

11.43. თუ სტუდენტი ვერ გამოცხადდება დამატებით გამოცდაზე დამატებითი გამოცდების ცხრილით განსაზღვრულ დროს და ამას ექნება საპატიო მიზეზი, ფაკულტეტის დეკანი უფლებამოსილია, სტუდენტის განცხადების საფუძველზე, ბრძანებით დაუნიშნოს მას დამატებითი გამოცდის სხვა დრო სემესტრის დასრულებამდე.

11.44. დამატებითი გამოცდა ტარდება და ფასდება იგივე წესით, როგორითაც შუალედური და დასკვნითი გამოცდა.

11.45. თუ სტუდენტმა ჩააბარა (უნდა ჩაებარებინა) დამატებითი გამოცდა, სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების საბოლოო ქულა გამოითვლება და შეფასების ნიშანი განისაზღვრება დამატებითი გამოცდის საგამოცდო ნაშრომის შეფასების ქულის გათვალისწინებით.

11.46. თუ სწავლის შედეგის მიღწევის დონე დასკვნითი ან დამატებითი გამოცდის შემდეგ სტუდენტს შეუფასდა ამ დებულების 10.21. პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების ნიშნით F (ჩაიჭრა), ან სწავლის შედეგის მიღწევის დონე, დამატებითი გამოცდის შემდეგ, შეუფასდა ამ დებულების 10.21. პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების ნიშნით FX (ვერ ჩააბარა), მან თავიდან უნდა ისწავლოს ეს კურსი პროგრამით სწავლების რომელიმე მომდევნო სემესტრში.

11.47. თუ სტუდენტი არ გამოცხადდება შუალედურ, დასკვნით ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზის გარეშე შესაბამისი გამოცდით სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ქულა იქნება 0. ამ შემთხვევაში შეფასების ქულა შეფასების უწყისში შეაქვს ფაკულტეტის დეკანის ოფისის უფლებამოსილ თანამშრომელს.

11.48. სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული კრედიტები სტუდენტს ენიჭება საგამოცდო უწყისში შესაბამისი ჩანაწერის შეტანის გზით, თუ სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონე შეფასებულია რომელიმე ნიშნით ამ დებულების 10.21. პუნქტის

„ა“-„ე“ პუნქტებით გათვალისწინებულთაგან. ჩანაწერები საგამოცდო უწყისში შეაქვს ფაკულტეტის დეკანის ოფისის უფლებამოსილ თანამშრომელს.

11.49. შევსებულ საგამოცდო უწყისებს ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი დამატებითი გამოცდების კვირების დასრულების მომდევნო სამუშაო დღეს. დამტკიცების შემდეგ საგამოცდო უწყისში ცვლილებების ან ახალი ჩანაწერების შეტანა აკრძალულია.

თავი XII. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლის შედეგების შემფასებელი კომისიების საქმიანობის წესები

12.1. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლის შედეგების შემფასებელი კომისიებია (შემდგომში - „კომისიები“):

ა) საგამოცდო ნაშრომის შემფასებელი კომისია;

ბ) პროფესიული პრაქტიკის შემფასებელი კომისია;

გ) საბაკალავრო ნაშრომების შემფასებელი კომისია;

დ) სამაგისტრო ნაშრომების შემფასებელი კომისია;

ე) სადოქტორო სემინარის ნაშრომების შემფასებელი კომისია;

ვ) პედაგოგიური პრაქტიკის შემფასებელი კომისია;

ზ) სადისერტაციო კომისია.

12.2 ყველა კომისია დროებითია - იქმნება საჭიროების მიხედვით, დებულების ამ თავით განსაზღვრულ დროს და საქმიანობს თავისი ფუნქციის ამოწურვამდე, არაუგვიანეს მისი შექმნის სემესტრის დასრულებისა.

12.3 დასაშვებია, ერთდროულად არსებობდეს ერთიდაიგივე ფუნქციის მქონე რამოდენიმე კომისია.

12.4 კომისიაში უნდა იყოს არანაკლებ 3 და არაუმეტეს 11 წევრისა (თავმჯდომარის ჩათვლით).

12.5 საგამოცდო ნაშრომის შემფასებელი კომისია იქმნება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. კომისიის წევრებად ინიშნებიან იმ დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ორი სხვა პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი, რომლის თანამშრომელიცაა გაპროტესტებული საგამოცდო ნაშრომის შემფასებელი ლექტორი. თუ დეპარტამენტის ხელმძღვანელი გაპროტესტებული საგამოცდო ნაშრომის შემფასებელი ლექტორია, მის ნაცვლად კომისიის წევრად ინიშნება შესაბამისი პროგრამის კომიტეტის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარეა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ან პროგრამის კომიტეტის თავმჯდომარე.

12.6 პროფესიული პრაქტიკის შემფასებელი კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს ბრძანებით ნიშნავს ფაკულტეტის დეკანი არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე მიმდინარე სემესტრის დასკვნითი გამოცდების საგამოცდო კვირების დაწყებამდე. კომისიის წევრებად ინიშნებიან პრაქტიკის ხელმძღვანელები, ბაკალავრიატის პროგრამის ძირითადი სპეციალობისდა მაგისტრატურის პროგრამების სავალდებულო სასწავლო კურსების ლექტორები. პრაქტიკის ხელმძღვანელები არ უნდა შეადგენდნენ კომისიის წევრთა უმრავლესობას. პრაქტიკის ხელმძღვანელი არ უნდა დაინიშნოს კომისიის თავმჯდომარედ.

12.7 საბაკალავრო ნაშრომების შემფასებელი კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს ბრძანებით ნიშნავს ფაკულტეტის დეკანი არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე დასკვნითი გამოცდების

საგამოცდო კვირების დაწყებამდე. კომისიის წევრებად ინიშნებიან საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელები, ბაკალავრიატის პროგრამის ძირითადი სპეციალობის ლექტორები, დარგის გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები. საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელები არ უნდა შეადგენდნენ კომისიის წევრთა უმრავლესობას.

12.8 სამაგისტრო ნაშრომების შემფასებელი კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს ბრძანებით ნიშნავს ფაკულტეტის დეკანი არაუგვიანეს მიმდინარე სემესტრის დასკვნითი გამოცდების საგამოცდო კვირების წინა კვირის დაწყებამდე. კომისიის წევრებად ინიშნებიან სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები, მაგისტრატურის პროგრამების სავალდებულო სასწავლო კურსების ლექტორები, უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამისი დარგის პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ-პროფესორები, უნივერსიტეტისა და სხვა დაწესებულებების მეცნიერი თანამშრომლები და დარგის გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები არ უნდა შეადგენდნენ კომისიის წევრთა უმრავლესობას.

12.9 სადოქტორო სემინარის ნაშრომების შემფასებელი კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს ბრძანებით ნიშნავს ფაკულტეტის დეკანი არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე მიმდინარე სემესტრის დასკვნითი გამოცდების საგამოცდო კვირების დაწყებამდე. კომისიის წევრებად ინიშნებიან დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელები და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხვა წევრები სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით.

12.10 პედაგოგიური პრაქტიკის შემფასებელი კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს ბრძანებით ნიშნავს ფაკულტეტის დეკანი არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე მიმდინარე სემესტრის დასკვნითი გამოცდების საგამოცდო კვირების დაწყებამდე. კომისიის წევრებად ინიშნებიან დოქტრანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელები და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხვა წევრები სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით. იმ დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები, რომელთა პედაგოგიური პრაქტიკა უნდა შეაფასოს კომისიამ, არ უნდა შეადგენდნენ კომისიის უმრავლესობას.

12.11 სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს ირჩევს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და ბრძანებით ნიშნავს ფაკულტეტის დეკანი დისერტაციის დაცვის დღემდე არაუგვიანეს 3 კვირით ადრე. კომისიის წევრებად ინიშნებიან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებული პირები, რომლებსაც მნიშვნელოვანი კვლევები აქვთ შესრულებული დისერტაციის თემის დარგში/სფეროში.კომისიის წევრთა რაოდენობა, რომლებიც კომისიაში დანიშვნისას არ არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს.

12.12 თუ კომისიის წევრი შესაფასებელი სტუდენტის ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი, მისი სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ ან მისადმი თანამდებობრივად დაქვემდებარებული პირია, იგი ვალდებულია, განუცხადოს ამის შესახებ ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ბრძანებით შეაჩერებს მის უფლებამოსილებას ამ სტუდენტის შეფასებისას.

12.13 თუ სადისერტაციო კომისიის წევრი შესაფასებელი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ან რეცენზენტია, ფაკულტეტის დეკანი ბრძანებით შეაჩერებს მის უფლებამოსილებას ამ დოქტორანტის დისერტაციის შეფასებისას.

12.14 უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამშრომელს უფლება არ აქვს, უარი განაცხადოს კომისიის საქმიანობაში მონაწილეობაზე. კომისიის საქმიანობაში მონაწილეობისათვის თავის არიდება განიხილება შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრ მოვალეობათა დარღვევად.

12.15 კომისიის წევრს, რომელიც კომისიის წევრად დანიშვნის ან არჩევისას არ არის უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა ან სამეცნიერო პერსონალის თანამშრომელი, კომისიის წევრად დანიშვნის/არჩევის დღიდან ერთი კვირის ვადაში, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, უნივერსიტეტში სამუშაოდ იღებს რექტორი ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით.

12.16 თუ კომისიის წევრი ვერ ახერხებს კომისიის საქმიანობაში მონაწილეობას, იგი ვალდებულია, პირველი შესაძლებლობისთანავე აცნობოს ამის შესახებ ფაკულტეტის დეკანს.

12.17 თუ კომისიის საქმიანობაში არ/ვერ მონაწილეობს კომისიის თავმჯდომარე, ფაკულტეტის დეკანი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ დანიშნოს ბრძანებით კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ამავე კომისიის სხვა წევრი.

12.18 კომისიების საქმიანობას ორგანიზაციულად და მატერიალურად უზრუნველყოფს ფაკულტეტის დეკანის ოფისი.

12.19 კომისია თავის ფუნციებს ასრულებს კომისიის სხდომაზე.

12.20 საგამოცდო ნაშრომების შემფასებელი კომისიის სხდომა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომაში მონაწილეობს კომისიის სამივე წევრი. სხვა კომისიის სხდომა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომაში მონაწილეობს კომისიის თავმჯდომარე (მისი მოვალეობის შემსრულებელი) და კომისიის სხვა წევრთა, სულ ცოტა, ორი მესამედი.

12.21 კომისიის სხდომის მიმდინარეობა და მიღებული გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც აწარმოებს ფაკულტეტის დეკანის ოფისის მდივანი. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის მონაწილე ყველა წევრი და ოქმის მწარმოებელი. ოქმს ინახავს ფაკულტეტის დეკანის ოფისი. კომისიის სხდომის მონაწილე წევრს უფლება აქვს, თავისი განსაკუთრებული მოსაზრებები წერილობით დაურთოს ოქმს.

12.22 სხდომის თითოეული წევრი, სხვებისაგან დამოუკიდებლად, ქულებით აფასებს სტუდენტის ნაშრომს/მოხსენებას დებულების ამ კარით განსაზღვრული წესებით. კომისიის წევრი თავის შეფასებას ასახავს შეფასების ბიულეტენში. შეფასების ბიულეტენი შეფასების უწყისის დანართი და შემადგენელი ნაწილია.

12.23 სხდომის მონაწილე კომისიის ყველა წევრის მიერ შევსებული ბიულეტენების წარმოდგენის შემდეგ კომისიის თავმჯდომარეს, კომისიის წევრთა თანდასწრებით, გამოჰყავს სტუდენტის ნაშრომის/მოხსენების შეფასების ქულა სახელმძღვანელოს ამ კარით დადგენილი წესებით.

12.24 სამაგისტრო ნაშრომებისა და დისერტაციების შემფასებელი კომისიების თავმჯდომარეებს შეფასების უწყისში, გარდა შეფასების ქულებისა, შეაქვთ შეფასების ნიშნები.

12.25 შეფასების ქულა კომისიის თავმჯდომარეს შეაქვს შეფასების უწყისში, რომელსაც ხელს აწერს სხდომის მონაწილე კომისიის ყველა წევრი. შეფასების უწყისს, შეფასების

ბიულეტენებთან ერთად, კომისიის თავმჯდომარე სხდომის დასრულებისათანავე აბარებს ფაკულტეტის დეკანის ოფისს.

12.26 სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილებას დისერტაციის შეფასებაზე კომისიის თავმჯდომარე აცხადებს საჯაროდ, კომისიის სხდომის დასრულებამდე, შეფასებული დისერტაციის ავტორი დოქტორანტის თანდასწრებით.

თავი XIII. უნივერსიტეტის სტუდენტად მიღების პირობები

13.1 უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის და ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებულ პირს.

13.2 უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის ან კანონმდებლობით მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

13.3 უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების დოქტორანტურის საგანამანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს მაგისტრის, დოქტორის ან კანონმდებლობით მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

13.4 პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და აპირებს სწავლას უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის და ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამით, არის აბიტურიენტი.

13.5 აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის, მაგისტრის, დოქტორის დიპლომის მქონე ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებული პირი, რომელიც აპირებს სწავლას უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით, არის მაგისტრანტობის კანდიდატი.

13.6 აკადემიური უმაღლესი განათლების დიპლომირებული მედიკოსის/ სტომატოლოგის/ვეტერინარის, მაგისტრის ან დოქტორის დიპლომის მქონე ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებული პირი, რომელიც აპირებს სწავლას უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით, არის დოქტორანტობის კანდიდატი.

13.7 უნივერსიტეტის სტუდენტად მიღების პროცედურები დაწვრილებით რეგულირდება „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტად მიღების ინსტრუქციით“, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს რექტორი.

თავი XIV. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება-სწავლის ხელშეკრულება

14.1. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება-სწავლის ხელშეკრულება კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და ამ დებულების საფუძველზე, აწესრიგებს ურთიერთობებს უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის.

14.2. უნივერსიტეტის წესდება, შინაგანაწესი, წინამდებარე დებულება და სტუდენტის ეთიკის კოდექსი სწავლება-სწავლის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილებია.

14.3. სწავლება-სწავლის ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური და იმ საგანმანათლებლო პროგრამის დასახლება და ნომერი, რომლითაც ისწავლის სტუდენტი;
ბ) აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია, რომელსაც სტუდენტი მიიღებს პროგრამის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში;
გ) სწავლის სტანდარტული და ზღვრული ხანგრძლივობა;
დ) სწავლის წლიური საფასური, მისი დაფარვის წესი და ვადები;
ე) სტუდენტისა და უნივერსიტეტის ზოგადი უფლებები და ვალდებულებები ერთმანეთის მიმართ;
ვ) მითითება დებულებაზე, როგორც უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტზე, რომელიც არეგულირებს სტუდენტის სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის საკითხებს;
ზ) ხელშეკრულების მოქმედების ვადა;
თ) სტუდენტის და, როცა სტუდენტი არასრულწლოვანია, მისი კანონიერი წარმომადგენლის:
თ.ა) გვარი, სახელი, მოქალაქეობა და პირადი ნომერი მოქალაქეობის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის მიხედვით,
თ.ბ) მუდმივი და დროებითი საცხოვრებლის მისამართები,
თ.გ) საკონტაქტო ტელეფონის ნომერი,
თ.დ) ელექტრონული ფოსტის მისამართი;
ი) საზოგადოების:
ი.ა) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;
ი.ბ) იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები;
ი.გ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურისა და დეკანის ოფისის ტელეფონების ნომრები;
ი.დ) ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართი;
ი.ე) ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართი.
კ) მითითება იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტის წესდება, შინაგანაწესი, ეს დებულება და სტუდენტის ეთიკის კოდექსი ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილებია, იმ ვებ-გვერდის მისამართი, რომელზეც ეს აქტებია გამოქვეყნებული და, რომ სტუდენტი და მისი კანონიერი წარმომადგენელი გაეცვნენ ამ დოკუმენტებს ხელშეკრულების ხელმოწერამდე.

14.4. სტუდენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვისას სწავლება-სწავლის ხელშეკრულება ფორმდება ვადით სემესტრების რაოდენობაზე, რამდენიცაა იმ სემესტრიდან, რომელშიც სტუდენტი უნდა ჩაერთოს სასწავლო პროცესში, შესაბამისი პროგრამის ბოლო სემესტრის ჩათვლით.

14.5. სწავლება-სწავლის ამ თავის 14.4 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ სტუდენტმა ამ ვადაში ვერ მიიღო აკადემიური უმაღლესი განათლების პროგრამის შესაბამისი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია, უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის, სტუდენტის საჭიროებისა და სურვილის გათვალისწინებით, ფორმდება სწავლება-სწავლის დამატებითი ხელშეკრულება სემესტრების რაოდენობაზე. ასეთი ხელშეკრულების გაფორმებისას სწავლის წლიური საფასური იქნება ის, რაც საერთო კრების მიერ დადგენილია იმ აკადემიური წლისათვის, რომლიდანაც სტუდენტი გააგრძელებს სწავლას.

14.6. ის სემესტრები, რომელთა განმავლობაში სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი, სწავლება-სწავლის ამ თავის 14.4-14.5. პუნქტებით გათვალისწინებული ხელშეკრულებების მოქმედების ვადაში არ იანგარიშება. სტუდენტის სტატუსშეჩერებულად ჩაითვლება სემესტრი, რომელშიც სტუდენტს სტატუსი, მისი იმავე სემესტრში აღდგენის გარეშე, შეუჩერდა დასკვნითი გამოცდების საგამოცდო კვირების დაწყებამდე.

14.7. სწავლება-სწავლის ხელშეკრულების პროექტს ამზადებს იურისტი, ხოლო შევსებას უზრუნველყოფს აბიტურიენტების/ მაგისტრანტობის კანდიდატების/დოქტორანტობის კანდიდატების/ მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი.

14.8. სწავლება-სწავლის ხელშეკრულებებს ხელს აწერენ რექტორი და სტუდენტი, ხოლო როცა სტუდენტი არასრულწლოვანია, მისი კანონიერი წარმომადგენელიც.

14.9. სწავლება-სწავლის ხელშეკრულება ფორმდება ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ხელმოწერისთანავე გადაეცემა სტუდენტს (მის კანონიერ წარმომადგენელს), მეორე კი რჩება უნივერსიტეტში და ინახება დეკანის ოფისში, სტუდენტის პირად საქმეში.

14.10. სწავლება-სწავლის ხელშეკრულების პირობები არ იცვლება ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. ცვლილების აუცილებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელებამდე ცვლილებათა პროექტი თანხმდება სტუდენტთან.

თავი XV. სტუდენტის პირადი საქმე და მისი წარმოების წესი

15.1. ყველა საბუთის დედანი ან დამოწმებული ქსეროასლი, რომელიც ეხება ადმინისტრაციულ ურთიერთობებს სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის, ინახება სტუდენტის პირად საქმეში. პირად საქმეში ინახება, კერძოდ:

ა) ყველა დოკუმენტი, რომელიც სტუდენტმა წარმოადგინა უნივერსიტეტში სტუდენტად ჩასარიცხად;

ბ) სწავლება-სწავლის ხელშეკრულებები;

გ) რექტორის ბრძანებების ასლები სტუდენტად ჩარიცხვის, სტუდენტის სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის შესახებ;

დ) ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი, რომლითაც დამტკიცებულია მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტის სწავლის შედეგები სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ე) რექტორის ბრძანების ასლი სტუდენტის სასწავლებლად გაგზავნაზე პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;

ვ) პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის სტუდენტის სწავლის ხელშეკრულება;

ზ) უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს სხდომის ოქმის ასლი/ამონაწერი გადაწყვეტილებით ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შედეგების აღიარების შესახებ;

თ) რექტორის ბრძანებების დამოწმებული ასლები სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებისა და შეწყვეტის ან დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების შესახებ (სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების სხვა მასალები ინახება ცალკე);

ი) რექტორის ბრძანების დამოწმებული ასლი სტუდენტისათვის საუნივერსიტეტო სტიპენდიების დანიშვნაზე;

კ) სტუდენტის განცხადებებისა და მათ საფუძველზე გაცემული ცნობების დამოწმებული ქსეროასლები;

ლ) სტუდენტის სემესტრული დატვირთვის განაცხადები და დამტკიცებული სემესტრული სასწავლო დატვირთვები;

მ) დეკანის ბრძანებების დამოწმებული ასლები ან ამონაწერები სტუდენტის დაშვებაზე სასწავლებლად მომდევნო სემესტრში;

ნ) დეკანის მიერ დამოწმებული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ასლები;

ო) სტუდენტის სასწავლო ბარათების ამონაბეჭდები სემესტრების მიხედვით, დამტკიცებული დეკანის მიერ;

პ) ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს იმ სხდომის ოქმის დამოწმებული ამონაწერი, რომელმაც დაამტკიცა დოქტორანტის დისერტაციის თემა;

ჟ) ინფორმაცია აკადემიური წლის განმავლობაში სტუდენტის მონაწილეობის შესახებ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;

რ) ფაკულტეტის საკვალიფიკაციო/სადისერტაციო საბჭოს იმ სხდომის ოქმის დამოწმებული ამონაწერი, რომელმაც სტუდენტს მიანიჭა კვალიფიკაცია;

ს) დიპლომის ქსეროასლი და დიპლომის დანართის დამოწმებული ასლი.

15.2. სტუდენტის პირად საქმეს აწარმოებს დეკანის ოფისის მდივანი.

15.3. სტუდენტის პირად საქმეში შესანახ საბუთებს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები გადასცემენ დეკანის ოფისის მდივანს.

15.4. აბიტურიენტთა, მაგისტრანტობის და დოქტორანტობის კანდიდატთა, უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთა საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, გადასცეს სტუდენტთა ჩარიცხვისას მიღებული საბუთები და სწავლება-სწავლის ხელშეკრულებები დეკანის ოფისის მდივანს სწავლება-სწავლის ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში.

15.5. იურიდიული და საქმისწარმოების სამსახური ვალდებულია, გადასცეს რექტორის ბრძანებების, სტუდენტის ამავე პუნქტით გათვალისწინებული განცხადებებისა და გაცემული ცნობების დამოწმებული ასლები დეკანს ამ საბუთების იურიდიული და საქმისწარმოების სამსახურში რეგისტრაციის ან მომდევნო სამუშაო დღეს.

15.6. თუ უნივერსიტეტის სტუდენტს სტატუსი შეუწყდება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლის გამო, მისი პირადი საქმის მწარმოებელი, მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის მომართვის საფუძველზე, რომელიც ვიზირებულია რექტორის მიერ, პირად საქმეში დაცულ საბუთებს გადასცემს სტუდენტს, ხოლო პირად საქმეში ტოვებს გადაცემული საბუთების თავისი ხელმოწერით დამოწმებულ ასლებს.

თავი XVI. სტუდენტის სტატუსი

16.1. სტუდენტის სტატუსი არის ფიზიკური პირის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მას უფლებასა და შესაძლებლობას აძლევს, ისწავლოს უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის ან ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების ერთ-ერთი საგანმანათლებლო პროგრამით და ამ დებულებით განსაზღვრული პირობებითა და წესით და საქართველოს ტერიტორიაზე ისარგებლოს სტუდენტისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით.

16.2. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსს პირი მოიპოვებს რექტორის მიერ მისი უნივერსიტეტის სტუდენტად მიღების ბრძანების გამოცემის დღიდან. სტუდენტის სტატუსის მოპოვების პირობები დეტალურად გაწერილია დოკუმენტში - „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტად მიღების წესი.“

16.3. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში სტუდენტს შეიძლება შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს მხარეთა შორის გაფორმებული სწავლება-სწავლის ხელშეკრულებით, უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებითა და საზოგადოების სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული

ურთიერთვალდებულებებისაგან დროებით გათავისუფლებას ხელშეკრულების შეწყვეტის გარეშე.

16.4. სტუდენტს სტატუსი შეიძლება შეუჩერდეს:

ა) პირადი განცხადების (მიზეზის მითითებით ან ამის გარეშე) საფუძველზე რექტორისადმი;

ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შემთხვევაში, გარდა უნივერსიტეტის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

გ) ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში - მისივე განცხადების საფუძველზე;

დ) სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დასრულებამდე, თუ მიღებულია რექტორის შესაბამისი გადაწყვეტილება;

ე) მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სტუდენტის სტატუსის შეჩერების შეფარდების შემთხვევაში ამ დებულების 14.6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ) თუ განვლილი პერიოდის სწავლის შედეგების მიხედვით შეუძლებელია, სტუდენტმა მომავალ სემესტრში ისწავლოს საგანმანათლებლო პროგრამის ერთი კომპონენტი მაინც;

ზ) სტუდენტის ან მისი სახელით მესამე პირის მიერ სწავლის საფასურის მიმდინარე გადასახდელის დროულად გადაუხდელობისას (ფინანსური დავალიანებისას);

თ) თუ არ აქვს წარდგენილი სემესტრული სასწავლო დატვირთვის განაცხადი.

16.5. სტუდენტს სტატუსი შეუჩერდება რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა სტატუსის შეჩერების საფუძვლის წარმოშობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, თუ ამ დებულებით სხვა ვადა არაა გათვალისწინებული.

16.6. სტატუსშეჩერებული სტუდენტები არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში (რომელიც დადგენილია უნივერსიტეტის ავტორიზაციის პირობით).

16.7. სტატუსშეჩერებულ სტუდენტს სტატუსი აღუდგება:

ა) მისივე განცხადების საფუძველზე რექტორისადმი, თუ სტატუსი შეჩერებული იყო ამ თავის 16.4 პუნქტის „ა“-„გ“, “ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე პირობით;

ბ) სტატუსის შეჩერების მიზეზის აღმოფხვრისას, თუ სტატუსი შეჩერებული იყო ამ თავის 16.4 პუნქტის „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე პირობით.

16.8. სტატუსშეჩერებულ პირს სტუდენტის სტატუსი აღუდგება რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა სტატუსის აღდგენის ამ თავის 16.7 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების წარმოშობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, თუ ამ დებულებით სხვა ვადა არაა გათვალისწინებული.

16.9. თუ სტუდენტს სტატუსი ამ თავის 16.8 პუნქტით გათვალისწინებული წესით უნდა აღუდგეს ისეთ დროს ან ისეთ გარემოებაში, რომ სტატუსის აღდგენის სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამის ერთი ან რამოდენიმე კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის დასკვნითი შეფასებისას უდიდესი შესაძლებელი ქულის მიღების შემთხვევაშიც კი ამ კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება არ იქნება დადებითი, რექტორის ამ თავის 16.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტი უნდა შეთანხმდეს სტუდენტთან (მის კანონიერ წარმომადგენელთან) და გამოიცეს მხოლოდ სტუდენტის (მისი კანონიერი წარმომადგენლის) თანხმობის შემთხვევაში. შეთანხმება ფორმდება შეთანხმების ფურცლით, რომელშიც დაწვრილებით აისახება შეთანხმების საგანი და რომელსაც უნივერსიტეტის სახელით ხელს აწერს რექტორის ამ თავის 16.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტის შემსრულებელი.

16.10. უნივერსიტეტის სტატუსშეჩერებული სტუდენტისათვის დასაშვებია სტუდენტის სტატუსის აღდგენა სტუდენტთა საერთო რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო აკადემიური წლისათვის სტუდენტთა მისაღები ადგილების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ რაოდენობას.

16.11. სტუდენტს შეიძლება შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი. სტატუსის შეწყვეტა ნიშნავს სწავლება-სწავლის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან უნივერსიტეტისა და სტუდენტის საბოლოო გათავისუფლებას და სწავლება-სწავლის ხელშეკრულების შეწყვეტას.

16.12. უნივერსიტეტის სტუდენტს სტატუსი შეუწყდება:

ა) ფაკულტეტის/სადისერტაციო საბჭოს მიერ მისთვის შესაბამისი კვლიფიკაციისა და აკადემიური ხარისხის მინიჭების შემთხვევაში;

ბ) მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შეფარდების შემთხვევაში ამ დებულების 32.6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

გ) თუ იგი სამჯერ ისწავლის საგანმანათლებლო პროგრამის ერთსა და იგივე კომპონენტს და ამ კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე სამჯერვე უარყოფითი ნიშნით შეფასდება;

დ) თუ მას ფაკულტეტის/სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით არ მიენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია;

ე) თუ სტუდენტი მობილობის წესით გადავიდა სასწავლებლად სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და შეიძინა ამ დაწესებულების სტუდენტის სტატუსი (არ ეხება უნივერსიტეტის სტუდენტს, რომელიც გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლობს პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში);

ვ) თუ შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი და სტატუსის შეჩერების დღიდან გავიდა 5 წელი.

16.13. უნივერსიტეტის სტუდენტს სტატუსი უწყდება რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა სტატუსის შეწყვეტის გარემოების წარმოშობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

16.14. რექტორის ამ თავის 16.13 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემის დღიდან ერთი კალენდარული წლის განმავლობაში სტატუსშეწყვეტილ პირს, რომელსაც სტუდენტის სტატუსი შეუწყდა ამ თავის 16.12 პუნქტის „ბ“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით, უფლება აქვს, სწავლა გააგრძელოს საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04.02.2010 №10/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.

16.15. უნივერსიტეტის ლიკვიდაციის დაწყების, ავტორიზაციის დაკარგვის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეწყვეტის შემთხვევაში, რომელზეც იგი სწავლობდა, სტუდენტი იძენს საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლებას 5 წლის განმავლობაში „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04.02.2010 №10/ნ ბრძანებით დადგენილი წესით, მიუხედავად იმისა, რამდენ ხანს სწავლობდა უნივერსიტეტში.

16.16. სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების, აღდგენის ან შეწყვეტის თაობაზე რექტორის ბრძანების პროექტებს, გარდა სტუდენტისათავის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევისა ამ თავის 16.12 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძვლით, ამზადებს დეკანის ოფისი და რექტორს წარუდგენს დეკანი. ბრძანების პროექტს სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტაზე ამ თავის 16.12 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის პირობით ამზადებს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური და რექტორს წარუდგენს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის ხელმძღვანელი.

16.17. სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების, აღდგენის ან შეწყვეტის თაობაზე რექტორის ბრძანების დამოწმებულ ასლებს იურიდიული და საქმისწარმოების სამსახური, ბრძანების გამოცემისთანავე, გადასცემს დეკანის ოფისს, სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს, ბიბლიოთეკასა და ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურს. ბრძანების ასლის მიღებისთანავე

სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს შესაბამისი ჩანაწერები შეაქვს სტუდენტთა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ხოლო დეკანატს ელექტრონულ რეესტრში - „UNIK FOLLOW“.

16.18. დეკანის ოფისი სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების, აღდგენის ან შეწყვეტის თაობაზე რექტორის ბრძანების დამოწმებულ ასლს, მისი მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, გადასცემს სტუდენტს. თუ ამის გაკეთება შეუძლებელია, ასლს იურიდიული და საქმისწარმოების სამსახური გზავნის სტუდენტის ელექტრონულ ფოსტაზე, რომელიც მითითებულია მის პირად საქმეში.

16.19. რექტორის ბრძანება სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე ან შეწყვეტაზე, თუ მისი საფუძველია ამ თავის 16.4 პუნქტის „ვ“-„ზ“ ქვეპუნქტებით ან 16.12 პუნქტის „ბ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე მიზეზი, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ბრძანების ასლის სტუდენტისათვის გადაცემიდან ან მის მისამართზე საფოსტო გზავნილის მიტანიდან 30 დღის განმავლობაში.

თავი XVII. სტუდენტის უფლებები

17.1. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ყველა სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი აკადემიური უმაღლესი განათლება;

ბ) მოსთხოვოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სწავლისათვის ნორმალური პირობების შექმნა;

გ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;

დ) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში;

ე) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს:

ე.ა) ფაკულტეტის საბჭოში,

ე.ბ) იმ პროგრამის კომიტეტში, რომლის შესაბამის პროგრამაზეც ირიცხება

ე.გ) სტუდენტთა სადისციპლინო კომისიაში;

ვ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების გაცვლით საგანმანათლებლო და სხვა საერთაშორისო პროგრამებში;

ზ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის შეფასებაში;

თ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომლებსაც თავაზობს უნივერსიტეტი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ი) დააარსოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად შინაგანაწესის პირობებით;

კ) სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში მიიღოს უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

ლ) მონაწილეობა მიიღოს თავისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მომზადებაში.

17.2. შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე სტუდენტს უფლება აქვს, მისთვის სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მოსთხოვოს სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობა.

17.3. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ, საარსებო შემწეობის მიმღებ სტუდენტს უფლება აქვს, ისარგებლოს უნივერსიტეტის მიერ ასეთი კატეგორიისათვის გათვალისწინებული შეღავათებით.

17.4. სტუდენტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეიჩეროს სწავლა უნივერსიტეტში (შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი) და განაახლოს იგი სწავლის შეწყვეტიდან 5 წლის განმავლობაში, ამ დებულებით დადგენილი პირობებით.

17.5. უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამით, სულ ცოტა, პირველ სემესტრში სწავლის შემდეგ სტუდენტს უფლება აქვს, სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების იგივე საფეხურზე უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამით, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

17.6. უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამით, სულ ცოტა, ერთი სრული აკადემიური წლის (დროის იმ მონაკვეთების გაუთვალისწინებლად, რომლებშიც შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი) სწავლის შემდეგ სტუდენტს უფლება აქვს, სასწავლებლად გადავიდეს აკადემიური უმაღლესი განათლების იგივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04.02.2010 №10/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.

17.7. უნივერსიტეტის ლიკვიდაციის დაწყების, ავტორიზაციის დაკარგვის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეწყვეტის შემთხვევაში, რომელზეც იგი სწავლობდა, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება სტუდენტს აქვს მაშინაც, თუ უნივერსიტეტში მისი სწავლის ხანგრძლივობა ერთ აკადემიურ წელზე ნაკლებია.

17.8. სტუდენტს უფლება აქვს, აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის პარალელურად ისწავლოს უნივერსიტეტის ერთი ან რამოდენიმე სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამითაც.

თავი XVIII. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლის შედეგების აღრიცხვა. სტუდენტის ინფორმირება

18.1. უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით სტუდენტთა სწავლის შედეგების აღრიცხვა-სისტემატიზაციას აწარმოებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი. ამ მიზნით სტუდენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ფაკულტეტის დეკანის ოფისი ხსნის სტუდენტის სასწავლო ბარათს.

18.2. სტუდენტის სასწავლო ბარათს ფაკულტეტის დეკანის ოფისი აწარმოებს ელექტრონულად, დამტკიცებული ფორმით.

18.3. სასწავლო ბარათში შეიტანება სტუდენტის პერსონალური მონაცემები, უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების პროგრამით სწავლის მთელ პერიოდში სტუდენტის სწავლის შედეგების ყველა შეფასება და მის მიმართ სასწავლო პროცესის ორგანიზების მიზნებიდან გამომდინარე ყველა განხორციელებული ადმინისტრაციული ღონისძიება, კერძოდ:

ა) სტუდენტის გვარი, სახელი, სქესი, მოქალაქეობა, საიდენტიფიკაციო ნომერი მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, მუდმივი და დროებითი

საცხოვრებლების მისამართები, პირადი ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

ბ) რექტორის/ფაკულტეტის დეკანის ბრძანებების ნომრები და მათი გამოცემის თარიღები:

- სტუდენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვაზე;
- სტუდენტის სასწავლებლად დაშვებაზე სწავლების მომდევნო სემესტრში;
- სტუდენთა იმ სასწავლო ჯგუფის (ჯგუფების) ფორმირების შესახებ, რომელშიც ირიცხება სტუდენტი;
- სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებაზე, აღდგენასა და შეწყვეტაზე;
- სტუდენტის გადაყვანაზე ერთიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში;
- სტუდენტთა გაცვლის პროგრამის ფარგლებში უცხოეთის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყებისა და დასრულების შესახებ;

გ) აკადემიური უმაღლესი განათლების მოცემულ საფეხურზე სწავლის ყოველი სემესტრის მიხედვით:

- იმ პროგრამის სახელწოდება, რომლითაც სწავლობდა/სწავლობს სტუდენტი და მისი კოდი;
- ჯგუფის (ჯგუფების) ნომრები, რომელშიც ირიცხებოდა/ირიცხება სტუდენტი;
- სემესტრის განმავლობაში პროგრამის ყველა ნასწავლი/გავლილი კომპონენტის დასახელება და მისი ნომერი;
- სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის დონის შუალედური შეფასების ზეპირი და წერითი გამოკითხვებისა და დამოუკიდებელი სამუშაოების შეფასების ქულები და შეფასების თარიღები;
- სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის დონის შუალედური გამოცდით შეფასების ქულა, შეფასების უწყისის ნომერი და თარიღი;
- სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის დონის დასკვნითი გამოცდით შეფასების ქულა, შეფასების უწყისის ნომერი და თარიღი;
- სასწავლო კომპონენტების (გარდა სასწავლო კურსებისა) სწავლის შედეგების მიღწევის დონის შუალედური შეფასების ქულები, შეფასები უწყისების ნომრები და თარიღები;
- სასწავლო კომპონენტების (გარდა სასწავლო კურსებისა) სწავლის შედეგების მიღწევის დონის დასკვნითი შეფასების ქულები, შეფასების უწყისების ნომრები და თარიღები;
- სასწავლო კომპონენტების საბოლოო შეფასების ქულები და ნიშნები დასკვნითი შეფასების შემდეგ;
- სასწავლო კომპონენტების (გარდა სასწავლო კურსებისა) სწავლის შედეგების მიღწევის დონის დამატებითი შეფასების ქულები, შეფასების უწყისების ნომრები და თარიღები;
- სასწავლო კომპონენტების საბოლოო შეფასების ქულები და ნიშნები დამატებითი შეფასების შემდეგ;
- სამაგისტრო ნაშრომით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ქულები დასკვნითი შეფასების კომპონენტებით და დასკვნითი შეფასებით, შეფასების ნიშანი, შეფასების უწყისის ნომერი და თარიღი;

- დისერტაციით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ქულები დასკვნითი შეფასების კომპონენტებით და დასკვნითი შეფასებით, შეფასების ნიშანი, შეფასების უწყისის ნომერი და თარიღი;
- პროგრამის თითოეული კომპონენტით სწავლისათვის სემესტრის ბოლოს მინიჭებული კრედიტები და კომპონენტის სწავლით/შესრულებით სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების შეწონილი ქულა;
- სემესტრის განმავლობაში სტუდენტისათვის სწავლის შედეგების მიხედვით მინიჭებული კრედიტების ჯამი და სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების კუმულატიური შეწონილი ქულა (GPA);
- პროფესიული პრაქტიკის გავლის ობიექტის სახელწოდება, ობიექტზე პრაქტიკის დაწყებისა და დასრულების თარიღები;
- საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის, დისერტაციის თემის დასახელება;

დ) თუ სტუდენტი სწავლობდა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და იქ სწავლის შედეგების შეფასებები აღიარებულია უნივერსიტეტის მიერ:

- პროგრამის კომპონენტის დასახელება, რომელიც ნასწავლია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, სადაც ნასწავლია პროგრამის მოცემული კომპონენტი;
- პროგრამის მოცემული კომპონენტით სწავლის შედეგის აღიარების შესახებ უნივერსიტეტის პროგრამის კომიტეტის გადაწყვეტილების (სხდომის ოქმის) ნომერი და თარიღი;
- პროგრამის მოცემული კომპონენტის სწავლის შედეგის აღიარებით ამ კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის საბოლოო შეფასების ქულა, შეფასების ნიშანი, მინიჭებული კრედიტები და შეფასების შეწონილი ქულა;

ე) პროგრამით სწავლის დასრულების შედეგები:

- მინიჭებული კვალიფიკაციის დასახელება;
- ფაკულტეტის საკვალიფიკაციო/სადისერტაციო საბჭოს იმ სხდომის ოქმის ნომერი და თარიღი, რომელმაც სტუდენტს მიანიჭა კვალიფიკაცია;
- დიპლომის კატეგორია;
- დიპლომის სერია და ნომერი;
- დიპლომის შევსების თარიღი;
- დიპლომის გაცემის თარიღი.

18.4. სასწავლო ბარათში სწავლის შედეგის მიღწევის დონის ნებისმიერი შეფასება აისახება არაუგვიანეს შეფასების მომდევნო დღისა.

18.5. სასწავლო ბარათში ნებისმიერი ახალი ჩანაწერის შეტანის ან არსებულის ცვლილებისთანავე ბარათი ელექტრონული ფორმით ეგზავნება სტუდენტს. ასეთი გზავნილი ითვლება სტუდენტის ოფიციალურ ინფორმირებად.

18.6. სტუდენტი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, ფაკულტეტის დეკანისადმი წერილობითი განცხადებით, მოითხოვოს თავისი სასწავლო ბარათი ბეჭდური ფორმით, აგრეთვე - თავისი საგამოცდო ნაშრომების დამოწმებული ასლები და დამოწმებული ამონაწერები შეფასების უწყისებიდან/ბიულეტენებიდან. სტუდენტის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს

არაუგვიანეს განცხადების წარდგენის მომდევნო სამუშაო დღისა. დოკუმენტების დამოწმებასა და გაცემას უზრუნველყოფს ფაკულტეტის დეკანის ოფისი.

18.7. სტუდენტი ვალდებულია, მისი ამ თავის 18.3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი პერსონალური მონაცემის შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ფაკულტეტის დეკანის ოფისს ფაკულტეტის დეკანის სახელზე შედგენილი წერილობითი განცხადების ფორმით. უარყოფით სამართლებრივ შედეგებზე, რაც ამ ვალდებულების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს, პასუხისმგებლობა დაეკისრება სტუდენტს. მასვე დაეკისრება ამ შედეგების აღმოფხვრაზე გასაწევი ხარჯების ანაზღაურება.

18.8. ფაკულტეტის დეკანის ამ თავის 18.3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრძანება სტუდენტის სასწავლებლად დაშვებაზე აკადემიური უმაღლესი განათლების მოცემულ საფეხურზე სწავლების მომდევნო სემესტრში გამოიცემა სემესტრის დაწყების წინ, არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე სემესტრის დაწყებამდე. ბრძანება გამოიცემა იმ შემთხვევაში, თუ ამ დღისათვის დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) სტუდენტს არ აქვს შეჩერებული/შეწყვეტილი სტუდენტის სტატუსი;

ბ) ბაკალავრიატის/მაგისტრატურის სტუდენტს წარმოდგენილი აქვს სემესტრული სასწავლო დატვირთვის განაცხადი, ხოლო დოქტორანტს - განცხადება მომდევნო სემესტრში სასწავლებლად დაშვებაზე;

გ) სტუდენტის მომდევნო სემესტრში სასწავლებლად დაშვების შემთხვევაში განვლილ პერიოდში მისი სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასებები იძლევა იმის საშუალებას, რომ მან ისწავლოს/გაიაროს ამ სემესტრის სტანდარტული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, სულ ცოტა, ერთი სასწავლო კურსი ან პროგრამის სხვა კომპონენტი.

18.9. თუ არაა შესრულებული ამ თავის 18.8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის პირობა ან იგი შესრულებულია, მაგრამ შეუძლებელია ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პირობის დაკმაყოფილება, სტუდენტს, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, შეუჩერდება სტატუსი. ბრძანების პროექტს ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი.

18.10. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებაზე, აღდგენასა და შეწყვეტაზე და სტუდენტის გადაყვანაზე უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ერთიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში, გამოიცემა ამ დებულებით განსაზღვრულ ვადებში. ფაკულტეტის დეკანის ოფისს ბრძანების რეკვიზიტები სტუდენტის სასწავლო ბარათში შეაქვს ბრძანების გამოცემის ან მომდევნო სამუშაო დღეს.

18.11. სემესტრის განმავლობაში სტუდენტისათვის მინიჭებული კრედიტების ჯამს და სტუდენტის მიღწევების შეფასების ამ „თავის 18.3 პუნქტის გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კუმულატიურ შეწონილ ქულას (GPA) ფაკულტეტის დეკანის ოფისი გამოთვლის და შეიტანს სტუდენტის სასწავლო ბარათში სემესტრის დასრულების შემდეგ, არდადეგების პირველ კვირაში.

18.12. ფაკულტეტის/სადისერტაციო საბჭოს ამ თავის 18.3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოქმის რეკვიზიტები და კურსდამთავრებული სტუდენტისათვის მინიჭებული კვალიფიკაცია ფაკულტეტის დეკანის ოფისს სტუდენტის სასწავლო ბარათში შეაქვს ოქმის შედგენის ან მომდევნო სამუშაო დღეს.

18.13. სტუდენტის სასწავლო ბარათში ამ თავის 18.11 ან 18.12 პუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერის შეტანიდან ან სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების გამოცემიდან ერთი კვირის ვადაში სტუდენტის სასწავლო ბარათი იბეჭდება და, ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით დამოწმებული, შეინახება სტუდენტის პირად საქმეში.

თავი XIX. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების ზოგადი წესი

19.1. სტუდენტს, რომელსაც ამ დებულების XVIII თავით გათვალისწინებული სასწავლო ბარათის მიხედვით დადებითად აქვს შეფასებული აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტით სწავლის შედეგის მიღწევის დონე და დაგროვებული აქვს შესაბამისი პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული კრედიტები, ფაკულტეტის საბჭო ანიჭებს ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს და კვალიფიკაციას, რომლის სახელწოდებაც მოიცავს შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის დასახელებას (ბაკალავრიატის პროგრამის კურიკულუმის მიხედვით) ნათესაობით ბრუნვაში და ტერმინს „ბაკალავრი“.

19.2. მაგისტრანტს, რომელსაც ამ დებულების XVIII თავით გათვალისწინებული სასწავლო ბარათის მიხედვით დადებითად აქვს შეფასებული აკადემიური უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტით სწავლის შედეგის მიღწევის დონე და დაგროვებული აქვს შესაბამისი პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული კრედიტები, ფაკულტეტის საბჭო ანიჭებს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს და კვალიფიკაციას, რომლის სახელწოდებაც მოიცავს შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის დასახელებას (მაგისტრატურის პროგრამის კურიკულუმის მიხედვით) ნათესაობით ბრუნვაში და ტერმინს „მაგისტრი“.

19.3. დოქტორანტს, რომელსაც ამ დებულების XVIII თავით გათვალისწინებული სასწავლო ბარათის მიხედვით დადებითად აქვს შეფასებული აკადემიური უმაღლესი განათლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტით სწავლის შედეგის მიღწევის დონე და დაგროვებული აქვს დოქტორანტურის შესაბამისი პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული კრედიტები, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს და კვალიფიკაციას, რომლის სახელწოდებაც მოიცავს შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის დასახელებას (დოქტორანტის სწავლების გეგმის მიხედვით) ნათესაობით ბრუნვაში და ტერმინს „დოქტორი“.

19.4. ამ თავის 19.1-19.3 პუნქტებით გათვალისწინებულ კვალიფიკაციათა სახელწოდებაში მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის დასახელება ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის დასახელებას „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალის“ მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 10.12.2010 №120/ნ ბრძანებით.

თავი XX. აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების წესი

20.1. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამების კურსდამთავრებულებს ამ სახელმძღვანელოს 19.1 და 19.2 პუნქტებით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას ანიჭებს ფაკულტეტის საბჭო.

20.2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესები განსაზღვრულია შინაგანაწესის XXVI თავით.

20.3. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების შემფასებელი კომისიების მიერ მათი უფლებამოსილების ვადაში შესაფასებელი ყველა საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის შეფასებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ფაკულტეტის დეკანი იწვევს ფაკულტეტის საბჭოს სხდომას, რომელზეც მოსმენილ იქნება საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების შემფასებელი კომისიების თავმჯდომარეთა მოხსენებები შეფასებული საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების რაოდენობისა და შეფასების შედეგების შესახებ.

20.4. ფაკულტეტის საბჭო კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სტუდენტთა ამ დებულების XXVIII თავით განსაზღვრული სასწავლო ბარათების შემოწმებისა და ანალიზის საფუძველზე.

20.5. ფაკულტეტის დეკანის ოფისი ვალდებულია, ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე წარადგინოს სტუდენტთა სასწავლო ბარათების ამონაბეჭდები, რითიც დასტურდება სტუდენტის მიერ აკადემიური პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების სრულად ათვისება, დამოწმებული ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით. სტუდენტთა სასწავლო ბარათების ამონაბეჭდები გადაწყვეტილებების პროექტების დანართებია.

20.6. ამ თავის 20.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს კურსდამთავრებული სტუდენტის გვარი, სახელი, საიდენტიფიკაციო ნომერი მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და მისაცემი დიპლომის კატეგორია.

20.7. გადაწყვეტილება ბაკალავრიატის/მაგისტრატურის კურსდამთავრებული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებაზე ფორმდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმით. გადაწყვეტილებათა პროექტები ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის დანართებია. სხდომის ოქმის დამოწმებულ ასლებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი დაუყოვნებლივ გადასცემს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს.

20.8. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ნომერი და თარიღი, ოქმის შედგენის ან მომდევნო სამუშაო დღეს, ფაკულტეტის დეკანის ოფისს შეაქვს სტუდენტების სასწავლო ბარათებში.

თავი XXI. აკადემიური უმაღლესი განათლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების წესი

21.1. დოქტორანტურის პროგრამების კურსდამთავრებულებს ამ დებულების 19.3 პუნქტით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.
21.2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესები განსაზღვრულია შინაგანაწესის XXVI თავით.
21.3. გადაწყვეტილების პროექტს კურსდამთავრებული დოქტორანტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დავალებით, ამზადებს დოქტორანტურის პროგრამების კოორდინატორი.
21.4. გადაწყვეტილების პროექტი მზადდება დოქტორანტის სასწავლო ბარათის შემოწმებისა და ანალიზის საფუძველზე დისერტაციის დაცვიდან 15 დღის ვადაში და ელექტრონული ფოსტით ეგზავნება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დანარჩენ წევრებს არაუგვიანეს დამდეგი სხდომის გამართვის წინა სამუშაო დღისა. სასწავლო ბარათის ამონაბეჭდს გაცემის დღის მდგომარეობით, დამოწმებულს ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით, გასცემს ფაკულტეტის დეკანის ოფისი. დოქტორანტთა სასწავლო ბარათების ამონაბეჭდები გადაწყვეტილებების პროექტების დანართებია.
21.5. გადაწყვეტილებას დოქტორანტურის პროგრამის კურსდამთავრებული დოქტორანტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ იღებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სხდომაზე, რომელიც უნდა გაიმართოს არაუადრეს მე-7 და არაუგვიანეს მე-10 დღისა დისერტაციის დაცვის დღიდან.
21.6. გადაწყვეტილება მიიღება გადაწყვეტილების პროექტის განხილვის საფუძველზე. გადაწყვეტილება ფორმდება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმით. გადაწყვეტილების პროექტი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმის დანართია.
21.7. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ამ თავის 21.6 პუნქტით გათვალისწინებული სხდომის ოქმს, დანართებთან ერთად, ინახავს ფაკულტეტის დეკანის ოფისი, რომელიც ამ ოქმის დამოწმებულ ასლს (დანართების გარეშე) მისი შედგენის ან მომდევნო სამუშაო დღეს გადასცემს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს.
21.8. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ამ თავის 21.6 პუნქტით გათვალისწინებული სხდომის ოქმის ნომერი და თარიღი, ოქმის შედგენის ან მომდევნო სამუშაო დღეს, ფაკულტეტის დეკანის ოფისს შეაქვს დოქტორანტის სასწავლო ბარათში.

თავი XXII. აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი და მისი გაცემის წესი

22.1. უნივერსიტეტი აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულ სტუდენტებს, რომლებსაც ფაკულტეტმა მიანიჭა კვალიფიკაცია სახელმძღვანელოს ამ კარით გათვალისწინებული წესით, აძლევს კვალიფიკაციის დამადასტურებელ სახელმწიფო დოკუმენტს - დიპლომს და დიპლომის დანართს.
22.2. დიპლომის ბლანკი და მასში შეტანილი ჩანაწერები ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს „უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების -

დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 22.07.2011 №126/ნ ბრძანების მოთხოვნებს.

22.3. დიპლომის დანართის ფორმა და შინაარსი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს „უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 05.04.2005 №149 ბრძანების მოთხოვნებს.

22.4. უნივერსიტეტი გასცემს ბაკალავრის ან მაგისტრის კვალიფიკაციის დამადასტურებელი ორი კატეგორიის დიპლომს - წარჩინების და ჩვეულებრივს.

22.5. უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების იმ კურსდამთავრებულ სტუდენტებს, რომელთა მიღწევების საბოლოო შეფასების კუმულატიური შეწონილი ქულა (GPA) 3,7 ან მეტია, მიეცემათ წარჩინების დიპლომები, დანარჩენებს - ჩვეულებრივი.

22.6. დიპლომის ბლანკის მაკეტის მომზადებას უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. მაკეტს, სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურთან შეთანხმების შემდეგ, ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. ბრძანების პროექტს ამზადებს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური.

22.7. დიპლომის ბლანკის მაკეტის დამტკიცებისთანავე იურიდიული და საქმისწარმოების სამსახური დიპლომის ბლანკის დამტკიცებული მაკეტის ერთ ეგზემპლარს, უნივერსიტეტის რექტორის თანმხლები წერილით, უგზავნის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. წერილის პროექტს ამზადებს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური.

22.8. დიპლომის ბლანკების დამზადებას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახური.

22.9. დიპლომის ბლანკი წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს. ბლანკებს ინახავს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური რექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესით. ბრძანების პროექტს ამზადებს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური.

22.10. ფაკულტეტის/სადისერტაციო საბჭოს 18.4/19.6 პუნქტით გათვალისწინებული სხდომის ოქმის შედგენის დღიდან 2 კვირის ვადაში სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური ავსებს დიპლომს, ხოლო ფაკულტეტის დეკანის ოფისი ამავე ოქმის შედგენის დღიდან ერთი კვირის ვადაში - დიპლომის დანართს ქართულ ენაზე, რომელსაც შევსებისთანავე გადასცემს სტრატეგიული განვითარების, ინტერნაციონალიზაციისა და კვლევების ხელშეწყობის სამსახურს.

22.11. სტრატეგიული განვითარების, ინტერნაციონალიზაციისა და კვლევების ხელშეწყობის სამსახური ორი კვირის ვადაში ავსებს დიპლომის დანართს ინგლისურ ენაზე და, მის ქართულენოვან ნაწილთან ერთად, გადასცემს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს.

22.12. დიპლომს ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი და ფაკულტეტის დეკანი. დიპლომის დანართს ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი.

22.13. გასაცემ დიპლომსა და მის დანართზე დაისმება უნივერსიტეტის ბეჭედი.

22.14. დიპლომებსა და დიპლომების დანართებს გასცემს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური.

22.15. დიპლომი და დიპლომის დანართი მიეცემა კურსდამთავრებულ სტუდენტს ან მის რწმუნებულს (სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურისათვის წარდგენილი, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე, რომელსაც იტოვებს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური).

22.16. სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური აწარმოებს დიპლომებისა და დუბლიკატების ერთიან საუნივერსიტეტო რეესტრს ელექტრონულად და მატერიალური ფორმით - რეესტრის ჟურნალის სახით.

22.17. დიპლომებისა და დუბლიკატების ერთიან საუნივერსიტეტო რეესტრში შეიტანება კურსდამთავრებული სტუდენტის გვარი, სახელი, პირადი ნომერი მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთის მიხედვით, დიპლომის კატეგორია, სერია, ნომერი, სარეგისტრაციო ნომერი რეესტრში, ფაკულტეტის/სადისერტაციო საბჭოს იმ სხდომის ოქმის ნომერი და თარიღი, რომელმაც კვალიფიკაცია მიანიჭა სტუდენტს, დიპლომის გაცემის თარიღი, დიპლომის მიმღები პირის გვარი, სახელი და პირადი ნომერი, მისი ხელმოწერა დიპლომისა და მისი დანართის მიღების დასადასტურებლად (მხოლოდ ჟურნალში).

22.18. დიპლომები რეესტრში ინომრება უწყვეტი თანმიმდევრობით, შევსების რიგითობით.

22.19. დიპლომებისა და დუბლიკატების ერთიანი საუნივერსიტეტო რეესტრის ფორმულარი მტკიცდება რექტორის ბრძანებით. ბრძანების პროექტს ამზადებს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური.

22.20. სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური დიპლომსა და მის დანართს გასცემს მხოლოდ ჩანაწერების შეტანის შემდეგ დიპლომებისა და დუბლიკატების ერთიან საუნივერსიტეტო რეესტრში.

22.21. დიპლომის შევსებისთანავე სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური ამზადებს მის ელექტრონულ ასლს და 5 სამუშაო დღის ვადაში ატვირთავს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. ამავე რეესტრში ასახავს დიპლომისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებულ ნომერს, სერიას და ინდივიდუალურ ნომერს (დიპლომის სარეგისტრაციო ნომერს დიპლომებისა და დუბლიკატების ერთიან საუნივერსიტეტო რეესტრში).

22.22. დიპლომისა და მისი დანართის გაცემამდე სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური ამზადებს და ფაკულტეტის დეკანის ოფისს გადასცემს მათ ქსეროასლებს. ფაკულტეტის დეკანის ოფისი ქსეროასლებს ინახავს კურსდამთავრებული სტუდენტის პირად საქმეში.

22.23. კურსდამთავრებულს მისივე (მისი რწმუნებულის) განცხადების საფუძველზე მიეცემა დიპლომის დუბლიკატი, თუ ადრე გაცემული დიპლომი აღარ არსებობს ან გამოსაყენებლად უვარგისი გახდა.

22.24. დუბლიკატი გაიცემა ამ თავის 22.14-22.23 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურებით.

22.25. დიპლომის დუბლიკატად შევსებულ ბლანკზე დაისმება შტამპი წარწერით „დუბლიკატი“.

22.26. დიპლომის დუბლიკატი გაიცემა კურსდამთავრებულის (მისი რწმუნებულის) განცხადების წარმოდგენიდან ერთი თვის ვადაში. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს დიპლომის დუბლიკატის გაცემის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. დიპლომის დუბლიკატის გაცემის საფასურის სიდიდეს ბრძანებით განსაზღვრავს რექტორი.

თავი XXIII. აკადემიური, მასწავლებელთა და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის თანამშრომლების აკადემიური დატვირთვა

23.1. აკადემიური, მასწავლებელთა ან მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის თანამშრომლის აკადემიურ დატვირთვაში იგულისხმება მისი საქმიანობა უნივერსიტეტში, რომელიც უშუალოდ ემსახურება სტუდენტთა სწავლებას აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით ან/და სამეცნიერო კვლევებს, მათ შორის ამ თანამშრომლის აკადემიური კვალიფიკაციის განვითარებას, რაც მომავალში დადებითად აისახება მის მიერ აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხზე.

23.2. აკადემიური პერსონალის თანამშრომლის დატვირთვა აკადემიური წლის განმავლობაში ყველა სამუშაო ადგილის დატვირთვის გათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს 2880 საათს.

23.3. აკადემიური პერსონალის თანამშრომლის აკადემიური დატვირთვა აკადემიური წლის განმავლობაში ქუთაისის უნივერსიტეტში შეადგენს 1920 საათს ერთ საშტატო განაკვეთზე.

23.4. თანამშრომლის აკადემიური დატვირთვა აკადემიური წლის განმავლობაში ნაწილდება შემდეგ აქტივობებზე და ენიჭება შემდეგი პროცენტული წილები საერთო დატვირთვაში:

ა) სასწავლო პროცესში მონაწილეობა - 40%

ბ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - 55%

გ) ადმინისტრაციული საქმიანობა - 5%

23.5. აკადემიური პერსონალის სასწავლო პროცესში მონაწილეობა აკადემიური წლის მანძილზე მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

ა) აკადემიური წლის განმავლობაში სასწავლო კურსის ლექციების/პრაქტიკუმების ჩატარება, საკონტაქტო საათებში მუშაობა სტუდენტებთან, რომლებიც სასწავლო კურსს სწავლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით - 360 საათი ერთ საშტატო განაკვეთზე;

ბ) სასწავლო კურსების მომზადება - სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება, შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე წერით შესასრულებელი დავალებების (საგამოცდო ბილეთები, ტესტები და ა.შ.) ახალი პაკეტის მომზადება, სასწავლო კურსის შუალედური/დასკვნითი გამოცდების წერითი საგამოცდო ნაშრომების შეფასება;

გ) სასწავლო კურსების კონსულტაციები, - 15 საათი სემესტრის განმავლობაში, თუ თანამშრომელი ამ სემესტრში ერთი სასწავლო კურსის ლექტორი ან მასწავლებელია და 30 საათი სემესტრის განმავლობაში, თუ თანამშრომელი ამ სემესტრში ერთზე მეტი სასწავლო კურსის ლექტორი ან მასწავლებელია;

დ) პროფესიული პრაქტიკის ხელმძღვანელობა - 20 საათი სტუდენტთა ერთ ჯგუფზე (ჯგუფში არაუმეტეს 10 სტუდენტისა) პრაქტიკის ერთ ობიექტზე;

23.6. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა აკადემიური წლის მანძილზე მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

ა) საზღვარგარეთ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში, იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში, შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში - 450 საათი ყოველ პუბლიკაციაზე ;

ბ) საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ ან ბეჭდურ ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება, ან/და მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში - 150 საათი თითოეულ ფაქტზე, მათ შორის ქუთაისის უნივერსიტეტის გამოცემებში - დამატებით 150 საათი თითოეულ ფაქტზე;

გ) დისერტაციის ოფიციალურ შემფასებლად ან/და ექსპერტად საქმიანობა - 100 საათი 1 დისერტაციაზე;

დ) სახელმძღვანელოს მომზადება და გამოცემა - თითო ნაბეჭდი თაბახი (16გვ.) - 100 საათი ;

ე) მონოგრაფიის მომზადება და გამოცემა - თითო ნაბეჭდი თაბახი (16გვ.) - 150 საათი;

ვ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მომზადება და განხორციელებაში მონაწილეობა პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ან მეცნიერ-მკვლევარის სტატუსით - 100 საათი ყოველ პროექტზე;

ზ) სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში საზოგადოების ფართო მასებში ცოდნის გავრცელებისა და პოპულარიზაციისაკენ მიმართული აქტივობები - აუცილებელი კომპონენტი, არანაკლებ 30 საათისა ერთ საშტატო განაკვეთზე.

თ) საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა - 15 საათი ყოველ საბაკალავრო ნაშრომზე, აუცილებელი კომპონენტი არანაკლებ 6 საბაკალავრო ნაშრომისა ერთ საშტატო განაკვეთზე;

ი) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა - 30 საათი ყოველ სამაგისტრო ნაშრომზე, აუცილებელი კომპონენტი არანაკლებ 2 სამაგისტრო ნაშრომისა ერთ საშტატო განაკვეთზე;

კ) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა - 60 საათი 1 დოქტორანტზე.

23.7. აკადემიური პერსონალის ადმინისტრაციულ საქმიანობაში მონაწილეობა აკადემიური წლის მანძილზე მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

ა) უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს ან სადისერტაციო საბჭოს წევრად საქმიანობა - 30 საათი თითოეულზე;

ბ) ამ დებულების 23.1 პუნქტით გათვალისწინებული კომისიების წევრად საქმიანობა - 10 საათი ერთი კომისიის წევრად საქმიანობაზე.

23.8. აკადემიური თანამდებობის პირს უფლება აქვს სრული საშტატო განაკვეთით დატვირთვის გარდა შეასრულოს დამატებითი საკონტაქტო საათები ქუთაისის უნივერსიტეტში ან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, იმ პირობით, რომ მისი საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 900 საათს;

23.9. დაუშვებელია, აკადემიური თანამდებობის პირის დატვირთვა შედგებოდეს მხოლოდ ამ დებულების 23.4 „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სამუშაოთაგან. აკადემიური თანამდებობის პირი ვალდებულია მონაწილეობდეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მიუხედავად იმისა, აფილირებულია თუ არა ის ქუთაისის უნივერსიტეტთან. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დატვირთვაში მხედველობაში მიიღება მისი ნებისმიერი აქტივობა, რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულების 23.6 პუნქტის პირობებს;

23.10. თუ პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი ასრულებს ამ თავის 23.6 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ განსაკუთრებული მნიშვნელობის სამუშაოს/სამუშაოებს, მას, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება შეუმცირდეს აკადემიური დატვირთვა 23.5 პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ან მთლიანად გათავისუფლდეს მათი შესრულების ვალდებულებისაგან ერთი ან 2 აკადემიური წლის განმავლობაში (აკადემიური შვებულება).

23.11. აკადემიური წლის მანძილზე აკადემიური პერსონალის დატვირთვის მაჩვენებელი იანგარიშება მისი საკონტაქტო საათების პროპროციულად, რაც დეტალურად აღწერილია დოკუმენტში „პროგრამებზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.

23.12. ყოველი აკადემიური წლის ბოლო სამუშაო თვეში ფაკულტეტის დეკანი აკეთებს მომავალ აკადემიური წელს მისი ფაკულტეტის მიერ განსახორციელებელი ყველა პროგრამის 23.5 „ა“ და „დ“; 23.6 „თ“-„კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დატვირთვების საერთო ჩამონათვალს, რომელიც დაეგზავნება მოცემული პროგრამების კომიტეტების ყველა წევრს. დატვირთვების ნუსხაში გათვალისწინებული უნდა იყოს უნივერსიტეტის განაცხადი სტუდენტთა ახალი კონტინგენტის მიღებაზე აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

23.13. აკადემიური, მასწავლებელთა და მოწვეული პერსონალი აკეთებს განცხადებას დეპარტამენტის ხელმძღვანელის სახელზე, რომელშიც მიუთითებს ამ დებულების 23.12 ქვეპუნქტით განსაზღვრული იმ სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტების ჩამონათვალს, რომელიც სურს განახორციელოს მომავალ აკადემიურ წელს, ჯგუფების რაოდენობის მითითებით. განაცხადის გაკეთებისას აკადემიური პირი ვალდებულია ითვალისწინებდეს საკუთარი კომპეტენციის შესაბამისობას არჩეულ სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტთან.

23.14. ფაკულტეტის დეპარტამენტის სხდომაზე ხდება, აკადემიურ პერსონალს შორის, განცხადებებში დაფიქსირებული არჩევანის გათვალისწინებით დატვირთვების გადანაწილების განხილვა, იმ შემთხვევაში, თუკი ერთსა და იმავე სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტის განხორციელებაზე რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა აღემატება არსებულ მოთხოვნას, განაწილებისას უპირატესობა მიენიჭება იმ პირს, რომელსაც მეტად უდასტურდება მოცემული კომპონენტის განხორციელების კომპეტენცია;

23.15. თანამშრომელთა აკადემიური დატვირთვა ფორმდება აკადემიური წლის ინდივიდუალური სამუშაო გეგმების სახით, რომელთა პროექტებს ამზადებს ფაკულტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი აკადემიური წლის დაწყებამდე, სულ ცოტა, 3 კვირით ადრე.

23.16. თანამშრომელთა აკადემიური წლის ინდივიდუალური სამუშაო გეგმების პროექტების შედგენისას სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობად განიხილება სტუდენტთა უდიდესი შესაძლებელი რაოდენობა, მომდევნო აკადემიურ წელს მისაღები კონტინგენტის მაქსიმუმის ვარაუდით.

23.17. აკადემიური წლის ინდივიდუალური სამუშაო გეგმის პროექტში აისახება ამ თავის 23.4 პუნქტით გათვალისწინებული ყველა სამუშაო. სამუშაოები ნაწილდება აკადემიური წლის სემესტრებზე.

23.18. პერსონალური ინდივიდუალური სამუშაო გეგმების პროექტები შედგენისთანავე, ელექტრონული ფოსტით, ეგზავნება დეპარტამენტის ყველა თანამშრომელს. თანამშრომელი უფლებამოსილია, გეგმების პროექტების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში დასაბუთებული წერილობითი პრეტენზიით, მხოლოდ თავისი ინდივიდუალური სამუშაო გეგმის პროექტთან დაკავშირებით, მიმართოს დეპარტამენტის ხელმძღვანელს, რომელმაც შეადგინა გეგმის პროექტი.

23.19. პრეტენზიები ინდივიდუალურ სამუშაო გეგმებთან დაკავშირებით განიხილება ფაკულტეტის დეპარტამენტის სხდომაზე, რომელიც უნდა გაიმართოს გეგმების პროექტების თანამშრომელთათვის დაგზავნიდან არაუადრეს ერთი კვირის და არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

23.20. თუ ფაკულტეტის დეპარტამენტის სხდომა, დეპარტამენტის თანამშრომელთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, დაადგენს, რომ პრეტენზიები უნდა დაკმაყოფილდეს, დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვალდებულია, შეასწოროს ინდივიდუალური სამუშაო გეგმების პროექტები დეპარტამენტის სხდომის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ამ სხდომის გამართვიდან ერთი კვირის ვადაში და შესწორებული პროექტები ელექტრონული ფოსტით დაუგზავნოს თანამშრომლებს.

23.21. დეპარტამენტის სხდომის გამართვის ამ თავის 23.20 პუნქტით გათვალისწინებული ზღვრული ვადის გასვლის მომდევნო სამუშაო დღეს ფაკულტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თანამშრომელთა აკადემიური წლის ინდივიდუალური სამუშაო გეგმების პროექტებს, დამოწმებულს თავისი ხელმოწერით, წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს.

23.22. ინდივიდუალური სამუშაო გეგმების პროექტებს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური ითვალისწინებს სასწავლო, კონსულტაციების და საგამოცდო ცხრილების შედგენისას.

23.23. ინდივიდუალური სამუშაო გეგმების საბოლოო ვარიანტებს, ამ გეგმების პროექტების, სასწავლო, კონსულტაციების და საგამოცდო ცხრილების მიხედვით, ამ თავის დებულებათა გათვალისწინებით, ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი აკადემიური წლის საშემოდგომო სემესტრის სასწავლო და კონსულტაციების ცხრილების დამტკიცებიდან ერთი კვირის ვადაში.

23.24. დამტკიცებული ინდივიდუალური გეგმების ასლებს ფაკულტეტის დეკანი გადასცემს დეპარტამენტის ხელმძღვანელებს, ხოლო დედნებს - იურიდიული და საქმისწარმოების სამსახურს.

23.25. იურიდიული და საქმისწარმოების სამსახური თანამშრომლის ინდივიდუალური სამუშაო გეგმის თითო დამოწმებულ ასლს გადასცემს თანამშრომელს, სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს და ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ხოლო ერთ ასლს ინახავს თანამშრომლის პირად საქმეში.

23.26. ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახური თანამშრომლის შრომის ანაზღაურებას გამოთვლის ამ დებულების 23.4 პუნქტით განსაზღვრული პროცენტული წილების გათვალისწინებით, წარმოდგენილი წლიური დატვირთვის შესაბამისად.

23.27. აკადემიური პერსონალი ვალდებულია ყოველი სემესტრის ბოლოს დეპარტამენტების ხელმძღვანელებს წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში,

დამადასტურებელი დოკუმენტებით, რომელსაც ვიზირებას უკეთებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და სტრატეგიული განვითარების, ინტერნაციონალიზაციისა და კვლევების განვითარების სამსახური, რის შემდეგაც ინფორმაცია მიეწოდება ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურს.

23.28. თუკი აკადემიური პერსონალის მიერ წინა სემესტრის მანძილზე შესრულებული სამუშაო ნაკლები აღმოჩნდა დამტკიცებულ ინდივიდუალურ დატვირთვებთან შედარებით, ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურს შეაქვს შესაბამისი კორექტირება აღნიშნული პირის შრომის ანაზღაურებაში მომავალი სემესტრის მანძილზე.

თავი XXIV. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა

24.1. ყოველი სემესტრის დაწყების წინ თითოეული სტუდენტი, ფაკულტეტის დეკანის ოფისის თანამშრომლის დახმარებით, ავსებს და ფაკულტეტის დეკანის ოფისში წარადგენს თავისი სემესტრული სასწავლო დატვირთვის განაცხადს. განაცხადის წარუდგენლობა ნიშნავს, რომ სტუდენტი არ აგრძელებს სწავლას დამდეგ სემესტრში.

24.2. თითოეული სტუდენტის სემესტრული სასწავლო დატვირთვის განაცხადის ფორმებს ყოველი სემესტრისათვის ამზადებს ფაკულტეტის დეკანის ოფისი.

24.3. სტუდენტის სემესტრული სასწავლო დატვირთვის განაცხადის ფორმაში შეიტანება:

ა) სტუდენტის გვარი, სახელი და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) აკადემიური წელი და ამ აკადემიური წლის სემესტრის დასახელება (საშემოდგომო, საგაზაფხულო);

გ) პროგრამის დასახელება;

დ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროგრამით სწავლის სემესტრის ნომერი;

ე) პროგრამის თავისუფალი კომპონენტებით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალი (მხოლოდ ბაკალავრიატის პროგრამებისათვის);

ვ) პროგრამის თავისუფალი კომპონენტებით გათვალისწინებული ყველა არჩევითი სასწავლო კურსის ჩამონათვალი (მხოლოდ ბაკალავრიატის პროგრამებისათვის);

ზ) პროგრამის ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კომპონენტების ჩამონათვალი;

თ) პროგრამის ძირითადი სპეციალობის ასარჩევი სასწავლო კურსების/მოდულების ჩამონათვალი;

ი) პროგრამის ყველა დამატებითი სპეციალობის და მასში შემავალი ყველა სასწავლო კურსის ჩამონათვალი (მხოლოდ ბაკალავრიატის პროგრამებისათვის);

კ) პროგრამის იმ კომპონენტების ჩამონათვალი, რომლებიც განმეორებით უნდა ისწავლოს/გაიაროს სტუდენტმა (თუ ამ კომპონენტს სწავლობდა/გადიოდა წინა პერიოდში და მისი სწავლის შედეგის მიღწევის დონე შეფასებულია ნიშნით FX);

ლ) იმ კომპონენტების ჩამონათვალი, რომლებიც დამატებით უნდა ისწავლოს/გაიაროს სტუდენტმა მიმდინარე სემესტრში (სავალდებულო კომპონენტები, რომელთა სწავლა

პროგრამის სტანდარტული სასწავლო გეგმით მიმდინარე და მომდევნო სემესტრებში გათვალისწინებული არაა - მხოლოდ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ან უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამიდან გადმოსული სტუდენტებისათვის).

24.4. სტუდენტის სემესტრული სასწავლო დატვირთვის განაცხადში შეიტანება მხოლოდ ის სასწავლო კომპონენტები, რომელთა სწავლა/გავლა შესაძლებელია დამდეგ სემესტრში.

24.5. სტუდენტის სემესტრული სასწავლო განაცხადის ფორმაში, სასწავლო კომპონენტის დასახელებასთან ერთად, შეტანილ უნდა იყოს ამ კომპონენტის სწავლით/გავლით სტუდენტისათვის მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა, კომპონენტის სწავლის/გავლის წინაპირობა ან/და თანაპირობა, სასწავლო კურსის ლექტორის აკადემიური თანამდებობა, გვარი და სახელი.

24.6. თუ ერთიდაიგივე სასწავლო კურსს ერთი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რამოდენიმე ჯგუფში ასწავლის სხვადასხვა ლექტორი, მაშინ ეს სასწავლო კურსი სტუდენტის სემესტრული სასწავლო განაცხადის ფორმაში შეტანილ უნდა იქნეს ცალ-ცალკე, იმდენჯერ, რამდენი ლექტორიც ასწავლის სასწავლო კურსს.

24.7. სასწავლო კომპონენტის სწავლის/გავლის წინაპირობაა ის, რომ ამ კომპონენტის სასწავლად/გასავლელად აუცილებელია, სტუდენტს ნასწავლი/გავლილი ჰქონდეს პროგრამით გათვალისწინებული სხვა სასწავლო კომპონენტები.

24.8. თუ დამდეგ სემესტრში გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკის გავლა, განაცხადს თან დაერთვება პრაქტიკის ობიექტის არჩევის განაცხადი.

24.9. თუ დამდეგ სემესტრში გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, განაცხადს თან დაერთვება საბაკალავრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის არჩევის განაცხადი.

24.10. თუ დამდეგ სემესტრში გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულება, განაცხადს თან დაერთვება სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის არჩევის განაცხადი.

24.11. სტუდენტი, სემესტრული სასწავლო დატვირთვის განაცხადის ფორმის შესაბამის ველებში აღნიშვნების შეტანით, პირველი, მე-2 და მე-3 პრიორიტეტით ირჩევს:

ა) პროგრამის თავისუფალი კომპონენტების, ძირითადი და დამატებითი სპეციალობების სავალდებულო სასწავლო კურსებს - მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთიდაიგივე პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსს ასწავლის რამოდენიმე ლექტორი;

ბ) პროგრამის თავისუფალი კომპონენტების და ძირითადი სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს;

გ) პროგრამის ძირითადი სპეციალობის არჩევით სასწავლო მოდულს;

დ) დამატებით სპეციალობას;

ე) ბაკალავრიატის პროგრამის დამატებითი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს - მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთიდაიგივე პროგრამის ფარგლებში სასაწავლო კურსს ასწავლის რამოდენიმე ლექტორი;

ვ) განმეორებით სასწავლ/გასავლელ კომპონენტებს - თუ სტუდენტის ამ კომპონენტით სწავლის მიღწევის დონე სწავლის განვლილ პერიოდში უარყოფითადაა შეფასებული;

ზ) დამატებით სასწავლ/გასავლელ კომპონენტებს - თუ სტუდენტი გადმოსულია სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამიდან და აქვს დამდეგი და მომდევნო სემესტრებისათვის საგანმანათლებლო

პროგრამის კურიკულუმით გაუთვალისწინებელი სასწავლო კომპონენტების სწავლის/გავლის ვალდებულება.

24.12. თუ ამ თავის 24.11 პუნქტის მიხედვით ასარჩევია 3 ან მეტი ვარიანტიდან, სტუდენტი არჩეულ 3 ვარიანტს ანიჭებს პრიორიტეტებს სემესტრული სასწავლო დატვირთვის განაცხადის ფორმაში არჩეული ვარიანტების გასწვრივ, შესაბამის ველებში, ციფრების - „1“, „2“ და „3“ დასმით.

24.13. თუ ამ თავის 24.11 პუნქტის მიხედვით ასარჩევია მხოლოდ 2 ვარიანტიდან, სტუდენტი არჩეულ 2 ვარიანტს ანიჭებს პრიორიტეტებს სემესტრული სასწავლო დატვირთვის განაცხადის ფორმაში არჩეული ვარიანტების გასწვრივ, შესაბამის ველებში, ციფრების - „1“ და „2“ დასმით.

24.14. სემესტრული დატვირთვის განაცხადის შევსებისას, თუ ასარჩევია ამ თავის 24.11. პუნქტის „ზ“ ან/და „თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კომპონენტები, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ სასწავლო დატვირთვის მოცულობამ დამდეგი სემესტრის განმავლობაში არ უნდა გადააჭარბოს 45 კრედიტს, ხოლო დამდეგი/მიმდინარე აკადემიური წლის განმავლობაში - 75 კრედიტს.

24.15. სტუდენტი განაცხადს ავსებს 2 პირად, ხელს აწერს ორივე პირს, ერთს იტოვებს თავისთან, მეორეს კი გადასცემს ფაკულტეტის დეკანის ოფისს.

24.16. სემესტრული სასწავლო დატვირთვის განაცხადებს პროგრამით სწავლის პირველი სემესტრისათვის სტუდენტები ავსებენ და აბარებენ ფაკულტეტის დეკანის ოფისს მათთან სწავლება-სწავლის ხელშეკრულებების გაფორმებისას, სხვა სემესტრებისათვის - არაუგვინეს 2 კვირით ადრე სემესტრის დაწყებამდე.

24.17. არაუგვიანეს სემესტრის დაწყებამდე 2 კვირით ადრე ფაკულტეტის დეკანის ოფისი ადგენს და ფაკულტეტის დეკანი ბრძანებით ამტკიცებს სტუდენტთა რეიტინგულ სიებს ცალ-ცალკე, ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის თითოეული პროგრამისათვის, პროგრამით სწავლის განვლილ პერიოდში მიღწევების შეფასების კუმულატიური შეწონილი ქულის (GPA) მიხედვით.

24.18. რეიტინგულ სიაში პირველ ნომრად იწერება სტუდენტი, რომლის მიღწევების შეფასების კუმულატიური შეწონილი ქულა (GPA), აკადემიური უმაღლესი განათლების მოცემული საფეხურის პროგრამით/პროგრამებით სწავლის მთელ პერიოდზე გაანგარიშებით, ყველაზე მაღალია. თუ ეს მაჩვენებელი ორი ან რამოდენიმე სტუდენტისათვის ერთნაირია, სიაში წინ იწერება ის სტუდენტი, რომელსაც უფრო მეტჯერ აქვს მიღებული შეფასების ნიშანი A.

24.19. სტუდენტების სემესტრული დატვირთვის განაცხადების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში ფაკულტეტის დეკანის ოფისი, მათი ანალიზის საფუძველზე, ამზადებს თითოეული სტუდენტის სემესტრულ დატვირთვის პროექტს დამდეგი სემესტრისათვის.

24.20. სტუდენტების სემესტრულ დატვირთვებს ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი, პროექტების შედგენის ვადის ამოწურვიდან მომდევნო 3 სამუშაო დღის ვადაში. სემესტრული დატვირთვა მტკიცდება 2 პირად, რომელთაგან ერთი გადაეცემა სტუდენტს, მეორე კი ინახება მის პირად საქმეში. სტუდენტისათვის სემესტრული დატვირთვის ელექტრონული ასლის გადაგზავნა ელექტრონული ფოსტით უთანაბრდება მისთვის გადაცემას.

24.21. სტუდენტების დამტკიცებული სემესტრული დატვირთვის საფუძველზე ყალიბდება სტუდენტთა სასწავლო ჯგუფები, დგება სასწავლო, კონსულტაციებისა და საგამოცდო ცხრილები.

თავი XXV. სტუდენტთა სასწავლო ჯგუფებში გაერთიანების წესი

25.1. სტუდენტები ერთიანდებიან სასწავლო ჯგუფებში პროგრამების სასწავლო კურსების ჯგუფურად სწავლა-სწავლების მიზნით. სტუდენტთა სასწავლო ჯგუფი არის მინიმალური ერთეული, რომლისთვისაც ტარდება სასწავლო კურსის პრაქტიკუმი.

25.2. სტუდენტთა რაოდენობა ერთ სასწავლო ჯგუფში არ უნდა იყოს 20-ზე მეტი.

25.3. სტუდენტთა სასწავლო ჯგუფი აერთიანებს აკადემიური უმაღლესი განათლების ერთიდაიგივე საფეხურის სტუდენტებს, რომლებიც მიმდინარე სემესტრში სწავლობენ შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების ერთიდაიგივე სასწავლო კურსს/კურსებს.

25.4. ბაკალავრიატის ძირითადი სპეციალობის ან მაგისტრატურის ერთიდაიგივე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მიზნით, ერთიანდებიან პროგრამის ძირითად ჯგუფში (ჯგუფებში).

25.5. ბაკალავრიატის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები, რომელიმე დამატებითი (minor) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კომპონენტების სწავლება-სწავლის მიზნით, ერთიანდებიან მოცემული დამატებითი სპეციალობის ჯგუფში (ჯგუფებში).

25.6. აკადემიური უმაღლესი განათლების ერთიდაიგივე საფეხურის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები, რომლებიც მიმდინარე სემესტრში სწავლობენ ერთსადაიმავე არჩევით სასწავლო კურსს, ამ კურსის სწავლება-სწავლის მიზნით ერთიანდებიან საგნობრივ ჯგუფში (ჯგუფებში).

25.7. სტუდენტთა უმცირესი დასაშვები რაოდენობა საგნობრივ ჯგუფებში, გარდა დოქტორანტურის საფეხურისა, არის 10. თუ იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც ასეთ ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ, 10-ზე ნაკლებია, ჯგუფი არ შეიქმნება და ეს სტუდენტები გადანაწილდებიან სხვა ჯგუფებში ისე, რომ ისწავლონ სხვა არჩევითი სასწავლო კურსი სემესტრული სასწავლო დატვირთვის მათ განაცხადებში მითითებული პრიორიტეტების შესაბამისად. ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება უნივერსიტეტის რექტორის თანხმობით, ფაკულტეტის დეკანის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

25.8. სტუდენტები, რომლებმაც განმეორებით უნდა ისწავლონ რომელიმე სასწავლო კურსი იმის გამო, რომ იგი არ/ვერ ისწავლეს განვლილ სემესტრში/სემესტრებში და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამიდან გადმოსული სტუდენტები, რომლებმაც დამატებით უნდა ისწავლონ იგივე სასწავლო კურსი, მხოლოდ ამ სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მიზნით, ირიცხებიან არსებულ ჯგუფებში (მათ შორის ძირითადში ან დამატებითი სპეციალობის), რომლებიც მოცემულ სასწავლო კურსს სწავლობენ მიმდინარე სემესტრში. თუ ასეთი ჯგუფები მიმდინარე სემესტრში არ იარსებებს, დასაშვებია ამ პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტებისათვის საგნობრივი ჯგუფის/ჯგუფების შექმნა რექტორის თანხმობით, ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

25.9. ყველა ჯგუფს ენიჭება თავისი უნიკალური ნომერი სასწავლო, კონსულტაციების და საგამოცდო ცხრილების შედგენისას მათი ზუსტი იდენტიფიცირების მიზნით.

25.10. ძირითადი და დამატებითი სპეციალობის ჯგუფის ნომერი წარმოადგენს შემდეგ კოდს:

FFSPPN-YY,

სადაც FFSPPN - აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ინდექსია ფაკულტეტებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების საუნივერსიტეტო რეესტრში (ამ ინდექსში FF არის ფაკულტეტის ორნიშნა რიგითი ნომერი; S - აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურის ინდექსი: B - ბაკალავრიატი, DM- ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების ინგლისურენოვანი პროგრამა, M - მაგისტრატურა, D - დოქტორანტურა; PP - აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის რიგითი ორნიშნა ნომერი);

YY - ძირითადი ჯგუფისათვის: იმ კალენდარული წლის ბოლო ორი ციფრი, რომელშიც ჯგუფის სტუდენტები ჩაირიცხნენ უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებით; დამატებითი სპეციალობის ჯგუფისათვის: იმ კალენდარული წლის ბოლო ორი ციფრი, რომელშიც დაკომპლექტდა ეს ჯგუფი პირველად;

N - ჯგუფის რიგითი ნომერი იმ ჯგუფებს შორის, რომელთა დანარჩენი ინდექსები იდენტურია (თუ ასეთები არ არსებობს ამ ინდექსის მნიშვნელობაა 1).

25.11. საგნობრივი ჯგუფის ნომერი წარმოადგენს შემდეგ კოდს:

FFSCCCCN-YY,

სადაც FFSCCCC სასწავლო კურსის ინდექსია აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტების საუნივერსიტეტო რეესტრში (ამ ინდექსში FF, S და N იგივეა, რაც 25.10 პუნქტში; CCCC სასწავლო კურსის ინდექსია აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტების რეესტრის მიხედვით);

YY - იმ აკადემიური წლის (საშემოდგომო სემესტრის დაწყების კალენდარული წლის) ბოლო ორი ციფრი, რომელშიც შეიქმნა ჯგუფი ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.

25.12. ვიდრე უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი ფაკულტეტია, ჯგუფის ნომერში FF ინდექსი არ აღინიშნება.

25.13. თუ ერთიდაიგივე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რამოდენიმე ჯგუფია ჩამოსაყალიბებელი, სტუდენტების ამ ჯგუფებში განაწილებისას დაცული უნდა იყოს ასაკობრივი და გენდერული ბალანსი და ბალანსი სწავლის შედეგების მიღწევის დონის მიხედვით სწავლება-სწავლის განვლილ პერიოდში (იმათთვის, ვინც სწავლას იწყებს პირველი სემესტრიდან - ბალანსი ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებით).

25.14. სტუდენტთა სასწავლო ჯგუფები იქმნება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. ბრძანებაში მიეთითება ჯგუფის ნომერი, ჯგუფში გაერთიანებული სტუდენტების გვარი, სახელი და საიდენტიფიკაციო ნომერი. ბრძანების პროექტს ადგენს ფაკულტეტის დეკანის ოფისი.

25.15. სასწავლო ჯგუფი, როგორც წესი, იქმნება სემესტრის დაწყებამდე. სემესტრის განმავლობაში სასწავლო ჯგუფი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაიზარდა სტუდენტთა რაოდენობა და ამის გამო მათი არსებულ ჯგუფებში განაწილება შეუძლებელია.

25.16. ფაკულტეტის დეკანის ბრძანება სასწავლო ჯგუფების შექმნის შესახებ სემესტრის დაწყებამდე უნდა გამოიცეს არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე სემესტრის დაწყების დღემდე, გამოცემისთანავე განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ბრძანება უნდა გამოქვეყნდეს სტუდენტთა საიდენტიფიკაციო ნომრების გარეშე.

25.17. თუ სტუდენტი ჩაირიცხება უნივერსიტეტში სემესტრის დაწყების შემდეგ ან სემესტრის დაწყების შემდეგ სტატუსი აღუდგება სტუდენტს, რომელსაც იგი შეწყვეტილი ჰქონდა სემესტრის დაწყებამდე, ფაკულტეტის დეკანი, არაუგვიანეს სტუდენტის ჩარიცხვის/სტატუსის აღდგენის მომდევნო სამუშაო დღისა, გამოსცემს ბრძანებას იმის შესახებ, რომელ ჯგუფში/ჯგუფებში ისწავლის იგი სასწავლო კურსებს. ბრძანების დამოწმებულ ასლს ფაკულტეტის დეკანის ოფისი დაუყოვნებლივ გადასცემს სტუდენტს.

25.18. ძირითადი და დამატებითი სპეციალობის ადრე შექმნილი ჯგუფი არსებობს მანამ, სანამ არ გაუქმდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.

25.19. საგნობრივი ჯგუფი არსებობს ერთი სემესტრის განმავლობაში. ფაკულტეტის დეკანის ბრძანება მის გაუქმებაზე გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი უქმდება მისი შექმნის სემესტრის დასრულებამდე.

25.20. თუ სასწავლო ჯგუფი უქმდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით ისე, რომ ამ ჯგუფის ყველა სტუდენტს არ აქვს დამთავრებული სწავლა შესაბამისი პროგრამით ან სასწავლო კურსით, ამავე ბრძანებაში უნდა იყოს მითითებული, რომელ სხვა ჯგუფში გააგრძელებს სწავლას ასეთი სტუდენტი.

25.21. სემესტრის განმავლობაში სტუდენტის გადაყვანა ერთიდან სხვა სასწავლო ჯგუფში, თუ ჯგუფი არ უქმდება, დასაშვებია მხოლოდ სტუდენტის დასაბუთებული მოთხოვნით, წერილობითი განცხადების საფუძველზე ფაკულტეტის დეკანისადმი. გადაყვანა ფორმდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. ბრძანების დამოწმებულ ასლს ფაკულტეტის დეკანის ოფისი დაუყოვნებლივ გადასცემს სტუდენტს.

25.22. უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების და აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტების რეესტრებს ამტკიცებს რექტორი.

თავი XXVI. სასწავლო, კონსულტაციებისა და საგამოცდო ცხრილების შედგენისა და გამოქვეყნების წესები

26.1. სასწავლო ცხრილი წარმოადგენს ყოველ სასწავლო ჯგუფში პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის ლექციებისა და პრაქტიკუმების ჩატარების კვირეულ გრაფიკს.

26.2. სასწავლო ცხრილი დგება მთელ სემესტრზე - სემესტრის ყველა სასწავლო კვირაზე ან სემესტრის ნაწილზე - სასწავლო კვირების თანმიმდევრულ ერთობლიობაზე.

26.3. სასწავლო ცხრილში სტუდენტთა თითოეული ჯგუფისათვის აისახება პროგრამის სასწავლო კურსის დასახელება, მეცადინეობის ფორმა (ლექცია ან პრაქტიკუმი), ლექტორის/მასწავლებლის ვინაობა, მეცადინეობის დაწყებისა და დამთავრების დრო და აუდიტორია, რომელშიც ჩატარდება მეცადინეობა.

26.4. სტუდენტთა სასწავლო ჯგუფი არის მინიმალური ერთეული, რომლისთვისაც ტარდება პრატიკუმი.

26.5. დასაშვებია ლექციის ჩატარება ჯგუფთა ნაკადისათვის - რამოდენიმე ჯგუფისათვის ერთდროულად - შემდეგი სავალდებულო პირობების დაცვით:

ა) ნაკადის ყველა ჯგუფი სწავლობს აკადემიური უმაღლესი განათლების ერთიდაიგივე საფეხურის ერთსადაიმავე სასწავლო კურსს;

ბ) ნაკადის ყველა ჯგუფი მიმდინარე ლექციაზე/პრაქტიკუმზე სწავლობს სასწავლო კურსის ერთსადაიმავე თემას;

გ) ლექციაზე სტუდენტთა რაოდენობა შეზღუდული არაა, თუ აუდიტორიაში, სადაც ლექცია ტარდება, თითოეული სტუდენტი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სამუშაო ადგილით (მაგიდა და სკამი ან მერხი) და ლექტორი ვიზუალურად აღიქმება, ხოლო მისი ხმა თავისუფლად, მკაფიოდ და გასაგებად წვდება სტუდენტის მისგან ყველაზე უფრო დაშორებულ სამუშაო ადგილს;

დ) პრაქტიკუმზე სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა იყოს 20-ზე მეტი.

26.6. ყოველი ლექციის/პრაქტიკუმის ხანგრძლივობაა 50 წუთი. ყოველი ლექციის/პრაქტიკუმის შემდეგ არის შესვენება არანაკლებ 10 წუთისა. 13:00-დან 14:00 საათამდე პერიოდში გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასადილო შესვენება არანაკლებ 30წუთის ხანგრძლივობით.

26.7. დღის განმავლობაში ლექცია-პრაქტიკუმების და შესვენებების დაწყება-დამთავრების დრო მუდმივია კვირის ყველა დღისათვის. დღის განმავლობაში ლექცია-პრაქტიკუმებისა და სასადილო შესვენების დაწყება-დასრულების დროს ბრძანებით განსაზღვრავს რექტორი.

26.8. სასწავლო ცხრილების შედგენისას მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს შუალედები ერთიდაიგივე ჯგუფის ორ მომიჯნავე ლექციას/პრაქტიკუმს შორის.

26.9. სასწავლო ცხრილი დგება აკადემიური, მასწავლებელთა და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის თანამშრომლებთან შეთანხმებით, მათი ინტერესების გათვალისწინებით, დამტკიცებული ინდივიდუალური სამუშაო გეგმების საფუძველზე.

26.10. სასწავლო ცხრილების შედგენისას აკადემიური, მასწავლებელთა და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის თანამშრომლების ინტერესები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თანამშრომლები;

ბ) ორსული, ახალნამშობიარები (მშობიარობიდან 6 თვის განმავლობაში) და მეძუძური ქალები;

გ) თანამშრომლები, რომლებიც ფაქტობრივად უვლიან ბავშვს, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი;

დ) თანამშრომლები, რომლებიც უნივერსიტეტში მუშაობენ სამუშაოს საათობრივად შესრულების პირობით და, ძირითადად, დასაქმებული არიან სხვა დაწესებულებაში/ორგანიზაციაში;

ე) თანამშრომლები, რომლებიც უნივერსიტეტში მუშაობენ არასრული სამუშაო დღეების რეჟიმით და პარალელურად დასაქმებული არიან სხვა დაწესებულებაში/ორგანიზაციაში;

ვ) თანამშრომლები, რომლებიც უნივერსიტეტში მუშაობენ სამუშაოს საათობრივად შესრულების პირობით ან არასრული სამუშაო დღეების რეჟიმით და სხვაგან არ არიან დასაქმებული;

ზ) თანამშრომლები, რომლებსაც უნივერსიტეტში უკავიათ ადმინისტრაციული თანამდებობაც;

თ) დანარჩენი თანამშრომლები.

26.11. კონსულტაციების ცხრილი წარმოადგენს აკადემიური, მასწავლებელთა და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა იმ თანამშრომლების მიერ ამ დებულების 23.5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კონსულტაციების ჩატარების კვირეულ გრაფიკს, რომლებიც მიმდინარე სემესტრში არიან ერთი ან რამოდენიმე სასწავლო კურსის ლექტორები/მასწავლებლები. კონსულტაციების ცხრილში ცალკე აისახება აგრეთვე თანამშრომლის კონსულტაციები საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის შემსრულებელი სტუდენტებისათვის სემესტრის სასწავლო კვირებში - კვირაში 1 საათი, თუ თანამშრომელი მხოლოდ საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელია და კვირაში 2 საათი, თუ იგი სამაგისტრო ან საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელია.

26.12. კონსულტაციების ცხრილი დგება იმავე პერიოდზე, რომელზეც შედგენილია სასწავლო ცხრილი.

26.13. კონსულტაციების ცხრილში აისახება ამ თავის 26.11 პუნქტით გათვალისწინებული თითოეული ლექტორის/მასწავლებლის ვინაობა, კონსულტაციის დაწყებისა და დამთავრების დრო და სივრცე უნივერსიტეტის შენობაში, რომელშიც შეიძლება სტუდენტმა მიიღოს კონსულტაცია მითითებულ დროს.

26.14. საგამოცდო ცხრილები დგება ცალ-ცალკე სემესტრის შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდებისთავის.

26.15. შუალედური გამოცდების საგამოცდო ცხრილი წარმოადგენს ყოველ სასწავლო ჯგუფში თითოეული სასწავლო კურსის შუალედური გამოცდების ჩატარების გრაფიკს სემესტრის შუალედური გამოცდების კვირებისათვის.

26.16. შუალედური გამოცდების ცხრილში სტუდენტთა თითოეული ჯგუფისათვის აისახება პროგრამის სასწავლო კურსის დასახელება, ამ სასწავლო კურსის წინასაგამოცდო კონსულტაციისა და შუალედური გამოცდის დაწყების დრო და აუდიტორია, რომელშიც ჩატარდება წინასაგამოცდო კონსულტაცია/შუალედური გამოცდა, კურსის ლექტორის ვინაობა.

26.17. დასკვნითი გამოცდების საგამოცდო ცხრილი წარმოადგენს ყოველ სასწავლო ჯგუფში თითოეული სასწავლო კურსის დასკვნითი გამოცდების, პროფესიული, სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომების, აგრეთვე - სადოქტორო სემინარების ნაშრომების დასკვნითი შეფასების ჩატარების გრაფიკს სემესტრის დასკვნითი გამოცდების კვირებისათვის.

26.18. დასკვნითი გამოცდების საგამოცდო ცხრილში აისახება:

ა) სტუდენტთა თითოეული სასწავლო ჯგუფისათვის:

- პროგრამის სასწავლო კურსის დასახელება, ამ სასწავლო კურსის წინასაგამოცდო კონსულტაციისა და დასკვნითი გამოცდის დაწყების დრო და აუდიტორია, რომელშიც ჩატარდება წინასაგამოცდო კონსულტაცია/დასკვნითი გამოცდა, კურსის ლექტორის ვინაობა;
- პროფესიული პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომების დასკვნითი შეფასების დაწყების დრო და აუდიტორია, რომელშიც ჩატარდება სტუდენტთა მოხსენებების მოსმენა პროფესიული პრაქტიკის ანგარიშისა და საბაკალავრო ნაშრომების შესახებ;

ბ) თითოეული დოქტორანტისათვის:

- დოქტორანტის ვინაობა, მისი პედაგოგიური პრაქტიკის ანგარიშის ან სადოქტორო სემინარის ნაშრომის დასკვნითი შეფასების დრო და აუდიტორია, რომელშიც ჩატარდება დოქტორანტის მოხსენების მოსმენა პედაგოგიური პრაქტიკის ანგარიშისა და სადოქტორო სემინარის ნაშრომის შესახებ.

26.19. დამატებითი გამოცდების საგამოცდო ცხრილი წარმოადგენს ყოველ სასწავლო ჯგუფში თითოეული სასწავლო კურსის დამატებითი გამოცდების, პროფესიული, სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკის, საბაკალავრო ნაშრომების დამატებითი შეფასებების და სამაგისტრო ნაშრომებისა და დისერტაციების დასკვნითი შეფასებების ჩატარების გრაფიკს სემესტრის დამატებითი გამოცდების კვირებისათვის.

26.20. დამატებითი გამოცდების საგამოცდო ცხრილში აისახება:

ა) სტუდენტთა თითოეული სასწავლო ჯგუფისათვის:

- პროგრამის სასწავლო კურსის დასახელება, მისი დამატებითი გამოცდის დაწყების დრო და აუდიტორია, რომელშიც ჩატარდება გამოცდა, კურსის ლექტორის ვინაობა;
- პროფესიული პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომების დამატებითი შეფასების დაწყების დრო და აუდიტორია, რომელშიც ჩატარდება სტუდენტთა მოხსენებების მოსმენა პროფესიული პრაქტიკის ანგარიშისა და საბაკალავრო ნაშრომების შესახებ;
- სამაგისტრო ნაშრომების დასკვნითი შეფასების დაწყების დრო და აუდიტორია, რომელშიც ჩატარდება მაგისტრანტთა მოხსენებების საჯარო მოსმენა სამაგისტრო ნაშრომების შესახებ;

ბ) თითოეული დოქტორანტისათვის:

- დოქტორანტის ვინაობა, მისი პედაგოგიური პრაქტიკის ანგარიშის ან სადოქტორო სემინარის ნაშრომის დამატებითი შეფასების დრო და აუდიტორია, რომელშიც ჩატარდება დოქტორანტის მოხსენების მოსმენა პედაგოგიური პრაქტიკის ანგარიშისა და სადოქტორო სემინარის ნაშრომის შესახებ;
- დოქტორანტის ვინაობა, მისი დისერტაციის დაცვის დრო და აუდიტორია, რომელშიც ჩატარდება დისერტაციის დაცვა - სადისერტაციო კომისიის საჯარო სხდომა.

26.21. უნივერსიტეტში სასწავლო კურსების გამოცდები და პროგრამის სხვა კომპონენტების დასკვნითი/დამატებითი შეფასებები დღის განმავლობაში იწყება ერთდროულად.

26.22. დასაშვებია, დღის განმავლობაში გამოცდების/შეფასებების რამოდენიმე ნაკადად ჩატარება. შუალედი გამოცდების/შეფასებების ორი მომიჯნავე ნაკადის დაწყებას შორის არ უნდა იყოს 1 საათზე ნაკლები. შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების კვირებში გამოცდების/შეფასებების ნაკადების დაწყების დროს ბრძანებით განსაზღვრავს რექტორი.

26.23. საგამოცდო ცხრილები ისე უნდა შედგეს, რომ სტუდენტთა ერთი ჯგუფის/ერთი სტუდენტისათვის ერთ დღეს ტარდებოდეს მხოლოდ ერთი გამოცდა/შეფასება. შუალედი ორ მომიჯნავე გამოცდას/შეფასებას შორის უნდა იყოს, რამდენადაც შესაძლებელია, ხანგრძლივი.

26.24. სასწავლო, კონსულტაციებისა და საგამოცდო ცხრილებს ადგენს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური და ამოწმებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი ხელმოწერით და ბეჭდით.

26.25. სასწავლო, კონსულტაციების და საგამოცდო ცხრილი უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მის ამოქმედებამდე, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე.

თავი XXVII. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტთა სწავლების წესები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

27.1. საგანმანათლებლო სპეციალური რეჟიმის საჭიროებაა როდესაც სტუდენტი:
ა) იმყოფება ვადიან სამხედრო სავალდებულო სამსახურში;
ბ) არის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით;
გ) არის დასაქმებული;
დ) არის პროფესიონალი სპორტსმენი და მონაწილეობს რეგულარულ ტურნირებში ან პერიოდულ ტურნირებში, რომელთა რაოდენობა აკადემიური წლის განმავლობაში 6-ზე მეტია ან არის საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი და გასულ და მიმდინარე წელს მის შემადგენლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული, სულ ცოტა, 2 ტურნირში;
ე) არის ხელოვანი-შემსრულებელი და გასულ და მიმდინარე წელს მონაწილეობა აქვს მიღებული, სულ ცოტა, 10 კონცერტში ან/და კონკურსში;
27.2. სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმის საჭიროების სტუდენტების სწავლა-სწავლება სასწავლო კურსებითაც, სტუდენტის სურვილის შემთხვევაში, შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალურად (სწავლება სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით).
27.3. აგრეთვე, სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმის საჭიროების მქონეა სტუდენტი - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;
27.4. უნივერსიტეტის შშმ პირთათვის, კერძოდ: უსინათლო და ეტლით მოსარგებლე პირებისთვის ეტაპიბრივად უზრუნველყოფს ადაპტირებულ გარემოს, პერიოდულად სთავაზობს მათ სწავლის საფასურის ინდივიდუალურ ფასდაკლებებს, ან უფასო საგანმანათლებლო პროგრამებს, საჭიროებისას იწვევს ადაპტირებული/ხელმისაწვდომი განათლების მისაღებად სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლებს, სტუდენტთა საჭიროების შესაბამისად აღჭურავს უნივერსიტეტს შესაბამისი ტექნიკითა და ინვეტარით.
27.5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტის სწავლა-სწავლება, სტუდენტის სურვილის შემთხვევაში, შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.
27.6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის უფლება აქვს სტუდენტს:
ა) რომელიც, გადმოვიდა მობილობის წესით, და არ აქვს შესაძლებლობა პროგრამის კომპონენტები აითვისოს უნივერსიტეტის სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სემესტრში, კონკრეტული საგნის წინაპირობის გამო.
ბ) რომელმაც, ვერ აითვისა პროგრამის შესაბამისი კრედიტები სასწავლო გეგმით განსაზღვრულ დროს.
27.7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლისას სტუდენტი:
ა) პროგრამის ყველა სასწავლო კურსს, ან მათ ნაწილს სწავლობს ლექცია-პრაქტიკუმების ფორმით ამ დებულებით გათვალისწინებული ცხრილების მიხედვით
ბ) პრაქტიკის, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო სემინარების ნაშრომებით სწავლისას კონსულტაციებს შესაბამისი კომპონენტის ხელმძღვანელთან გადის არა კონსულტაციების ცხრილის მიხედვით.

27.8. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შუალედური და დასკვნითი შეფასება გამოცდით, აგრეთვე პროგრამის სხვა კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის დონის დასკვნითი შეფასება ხორციელდება ამ დებულებით დადგენილი საერთო წესებით, შესაბამის საგამოცდო კვირებში განსაზღვრულ დროს.

27.9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის უფლების მისაღებად სტუდენტი (მისი რწმუნებული), ფაკულტეტის დეკანის ოფისს წარუდგენს:

ა) განცხადებას რექტორისადმი, მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის უფლების მინიჭებაზე;

ბ) საბუთებს, რომლებითაც დასტურდება, რომ იგი არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტი.

27.10. ფაკულტეტის დეკანის ოფისი, ადგენს სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დამდეგი სემესტრისათვის.

27.11. სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში აისახება:

ა) პროგრამის თითოეული კომპონენტი, რომელსაც სტუდენტი ისწავლის დამდეგ სემესტრში;

ბ) პროგრამის კომპონენტის სასწავლო გეგმით განსაზღვრული სემესტრი და ინდივიდუალური გეგმის სემესტრი

გ) პროგრამის კომპონენტის წინაპირობა

27.12. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ფაკულტეტის დეკანის ოფისი ათანხმებს სტუდენტთან, რის დასტურადაც სტუდენტი ხელს აწერს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

27.13. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, სტუდენტთან შეთანხმების შემდეგ, ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი. დამტკიცებული გეგმის დედანი ინახება სტუდენტის პირად საქმეში, მის დამოწმებულ ასლებს კი ფაკულტეტის დეკანი ოფისი დაუყოვნებლივ გადასცემს სტუდენტს.

27.14. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

თავი XXVIII. უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების პროგრამებით სწავლის საფასური და მისი გადახდის წესი

28.1. უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების საფასური - თანხა, რომელიც უნდა აუნაზღაურდეს უნივერსიტეტს აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამით ერთი სტუდენტის სწავლებისათვის მოიცავს:

ა) სწავლის წლიურ საფასურს - თანხას, რომელიც უნდა აუნაზღაურდეს უნივერსიტეტს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში ერთი სტუდენტის სწავლებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტი განმეორებით სწავლობს პროგრამის ერთ ან რამოდენიმე კომპონენტს;

ბ) აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმეორებით სწავლის საფასურს - თანხას, რომელიც სწავლის წლიურ საფასურთან ერთად უნდა აუნაზღაურდეს უნივერსიტეტს იმისათვის, რომ სტუდენტი განმეორებით სწავლობს საგანმანათლებლო პროგრამის ერთ კომპონენტს.

28.2. უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების თითოეული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის წლიურ საფასურს განსაზღვრავს საერთო კრება რექტორის წარდგინებით, დებულების ამ თავით განსაზღვრული წესით.

28.3. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტები, რომლებიც ჩაირიცხებიან ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების ინგლისურენოვან პროგრამაზე, სწავლის წლიურ საფასურს სრულად დაფარავენ სასწავლო წლის დასაწყისში.
28.4. საერთო კრება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე, რექტორის წინადადების საფუძველზე განსაზღვრავს სწავლის წლიურ საფასურს მომავალი აკადემიური წლისათვის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ცალ-ცალკე.
28.5. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება განისაზღვროს ფასდაკლებები სწავლის საფასურზე უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტებისათვის. თუ სტუდენტს მოპოვებული აქვს ფასდაკლების მიღების უფლება, მისი სწავლის წლიური საფასური წამოადგენს სწავლის ამ თავის 28.3 პუნქტით განსაზღვრული წლიური საფასურის სიდიდეს, შემცირებულს ფასდაკლების სიდიდით.
28.6. თუ საერთო კრება არ განსაზღვრავს სწავლის წლიურ საფასურს ამ თავის 28.3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, მომავალი აკადემიური წლისათვის სწავლის წლიური საფასური იქნება ის, რაც არის მიმდინარე აკადემიურ წელს.
28.7. იმ სტუდენტისათვის, რომელიც ჩაირიცხა სწავლის დასაწყებად უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის/დოქტორანტურის/ ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლებისპროგრამებით პირველი სემესტრიდან, სწავლის წლიური საფასურის სიდიდე, განსაზღვრული ამ თავის 28.4-28.5 პუნქტებით, არ შეიძლება გაიზარდოს (გარდა ამ თავის 28.9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) უნივერსიტეტში ჩარიცხვის დღიდან:
ა) 4 აკადემიური წლის (8 სემესტრის) განმავლობაში ბაკალავრიატის პროგრამების სტუდენტებისათვის;
ბ) 2 აკადემიური წლის (4 სემესტრის) განმავლობაში მაგისტრანტებისათვის;
გ) 3 აკადემიური წლის (6 სემესტრის) განმავლობაში დოქტორანტებისათვის;
დ) 6 აკადემიური წლის (12 სემესტრის) განმავლობაში ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამებით.
28.8. იმ სტუდენტისათვის, რომელიც ჩაირიცხა სწავლის გასაგრძელებლად უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის/დოქტორანტურის/ ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამებით მე-2 ან მომდევნო სემესტრიდან, სწავლის საფასური, განსაზღვრული ამ თავის 28.4-28.5 პუნქტებით, არ შეიძლება გაიზარდოს (გარდა ამ თავის 28.9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) უნივერსიტეტში ჩარიცხვის სემესტრიდან იმდენი სემესტრის განმავლობაში, რამდენსაც შეადგენს სხვაობა აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი პროგრამისათვის ამ თავის 28.6 პუნქტით გათვალისწინებულ სემესტრების რაოდენობასა და ჩარიცხვის სემეტრის ნომერზე ერთით მეტ რიცხვს შორის.
28.9. ამ თავის 28.6-28.7 პუნქტებით გათვალისწინებულ ვადებში არ შედის სემესტრები, რომლებშიც სტუდენტს შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი. ამ თავის მიზნებისათვის სტუდენტის სტატუსშეჩერებულად ჩაითვლება სემესტრი, რომელშიც სტუდენტს სტატუსი, მისი იმავე სემესტრში აღდგენის გარეშე, შეუჩერდა დასკვნითი გამოცდების საგამოცდო კვირების დაწყებამდე.
28.10. საერთო კრება უფლებამოსილია, გაზარდოს სწავლის წლიური საფასური ამ თავის 28.6-28.7 პუნქტებით გათვალისწინებულ ვადებში მხოლოდ სახელმწიფოში ეკონომიკური ან/და სხვა პირობების (ლარის დევალვაცია, ფასების მკვეთრი ზრდა, მაღალი ინფლაცია, კომუნალური მომსახურების ტარიფების მკვეთრი გაძვირება და ა.შ.) ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც დასტურდება საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით.
28.11. სტუდენტის სწავლის წლიური საფასური იანგარიშება საერთო კრების მიერ იმ აკადემიური წლისათვის დადგენილი სიდიდით, რომელშიც სტუდენტი ჩაირიცხა უნივერსიტეტში, ამავე წლისათვის დაწესებული ფასდაკლებების გათვალისწინებით.
28.12. სწავლის წლიური საფასური ან მისი ნაწილი იფარება:

ა) სახელმწიფო სასწავლო გრანტით (ბაკალავრიატის და ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამის სტუდენტებისათვის);
ბ) სახელმწიფო სამაგისტრო სასწავლო გრანტით (მაგისტრატურის პროგრამების სტუდენტებისათვის);
გ) სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სოციალური პროგრამების ფარგლებში;
დ) სტუდენტის მიერ;
ე) მესამე პირთა მიერ, სტუდენტის სახელით ან მის ნაცვლად.
28.13. თუ სტუდენტი სწავლობს უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამით აკადემიური წლის მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში, სწავლის წლიური საფასურის ნაცვლად უნდა დაიფაროს მისი ნახევარი.
28.14. ბაკალავრიატის და ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამის სტუდენტებისა და მაგისტრანტების სწავლის წლიური საფასურის ან მისი ნაწილის სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ან/და სოციალური პროგრამების ფარგლებში სახელმწიფოს მიერ დაფარვის წესი და პროცედურები რეგულირდება კანონმდებლობით.
28.15. ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების და მაგისტრატურის პროგრამების სტუდენტების სწავლის წლიური საფასურის ის ნაწილი, რომელიც არ იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით ან/და სახელმწიფოს მიერ რომელიმე სოციალური პროგრამის ფარგლებში, იფარება სტუდენტის ან მესამე პირის მიერ.
28.16. დოქტორანტის სწავლის წლიური საფასურის ის ნაწილი, რომელიც არ იფარება სახელმწიფოს მიერ რომელიმე სოციალური პროგრამის ფარგლებში, იფარება სტუდენტის ან მესამე პირის მიერ.
28.17. სწავლის წლიური საფასურის ან მისი ნაწილის მესამე პირის მიერ ანაზღაურების შემთხვევაში ურთიერთობები ამ საკითხთან დაკავშირებით წესრიგდება შეთანხმებით სტუდენტსა და მესამე პირს შორის, საზოგადოების მონაწილეობის გარეშე. პასუხისმგებლობა სწავლის წლიური საფასურის ან მისი ნაწილის დროულად გადაუხდელობისათვის ყველა შემთხვევაში ეკისრება სტუდენტს.
28.18. სტუდენტი ან მესამე პირი სწავლის წლიურ გადასახადს იხდის ორ ნაწილად - პირველს მიმდინარე აკადემიური წლის 25 სექტემბრამდე - საშემოდგომო სემესტრის და მეორეს მიმდინარე აკადემიური წლის 25 თებერვლამდე - გაზაფხულის სემესტრის.
28.19.სტუდენტებისათვის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი განიხილავს შესაძლებლობას გენერალურ ხელშეკრულებასთან ერთად გაფორმდეს განვადების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სწავლის წლიური საფასურის გადახდა შესაძლებელია მოხდეს შემდეგი სქემის მიხედვით:
ა) თუ პირი უნივერსიტეტის სტუდენტად ჩაირიცხა ან აღუდგა სტუდენტის სტატუსი აკადემიური წლის საშემოდგომო სემესტრში, 25 სექტემბრამდე, იგი ან მესამე პირი იხდის სწავლის წლიურ საფასურს (მის იმ ნაწილს, რომელიც უნდა დაფაროს სტუდენტმა ან მესამე პირმა) ყოველთვიურად, სექტემბრიდან ივნისის ჩათვლით, თვის 25 რიცხვამდე, 10 თანაბარ ნაწილად, სწავლის წლიური საფასურის ერთი მეათედის ოდენობით.
ბ) თუ პირი უნივერსიტეტის სტუდენტად ჩაირიცხა ან აღუდგა სტუდენტის სტატუსი საშემოდგომო სემესტრში, 24 სექტემბრის შემდეგ, იგი ან მესამე პირი ჩარიცხვისას (სტატუსის აღდგენისას) იხდის სწავლის წლიური საფასურის ერთი მეათედის ნამრავლს თვეების რაოდენობაზე მიმდინარე სემესტრის სექტემბრიდან (სექტემბრის ჩათვლით) ამავე სემესტრის იმ თვის ჩათვლით, რომელშიც პირი ჩაირიცხა სტუდენტად (აღუდგა სტუდენტის სტატუსი). აკადემიური წლის დანარჩენ თვეებში (ჩარიცხვის ან სტატუსის აღდგენის თვის გარდა), ივნისის ჩათვლით და მომდევნო აკადემიურ წლებში სტუდენტი (მესამე პირი) იხდის სწავლის წლიურ საფასურს ამ თავის 28.18 პუნქტით დადგენილი წესით.
გ) თუ პირი უნივერსიტეტის სტუდენტად ჩაირიცხა ან აღუდგა სტუდენტის სტატუსი აკადემიური წლის საგაზაფხულო სემესტრში, 25 თებერვლამდე, იგი ან მესამე პირი სწავლის

საფასურს (მის იმ ნაწილს, რომელიც უნდა დაფაროს სტუდენტმა ან მესამე პირმა) ჩარიცხვის (სტატუსის აღდგენის) აკადემიურ წელს იხდის ყოველთვიურად, თებერვლიდან ივნისის ჩათვლით, თვის 25 რიცხვამდე, სწავლის წლიური საფასურის ერთი მეათედის ოდენობით. მომდევნო აკადემიურ წლებში სწავლის წლიური საფასური (მისი ის ნაწილი, რომელიც უნდა დაფაროს სტუდენტმა ან მესამე პირმა) იფარება ამ თავის 28.18 პუნქტით დადგენილი წესით.
დ) თუ პირი უნივერსიტეტის სტუდენტად ჩაირიცხა ან აღუდგა სტუდენტის სტატუსი საგაზაფხულო სემესტრში, 24 თებერვლის შემდეგ, იგი ან მესამე პირი ჩარიცხვისას (სტატუსის აღდგენისას) იხდის სწავლის წლიური საფასურის ერთი მეათედის ნამრავლს თვეების რაოდენობაზე მიმდინარე სემესტრის თებერვლიდან (თებერვლის ჩათვლით) ამავე სემესტრის იმ თვის ჩათვლით, რომელშიც პირი ჩაირიცხა სტუდენტად (აღუდგა სტუდენტის სტატუსი). ამ სემესტრის დანარჩენ თვეებში (ჩარიცხვის ან სტატუსის აღდგენის თვის გარდა), ივნისის ჩათვლით, სწავლის საფასური იფარება ყოველთვიურად, თვის 25 რიცხვამდე, სწავლის წლიური საფასურის ერთი მეათედის ოდენობით.
28.20.სტუდენტის მხრიდან განვადების ხელშეკრულების დარღვევის პირველივე შემთხვევაში, რასაც შედეგად მოყვება სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფინანსური დავალიანების საფუძვლით, განვადების ხელშეკრულება ითვლება გაუქმებულად.
28.21.ამ თავის (წინა) პუნქტით გათვალსიწინებულ შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის აღდგენა მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მის მიერ სრულად იქნება დაფარული მიმდინარე აკადემიური წლის სწავლის საფასურის ნახევარი.
28.22. სტუდენტი უფლებამოსილია, სწავლის წლიური საფასური გადაიხადოს წინსწრებით - ამ თავის 28.18-28.21 პუნქტებით დადგენილზე მეტი ოდენობით. წინსწრებით გადახდილი თანხა ჩაითვლება სწავლის წლიური საფასურის მომავალი პერიოდის გადასახდელებში.
28.23. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში წინსწრებით ზედმეტად გადახდილი სწავლის წლიური საფასური, იმ და მისი წინა თვეების გადასახდელების გამოკლებით, რომელშიც შეწყდა სტუდენტის სტატუსი, დაუბრუნდება სტუდენტს სტატუსის შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში.
28.24. თუ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდება და შემდეგ აღუდგება აკადემიური წლის ერთსა და იმავე სემესტრში, სწავლის წლიური საფასურის უკვე შესრულებული გადახდები ჩაეთვლება მიმდინარე აკადემიური წლის სწავლის საფასურში.
28.25. თუ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდება რომელიმე სემესტრში იმავე სემესტრში სტატუსის აღდგენის გარეშე, სწავლის წლიური საფასურის უკვე გადახდილი გადასახდელები მომავალი პერიოდის სწავლის წლიურ საფასურში არ ჩაითვლება, გარდა ამ თავის 28.26-28.27 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
28.26. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში იმავე სემესტრში სტატუსის აღდგენის გარეშე სწავლის წლიური საფასურის უკვე გადახდილი გადასახდელები მომავალი პერიოდის სწავლის საფასურში ჩაითვლება, თუ სტატუსის შეჩერების საფუძველი იყო:
ა) ამ დებულების 16.4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი (სტუდენტის ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება);
ბ) ამ დებულების 16.4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი (სტატუსის შეჩერება სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დასრულებამდე რექტორის შესაბამისი გადაწყვეტილებით), თუ დისციპლინური წარმოება დასრულდა ისე, რომ სტუდენტს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრა.
28.27. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში იმავე სემესტრში სტატუსის აღდგენის გარეშე სწავლის წლიური საფასურის უკვე გადახდილი გადასახდელები მომავალი პერიოდის სწავლის საფასურში შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე განსაკუთრებულ შემთხვევებში, რექტორის ბრძანებით, მხოლოდ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ სტატუსის შეჩერების მიზეზად სტუდენტის (მისი კანონიერი წარმომადგენლის) განცხადებაში სტატუსის შეჩერების თაობაზე

მითითებული იყო რომელიმე გარემოება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან და ეს გარემოება, სტატუსის აღდგენის შემდეგ, დასტურდება დოკუმენტებით ან სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის მიერ სარწმუნოდ მიჩნეული სხვა მტკიცებულებებით:
ა) სტუდენტთან ერთად მცხოვრები მისი ოჯახის წევრის (ბებია, ბაბუა, მშობელი, და-ძმა, მეუღლე, შვილი, შვილიშვილი) მძიმე ავადმყოფობა ან გარდაცვალება;
ბ) სწავლის საფასურის გადახდის შესაძლებლობის არქონა - თუ სტატუსის შეჩერების შემდეგ სტუდენტი მიეკუთვნა სოციალურად დაუცველ პირთა კატეგორიას;
გ) სტუდენტის გაწვევა სავალდებულო სამხედრო სამსახურში;
დ) სტუდენტის გაწვევა სამხედრო სარეზერვო სამსახურში;
ე) სტუდენტის მოთავსება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან/და კრიზისულ ცენტრში, რა დროსაც შეუძლებელი ხდება მის მიერ სწავლის გაგრძელება 30 დღის ან მეტის განმავლობაში;
ვ) სტუდენტის პატიმრობა, თუ ამას მოჰყვა სასამართლოს გამამართლებელი გადაწყვეტილება;
ზ) უცხო ქვეყანაში სწავლა, თუ ეს დასტურდება კვალიფიკაციის ან/და აკადემიური ხარისხის მინიჭების დოკუმენტით და სტუდენტი აღიდგენს სტატუსს უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების იგივე საფეხურზე საქართველოში დაბრუნებიდან 3 თვის ვადაში.
28.28. პროგრამის კომპონენტის განმეორებით სწავლის საფასური არის სწავლის წლიური საფასურის ერთი მესამოცედის ნამრავლი ამ კომპონენტის სწავლით ასათვისებელი კრედიტების რაოდენობაზე.
28.29. თუ სტუდენტს მოუწევს საგანმანათლებლო პროგრამის რომელიმე კომპონენტის განმეორებით სწავლა იმის გამო, რომ ამ კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე არ შეუფასდა დადებითი ნიშნით:
ა) იგი ამისათვის პროგრამის კომპონენტის განმეორებითი სწავლის საფასურს არ გადაიხდის, თუ კომპონენტს განმეორებით ისწავლის აკადემიური უმაღლესი განათლების სტანდარტული ხანგრძლივობის ვადაში, იმ სემესტრში, რომელშიც მოცემული კომპონენტი ისწავლება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით დადგენილი სტანდარტული სასწავლო გეგმით და მას ამავე სემესტრში სწავლობენ სხვა სტუდენტები;
ბ) გარდა სწავლის წლიური საფასურისა, გადაიხდის პროგრამის კომპონენტის განმეორებით სწავლის საფასურს, თუ კომპონენტს განმეორებით ისწავლის აკადემიური უმაღლესი განათლების სტანდარტული ხანგრძლივობის ვადაში, იმ სემესტრში, რომელშიც მოცემული კომპონენტი არ ისწავლება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით დადგენილი სტანდარტული სასწავლო გეგმით ან ისწავლება ამ გეგმით, მაგრამ სხვა სტუდენტები ამავე სემესტრში არ სწავლობენ.
28.30. პროგრამის კომპონენტის (კომპონენტების) განმეორებით სწავლის საფასურს სტუდენტი (მესამე პირი) იხდის ერთჯერადად, იმ სემესტრის დაწყებამდე, რომელშიც მან უნდა ისწავლოს ეს კომპონენტი (კომპონენტები). თუ სტუდენტი ერთ სემესტრში განმეორებით სწავლობს რამოდენიმე კომპონენტს, მან (მესამე პირმა) უნდა გადაიხადოს თანხა, რომელიც წარმოადგენს კომპონენტების განმეორებით სწავლის საფასურთა ჯამს.
28.31. პროგრამის კომპონენტის (კომპონენტების) განმეორებით სწავლის საფასურის გადახდის ამ თავის 28.30 პუნქტით დადგენილი პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში სტუდენტს არ მიეცემა კომპონენტის (კომპონენტების) განმეორებით სწავლის უფლება იმ სემესტრამდე, რომლის დაწყებამდეც არ იქნება შესრულებული პირობა.
28.32. თუ მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომს იცავს გადამუშავების გარეშე, ნაშრომის დასრულების მომდევნო სემესტრში, იგი პროგრამის კომპონენტის განმეორებით სწავლის საფასურს არ იხდის.
28.33. თუ დოქტორანტი დისერტაციას იცავს სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავების გარეშე, ნაშრომის დასრულების სემესტრის დამთავრებიდან ერთი წლის ვადაში, იგი პროგრამის კომპონენტის განმეორებით სწავლის საფასურს არ იხდის.

28.34. დისერტაციის დაცვისათვის პროგრამის კომპონენტის განმეორებით სწავლის საფასურია სწავლის წლიური საფასურის ერთი მესამოცედის ნამრავლი დისერტაციით ასათვისებელი კრედიტების ერთ მეექვსედზე.
28.35. თუ სტუდენტი გაიხანგრძლივებს აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამით სწავლას ერთი ან რამოდენიმე სემესტრით, სწავლის სტანდარტულ ხანგრძლივობაზე გადამეტებით, მასთან გაფორმდება ახალი ხელშეკრულება და მისი სწავლის წლიური გადასახადი დამატებულ სემესტრში (სემესტრებში) იქნება სწავლის წლიური გადასახადი, დადგენილი საერთო კრების მიერ სემესტრის შესაბამისი აკადემიური წლისათვის, რაიმე ფასდაკლების გარეშე.
28.36. თუ სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების საფუძველია ფინანსური დავალიანება - სწავლის წლიური საფასურის მიმდინარე გადასახდელის სრულად ან ნაწილობრივ გადაუხდელობა, მას სტატუსი აღუდგება სწავლის წლიური საფასურის ყველა ვადადამდგარი გადასახდელის გადახდის შემდეგ.
28.37. ფინანსური დავალიანების გადახდის გადავადების უფლება აქვს საერთო კრებას რექტორის წარდგინებით, რომლის საფუძველია სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის უფროსის დასკვნა გადავადების მიზანშეწონილობაზე.
28.38. სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტატუსი ფინანსური დავალიანების გამო, უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს რექტორს დავალიანების გადახდის გადავადების თხოვნით. განცხადება განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი წარდგენის დღეს გადახდილია დავალიანების, სულ ცოტა, ნახევარი და:
ა) დავალიანების (მისი უკვე გადახდილი ნაწილის ჩათვლით) და სწავლის საფასურის მიმდინარე გადასახდელის ჯამი აღემატება სწავლის წლიურ საფასურს ან
ბ) განცხადებაზე თანდართული დოკუმენტებით დასაბუთებულია სწავლის საფასურის გადახდის გადავადების აუცილებლობა სტუდენტის ან/და მისი ოჯახის მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო.
28.39. სტუდენტისათვის ფინანსური დავალიანების გადახდის გადავადების მიზანშეწონილობაზე გადაწყვეტილების მისაღებად სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური :
ა) ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე არკვევს დავალიანებისა და მისი გადახდილი ნაწილის მოცულობათა შესაბამისობას ამ თავის 28.38 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირობებთან, თუ განცხადება წარმოდგენილია ამავე ქვეპუნქტის პირობით;
28.40. თუ სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური განცხადებას არ განიხილავს, შეწყვეტს განხილვას ან დაასკვნის, რომ განცხადება, წარდგენილი ამ თავის 28.38 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, უსაფუძვლოა, რექტორი, საერთო კრების მოწვევის გარეშე, გამოსცემს ბრძანებას განცხადების არდაკმაყოფილებაზე და სტუდენტს შეუჩერებს სტატუსს ფინანსური დავალიანების საფუძვლით. სხვა შემთხვევაში რექტორი მოიწვევს საერთო კრებას სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური შესაბამისი დასკვნის მიღებიდან ერთი კვირის ვადაში.
28.41. თუ საერთო კრება მიიღებს გადაწყვეტილებას დავალიანების გადახდის გადავადებაზე, ამავე გადაწყვეტილებით უნდა დამტკიცდეს დავალიანების გადახდის გრაფიკი. გრაფიკის პროექტს, შეთანხმებულს სტუდენტთან, საერთო კრებას წარუდგენს რექტორი. გრაფიკის პროექტს, რექტორის დავალებით, ადგენს და სტუდენტთან ათანხმებს ფაკულტეტის დეკანი. სწავლის საფასურის გადახდის გადავადების ამ წესით დადგენილი გრაფიკის დარღვევის პირველივე შემთხვევაში სტუდენტს შეუჩერდება სტატუსი ფინანსური დავალიანების საფუძვლით და მისი დავალიანების გადახდის გადავადების საკითხი მომავალში აღარ განიხილება.

28.42. სწავლის წლიურ საფასურსა და პროგრამის კომპონენტის განმეორებით სწავლის საფასურს სტუდენტი ან მესამე პირი ფარავს შესაბამისი თანხის ჩარიცხვის/გადარიცხვის გზით უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ამ თავით დადგენილ ვადებში.
28.43. სტუდენტის/მესამე პირის მიერ სწავლის საფასურის დაფარვას ამოწმებს ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახური სემესტრის ყოველი თვის 25 რიცხვში, ხოლო თუ თვის 25 რიცხვი დასვენების ან უქმე დღეა - მომდევნო სამუშაო დღეს საზოგადოების საბანკო ანგარიშების ამონაწერების მიხედვით. ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახური იმავე დღეს შესაბამის ჩანაწერებს შეიტანს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში "Unik follow" და სამსახურებრივი ბარათით წარუდგენს დეკანს ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტთა სიას თითოეული დავალიანების ოდენობის მითითებით.
28.44. ფაკულტეტის დეკანის ოფისი, დეკანის დავალებით, სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ ფინანსური დავალიანება, ელექტრონული ფოსტით ან/და SMS გზავნილით უგზავნის შეტყობინებებს დავალიანების არსებობისა და მისი ოდენობის შესახებ და გაფრთხილებას, რომ თუ მომდევნო თვის 5 რიცხვამდე დავალიანება არ იქნება დაფარული, შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. ასეთ გზავნილს აქვს უნივერსიტეტის ოფიციალური დოკუმენტის იურიდიული ძალა.
28.45. ამ თავის 28.18 პუნქტში მითითებულის მომდევნო თვის 5 რიცხვში, ხოლო თუ თვის 5 რიცხვი დასვენების ან უქმე დღეა - მომდევნო სამუშაო დღეს ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახური უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშების ამონაწერების მიხედვით შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში "Unik follow" შეიტანს მონაცემებს გაფრთხილებულ სტუდენტთა დავალიანების დაფარვის შესახებ, შეტანილი მონაცემების მიხედვით ადგენს იმ სტუდენტთა სიას, რომლებიც გაფრთხილებული იყვნენ, თუმცა დავალიანება სრულად ან ნაწილობრივ ისევ არ აქვთ დაფარული და სიას, დავალიანებათა ოდენობის მითითებით, სამსახურებრივი ბარათით წარუდგენს დეკანს.
28.46. ამ თავით გათვალისწინებული სიის მიღების დღესვე დეკანი ავალებს დეკანის ოფისს რექტორის ბრძანების პროექტის მომზადებას სიაში რიცხული სტუდენტებისათვის სტატუსის შეჩერებაზე და მომზადებულ პროექტს წარუდგენს რექტორს.
28.47. რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტებისათვის სტატუსის შეჩერებაზე ბრძანების ამ თავის გათვალისწინებული პროექტის მიღების ან მომდევნო სამუშაო დღეს. ბრძანების გამოცემისთანავე იურიდიული და საქმისწარმოების სამსახური მის დამოწმებულ ასლებს გადასცემს დეკანს, ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების და სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურის ხელმძღვანელებს. სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური დაუყოვნებლივ ასახავს ბრძანების შესაბამის მონაცემებს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

თავი XXIX. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლის წლიური საფასურის ფასდაკლებები. მათი შემოღების წესი

29.1. გადაწყვეტილებას დამდეგი აკადემიური წლისათვის აბიტურიენტების, მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის კანდიდატების და უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის წლიურ საფასურზე ფასდაკლებების დაწესებაზე იღებს საერთო კრება რექტორის წინადადების საფუძველზე.

29.2. საერთო კრების სხდომის იმ ოქმის საფუძველზე, რომელზეც მიღებულია ამ თავის 29.1 გათვალისწინებული გადაწყვეტილება, მისი მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, რექტორი გამოსცემს ბრძანებას ფასდაკლებათა დაწესების შესახებ. ბრძანების პროექტს ამზადებს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური.
29.3. ამ თავის 29.2. პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების დამოწმებულ ასლს იურიდიული და საქმისწარმოების სამსახური გადასცემს:
ა) დეკანს, ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურებს - ბრძანების გამოცემის ან მომდევნო სამუშაო დღეს;
ბ) აბიტურიენტების საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელ პირს - საბუთების მიღების დაწყებამდე.
29.4. ამ თავის 29.2. პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების ასლის მიღების ან მომდევნო სამუშაო დღეს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ბრძანების შინაარსს აქვეყნებს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ხოლო დეკანის ოფისი ამავე ვადაში შესაბამის ცნობას განათავსებს საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში.
29.5. სწავლის საფასური იმ პირის სწავლება-სწავლის ხელშეკრულების პროექტის მომზადებისას, რომელსაც ეკუთვნის ფასდაკლება რექტორის ამ თავის 29.2. პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების საფუძველზე, იანგარიშება ფასდაკლების გათვალისწინებით.

თავი XXX. საუნივერსიტეტო სტიპენდიები, მათი მინიჭებისა და გაცემის წესი

30.1. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლის შედეგების მიღწევის მაღალი დონის სტიმულირების მიზნით საზოგადოება ყოველწლიურად უნიშნავს უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს:
ა) ვარლამ ქელბაქიანის სახელობის სტიპენდიას;
ბ) პირველი ხარისხის სტიპენდიებს;
გ) მეორე ხარისხის სტიპენდიებს;
დ) მესამე ხარისხის სტიპენდიებს.
30.2. საერთო კრება უფლებამოსილია, რექტორის ან ერთ-ერთი პარტნიორის ინიციატივით, დააწესოს სხვა სახის საუნივერსიტეტო სტიპენდიებიც უნივერსიტეტის სტუდენებისათვის.
30.3. ნებისმიერი საუნივერსიტეტო სტიპენდია ინიშნება მხოლოდ კონკურსის საფუძველზე სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასებათა მიხედვით.
30.4. ვარლამ ქელბაქიანის, პირველი, მეორე და მესამე ხარისხის სტიპენდიების (ყოველთვიურად გასაცემი თანხის) სიდიდეს ყოველწლიურად, აკადემიური წლის დაწყებამდე, სულ ცოტა, 10 დღით ადრე, განსაზღვრავს საერთო კრება.
30.5. თუ საერთო კრება ამ თავის 30.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ განსაზღვრავს სტიპენდიების სიდიდეს ახალი აკადემიური წლისათვის, სტიპენდიები დაინიშნება იმ სიდიდით, რომლითაც დანიშნული იყო წინა აკადემიურ წელს.
30.6. საერთო კრების იმ სხდომის ოქმის დამოწმებულ ამონაწერებს, რომლითაც განისაზღვრა სტიპენდიების სიდიდე ან დაწესდა ახალი სტიპენდია, რექტორი, ოქმის შედგენის ან მომდევნო სამუშაო დღეს, გადასცემს დეკანს და მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს. ოქმის ამონაწერს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური დაუყოვნებლივ განათავსებს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ხოლო დეკანი - საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში.
30.7. ვარლამ ქელბაქიანი სახელობის სტიპენდიანტის გამოვლენის მიზნით ახალი აკადემიური წლის დაწყებამდე, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე სასწავლო პროცესის მართვისა და

სტუდენტური სერვისების სამსახური, დეკანატებიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ადგენს იმ სტუდენტთა ერთიან რეიტინგულ სიას, რომლებიც სწავლობენ უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების მე-5 და მე-7 სემესტრებზე (გარდა იმ სტუდენტებისა, რომლებიც, სტატუსის შეჩერების სემესტრების გაუთვალისწინებლად, სწავლობენ 8-ზე მეტი სემესტრის განმავლობაში).

30.8. რეიტინგული სია დგება აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის განვლილ პერიოდში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების მიხედვით კუმულატიური შეწონილი ქულით (GPA), რომელიც გამოითვლება ამ დებულების 10.34. პუნქტის მიხედვით. სიის შედგენისას მხედველობაში არ მიიღება დამატებითი გამოცდებით მიღებული შეფასებები. რეიტინგულ სიაში პირველ ნომრად იწერება ის სტუდენტი, რომლის კუმულატიური შეწონილი ქულა (GPA) ყველაზე მაღალია. თუ ეს მაჩვენებელი ორი ან რამოდენიმე სტუდენტისათვის ერთნაირია, სიაში წინ იწერება ის სტუდენტი, რომელსაც უფრო მეტჯერ აქვს მიღებული შეფასების ნიშანი A.

30.9. სტიპენდიანტების გამოვლენის მიზნით ახალი აკადემიური წლის დაწყებამდე, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე დეკანის ოფისი ადგენს ცალ-ცალკე რეიტინგულ სიებს იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლას აგრძელებენ უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების მე-3, მე-5 და მე-7 სემესტრებიდან. რეიტინგული სიები დგება გასულ აკადემიურ წელს აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების მიხედვით კუმულატიური შეწონილი ქულით (GPA) მიხედვით. სიის შედგენისას მხედველობაში არ მიიღება დამატებითი გამოცდებით მიღებული შეფასებები. რეიტინგულ სიაში პირველ ნომრად იწერება ის სტუდენტი, რომლის კუმულატიური შეწონილი ქულა (GPA) ყველაზე მაღალია. თუ ეს მაჩვენებელი ორი ან რამოდენიმე სტუდენტისათვის ერთნაირია, სიაში წინ იწერება ის სტუდენტი, რომელსაც უფრო მეტჯერ აქვს მიღებული შეფასების ნიშანი A. სიებში არ ჩაიწერება ამ თავის 10.34. პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტი.

30.10. პირველი ხარისხის სტიპენდია ენიშნება 3 სტუდენტს, რომლებსაც პირველი პოზიციები უკავიათ ამ თავის 10.34. პუნქტით გათვალისწინებულ რეიტინგულ სიებში.

30.11. მეორე ხარისხის სტიპენდია ენიშნება 3 სტუდენტს, რომლებსაც მე-2 პოზიციები უკავიათ ამ თავის 10.34. პუნქტით გათვალისწინებულ რეიტინგულ სიებში.

30.12. მესამე ხარისხის სტიპენდია ენიშნება 3 სტუდენტს, რომლებსაც მე-3 პოზიციები უკავიათ ამ თავის 10.34. პუნქტით გათვალისწინებულ რეიტინგულ სიებში.

30.13. ამ თავის 10.34. პუნქტით გათვალისწინებულ რეიტინგულ სიებში იწერება სტუდენტის გვარი, სახელი, საიდენტიფიკაციო ნომერი და შესაბამის პერიოდში სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების კუმულატიური შეწონილი ქულა (GPA). რეიტინგულ სიებს ამტკიცებს დეკანი.

30.14. სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური, მოხსენებითი ბარათით წარუდგენს რექტორს სტუდენტთა რეიტინგულ სიებს. რექტორი რეიტინგული სიების მიღების ან მომდევნო სამუშაო დღეს გამოსცემს ბრძანებას სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნის შესახებ. რეიტინგული სიები თან ერთვის ბრძანებას და მისი შემადგენელი ნაწილია.

30.15. იურიდიული და საქმისწარმოების სამსახური რექტორის ბრძანების დამოწმებულ ასლებს ბრძანების გამოცემისთანავე გადასცემს დეკანის ოფისს, ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურს. დეკანის ოფისი ბრძანებას, რეიტინგული სიების გარეშე, დაუყოვნებლივ განათავსებენ, შესაბამისად, საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

30.16. სტუდენტს უფლება აქვს, გაეცნოს რეიტინგულ სიებს დეკანის ოფისში და იქვე მიიღოს მისი დამოწმებული ასლი.

30.17. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში მისთვის სტიპენდიის მიცემა შეჩერდება. სტიპენდიის გადახდა განახლდება, თუ სტუდენტს აღუდგება სტატუსი სტიპენდიის მიღების უფლების პერიოდის დასრულებამდე.
30.18. იმ თვეში, რომელშიც სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი, სტიპენდია არ მიეცემა. სტატუსშეჩერებულად ითვლება თვე, რომელშიც სტუდენტს სტატუსი შეჩერებული აქვს 16 ან მეტი დღის განმავლობაში.
30.19. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში სტიპენდიის გადახდა წყდება სტატუსის შეწყვეტის თვიდან.
30.20. სტუდენტს სტიპენდიის მიღების პერიოდის დასრულებამდე შეუწყდება სტიპენდიის მიცემა რექტორის ბრძანებით, თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეეფარდა სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა.
30.21. სტუდენტისათვის სტიპენდიის გადახდის შეჩერების, შეწყვეტის ან აღდგენის შესახებ პირდაპირ უნდა იყოს მითითებული რექტორის ბრძანებაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის/აღდგენის ან დისციპლინური პასუხიმგებლობის შესაბამისი ზომის შეფარდების შესახებ. ასეთი ბრძანებების გამოცემისთანავე მათ დამოწმებულ ასლებს იურიდიული და საქმისწარმოების სამსახური გადასცემს ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურს.
30.22. თუ სტიპენდიანტს წარმოეშვა ფინანსური ვალდებულება საზოგადოების მიმართ (გარდა სწავლის საფასურის გადახდის დავალიანებისა), რექტორის ბრძანებით ვალდებულება შეიძლება დაიფაროს სტიპენდიიდან დაქვითვის გზით. რექტორის ასეთი ბრძანების ერთ დამოწმებულ ასლს იურიდიული და საქმისწარმოების სამსახური, მისი გამოცემისთანავე, გადასცემს ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ხოლო ორს - დეკანის ოფისს, რომელიც, თავის მხრივ, ერთ ასლს ინახავს სტუდენტის პირად საქმეში, მეორეს კი 3 სამუშაო დღის ვადაში გადასცემს სტუდენტს.
30.23. სტიპენდიები გაიცემა ყოველთვიურად, თვის ბოლო სამუშაო დღეს. სტიპენდიების გასაცემად ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახური ადგენს და ხელმოსაწერად წარუდგენს რექტორს სტიპენდიების უწყისს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
ა) უწყისის შედგენის თარიღი;
ბ) იმ სტუდენტთა სია, რომლებსაც უნდა მიეცეს სტიპენდია;
გ) სიის თითოეულ სტუდენტზე გასაცემი სტიპენდიის დასახელება და მისი ოდენობა;
დ) რექტორისა და ბუღალტრის ხელმოწერები.
30.24.სტიპენდიების გაცემას უზრუნველყოფს ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახური. სტიპენდიების გაცემისას ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახური სტუდენტს უკავებს საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ოდენობით.
30.25. სტიპენდია სტუდენტს ეძლევა გადარიცხვით მის საბანკო ანგარიშზე. ანგარიშსწორების ვალუტაა ლარი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაცვლითი ან ერთობლივი პროგრამის ფარგლებში სწავლისას სტიპენდიანტი იმყოფება უცხო ქვეყანაში. ამ შემთხვევაში სტიპენდია გაიცემა ევროებით ან აშშ დოლარებით. კონვერტაციის ხარჯებს ფარავს საზოგადოება.
30.26. ფასდაკლებებისა და სტიპენდიების გაცემის წესი დეტალურად რეგულირდება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საერთო კრება.

თავი XXXI. უნივერსიტეტის სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და განხორციელების წესი

31.1. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება გულისხმობს სწავლებას სხვადასხვა დარგობრივი პროგრამებით ისე, რომ პროგრამის კურსდამთავრებულს არ ენიჭება რაიმე პროფესიული კვალიფიკაცია ან აკადემიური ხარისხი.
31.2. უნივერსიტეტის მიერ სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანია:
ა) უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის პროფესიული კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების შესაძლებლობის უზრუნველყოფა მათთვის შესაბამისი დარგის უახლესი მიღწევების გაცნობისა და ამ მიღწევების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების სწავლების გზით;
ბ) მსურველთათვის ახალი პროფესიული ცოდნის შეძენისა და უნარების გამომუშავების უზრუნველყოფა შრომის ბაზრის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.
31.3. პირი, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტის სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით, არის უნივერსიტეტის მსმენელი.
31.4. უნივერსიტეტის სასერტიფიკატო პროგრამებით სწავლების ორგანიზატორი და კოორდინატორია მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.
31.5. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ერთი ან რამოდენიმე დღის, კვირის, თვის განმავლობაში.
31.6. დრო, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამა, არის პროგრამის განხორციელების ციკლი.
31.7. პროგრამის განხორციელების ციკლი შედგება მხოლოდ სასწავლო ან სასწავლო და დასვენების დღეებისაგან.
31.8. სასწავლოა დღე, რომელიც მოიცავს ერთ ან რამოდენიმე საკონტაქტო საათს.
31.9. საკონტაქტო საათები არის დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება მსმენელის სასწავლო საქმიანობა სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამების მასწავლებელთა პერსონალის ჩართულობით.
31.10. დამოუკიდებელი საათები არის დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება მსმენელის სასწავლო საქმიანობა სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამების მასწავლებელთა პერსონალის ჩართულობის გარეშე.
31.11. პროგრამის ციკლის დაწყებამდე, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე, რექტორი ამტკიცებს სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის ციკლის კალენდარს, რომლითაც განისაზღვრება ციკლის დაწყებისა და დამთავრების, ციკლის განმავლობაში სასწავლო და დასვენების დღეების ზუსტი თარიღები. ციკლის კალენდრის პროექტს ამზადებს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.
31.12. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ერთ სასწავლო საგანს ან რამოდენიმე სასწავლო საგნის ერთობლიობას. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება შედგებოდეს უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ერთი ან რამოდენიმე სასწავლო კურსისაგან. პროგრამის ყველა სასწავლო საგნის სწავლა სავალდებულოა პროგრამის ყველა მსმენელისათვის.
31.13. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის ყოველი საგნის სწავლება საკონტაქტო საათებში მოიცავს სწავლა-სწავლებას და სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასებას. შეფასების წესი ერთიანია ყველა მსმენელისათვის, ვინც სწავლობს პროგრამის მოცემულ საგანს.
31.14. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო საგნების სწავლა-სწავლება, როგორც წესი, ხორციელდება ჯგუფურად - მსმენელთა ჯგუფებში. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების, აგრეთვე - დანარჩენი კატეგორიის მსმენელებისათვის, მათი სურვილის შემთხვევაში, ყველა ან ცალკეული საგნების სწავლება შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალურად, დისტანციურად - სწავლების ელექტრონული საშუალებების გამოყენებით,

როდესაც საჭირო არაა მსმენელისა და სწავლების განმახორციელებელი პირის ერთდროულად ერთ ადგილზე ყოფნა.

31.15. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფური მეცადინეობები უნივერსიტეტის შენობაში ტარდება, უპირატესად, აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ლექცია-პრაქტიკუმებისაგან თავისუფალ დროს. აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ლექცია-პრაქტიკუმების მიმდინარეობისას უნივერსიტეტის შენობაში სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფური მეცადინეობების ჩატარება დასაშვებია იმ პირობით, თუ ეს ხელს არ შეუშლის უმაღლესი განათლების აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების პროცესს. სხვა შენობებში სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამებით ჯგუფური მეცადინეობების მიმდინარეობა დასაშვებია ნებისმიერ დროს.

31.16. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამების ერთი მეცადინეობის ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო საგნის კურიკულუმით.

31.17. მსმენელთა ჯგუფებს ადგენს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც ყოველ ჯგუფს ანიჭებს ნომერს. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელთა ერთ ჯგუფში მსმენელების რაოდენობა არ უნდა იყოს 10-ზე ნაკლები და 20-ზე მეტი.

31.18. ჯგუფურ მეცადინეობათა ცხრილს სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამების თითოეული ჯგუფისათვის პროგრამის განხორციელების მთელ ციკლზე ადგენს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. სამსახური ჯგუფურ მეცადინეობათა ცხრილებს ელექტრონული ფოსტით უგზავნის თითოეულ მსმენელს და პროგრამის საგნების თითოეულ განმახორციელებელ პირს სწავლების დაწყებამდე, სულ ცოტა, 1 კვირით ადრე.

31.19. ჯგუფურ მეცადინეობათა ჩატარება და მსმენელთა დასწრება აღირიცხება სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელთა ჯგუფის ჟურნალში. ჟურნალი ინახება მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ჯგუფში პროგრამის განმახორციელებელ პირს ჟურნალი გააქვს მეცადინეობის დაწყების წინ და აბრუნებს მეცადინეობის დამთავრების შემდეგ.

31.20. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო საგნის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ციკლის დასრულებამდე.

31.21. სწავლის შედეგის მიღწევის დონე შეიძლება შეფასდეს შუალედურად (საგნის სწავლების დასრულებამდე) და დასკვნითი შეფასებით, ან ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი შეფასების ფორმით.

31.22. ყოველი საგნის სწავლის მიღწევის დონე ფასდება ქულებით 0-დან 100-ის ჩათვლით. თუ შეფასება მოიცავს შეფასების შუალედურ და დასკვნით ფორმებს, საგნის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ქულა იქნება შეფასების ორივე ფორმით მიღებული ქულების ჯამი.

31.23. თუ სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამა შეიცავს საგანს, რომლის სწავლების ხანგრძლივობაც არ აღემატება 12 საათს, მისი სწავლის მიღწევის დონე შეფასდება მხოლოდ დასკვნითი გამოცდით.

31.24. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული საგნის სწავლის მიღწევის დონის შეფასების შუალედური ფორმა შეიძლება მოიცავდეს შეფასებას მხოლოდ მსმენელთა პერიოდული გამოკითხვებით ან შეფასებას პერიოდული გამოკითხვებითა და ინდივიდუალური სამუშაოს შესრულების შეფასებას.

31.25. სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების უდიდესი დასაშვები მნიშვნელობაა 60 ქულა.

31.26. პერიოდული გამოკითხვა ტარდება ზეპირად, პროგრამის განმახორციელებელი პირის მოკლე შეკითხვებზე მსმენელის მიერ პასუხების გაცემის გზით. ყოველი პერიოდული გამოკითხვისას უნდა გამოიკითხოს და შეფასდეს ჯგუფის ყველა მსმენელი. ერთი გამოკითხვისის ყველა მსმენელს უნდა დაესვას თანაბარი რაოდენობის შეკითხვები. არასწორი

პასუხი შეკითხვაზე ფასდება 0 ქულით, სწორი პასუხი - ერთი ან მეტი ქულით, თანაბრად ყველა მსმენელისათვის.
31.27. ინდივიდუალური სამუშაო წარმოადგენს ერთი პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტას ან 4-5 გვერდიან მოხსენებას პრეზენტაციით, რომლითაც მსმენელი აანალიზებს პრაქტიკულ სიტუაციას ან წყვეტს პრაქტიკულ ამოცანას, აღწერილს მისთვის მიცემულ ინდივიდუალურ დავალებაში. ინდივიდუალურ სამუშაოს მსმენელი ამზადებს დამოუკიდებელ საათებში.
31.28. თითოეული პერიოდული გამოკითხვის და ინდივიდუალური სამუშაოს (თუ ის გათვალისწინებულია) შეფასების ქულის უდიდესი შესაძლებელი მნიშვნელობა აისახება სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში.
31.29. დასკვნითი გამოცდის დროს მსმენელი წერილობით ასრულებს მისთვის მიცემულ საგამოცდო დავალებას. შესასრულებელი დავალება მსმენელს ეძლევა გამოცდის დაწყებისას. დავალება შეიძლებას იყოს ტესტები ან პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტა.
31.30. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ საგამოცდო ნაშრომი შეფასდება 20 ან მეტი ქულით. თუ საგამოცდო ნაშრომის შეფასების ქულა 20-ზე ნაკლებია, მსმენელი არ შეასრულებს დავალებას, მოიხსნება გამოცდიდან ხმაურის, სხვისთვის ხელის შეშლის ან გადაწერის მცდელობის გამო ან არ გამოცხადდება გამოცდაზე, გამოცდის შეფასების ქულა იქნება 0.
31.31. საგამოცდო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები და ქულები ამ კრიტერიუმების მიხედვით განისაზღვრება სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით.
31.32. საგნის სწავლის შედეგის მიღწევა ყველა ფორმით ფასდება მეცადინეობათა ცხრილით განსაზღვრულ საკონტაქტო საათებში.
31.33. საგნის სწავლის შედეგის მიღწევის დონეს აფასებს საგნის სწავლების განმახორციელებელი პირი.
31.34. პერიოდული გამოკითხვებისა და ინდივიდუალური სამუშაოს შეფასების შედეგები შემფასებელს შეაქვს სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელთა ჯგუფის ჟურნალში, ხოლო დასკვნითი გამოცდის შეფასება - საგამოცდო უწყისში, რომელსაც მას გადასცემს სასერტიფიკატო პროგრამების კოორდინატორი გამოცდის დაწყების წინ.
31.35. საგანი ნასწავლად ჩაითვლება, თუ მისი სწავლის შედეგის მიღწევის დონე შეფასებულია დადებითად - 51 ან მეტი ქულით.
31.36. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა წარმატებით დასრულებულად ჩაითვლება, თუ მისი ყველა სასწავლო საგნის სწავლის შედეგის მიღწევის დონე დადებითადაა შეფასებული.
31.37. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით კურსდამთავრებულ მსმენელს მიეცემა შესაბამისი სერტიფიკატი.
31.38. სერტიფიკატში აღინიშნება მისი ნომერი, სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მსმენელის სახელი და გვარი, სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დაწყებისა და დასრულების და სერტიფიკატის გაცემის თარიღები. სერტიფიკატს ავსებს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და ხელს აწერს რექტორი.
31.39. სერტიფიკატის მაკეტს ამზადებს დიზაინერი მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან შეთანხმებით და ბრძანებით ამტკიცებს რექტორი. ბრძანების პროექტს ამზადებს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.
31.40. სერტიფიკატების ბლანკებს ინახავს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.
31.41. სერტიფიკატთან ერთად მსმენელს ეძლევა სერტიფიკატის დანართი.
31.42. სერტიფიკატის დანართს ავსებს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და ხელს აწერს რექტორი.

31.43. შევსებულ სერტიფიკატებს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური აღრიცხავს სერტიფიკატების ელექტრონულ რეესტრში.
31.44. თუ სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის ერთი ან რამოდენიმე საგნის სწავლის შედეგის მიღწევის დონე არ შეფასდა დადებითად, მსმენელს სასერტიფიკატო პროგრამით სწავლის დასრულების შემდეგ სერტიფიკატის ნაცვლად მიეცემა ცნობა იმის შესახებ, რომ იგი სწავლობდა უნივერსიტეტში მოცემული სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით. ცნობაში მიეთითება ამ პროგრამის დასახელება და პროგრამით სწავლების დაწყებისა და დამთავრების თარიღები. ცნობას ადგენს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და ხელს აწერს რექტორი. ცნობები რეგისტრირდება იურიდიული და საქმისწარმოების სამსახურში.
31.45. სერტიფიკატებს და ამ თავის 31.44 პუნქტით გათვალისწინებულ ცნობებს გასცემს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების ციკლის ბოლო დღეს.
31.46. გაუცემელი სერტიფიკატები და მათი დანართები ინახება მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიში, ცნობები - იურიდიულ და საქმისწარმოების სამსახურში.
31.47. თითოეული სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება მოიცავდეს ერთი ან რამოდენიმე საგნის სწავლებას. პროგრამის მიზნები, პროგრამის საგნების ჩამონათვალი, შინაარსი, სწავლების ხანგრძლივობა, ფორმები, კალენდარული გეგმა და სწავლის შედეგების შეფასების წესები, პროგრამით სასწავლებლად მიღების წინაპირობები აღიწერება სასერტიფიკატო პროგრამის კურიკულუმში.
31.48. ყველა სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმს ამტკიცებს რექტორი.
31.49. ახალი სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი შეიძლება მომზადდეს საერთო კრების ინიციატივით ან ამის გარეშე.
31.50. თუ ახალი სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის მომზადების ინიციატორია საერთო კრება, რექტორის ბრძანებით იქმნება ჯგუფი უნივერსიტეტისა და სხვა დაწესებულებების თანამშრომელთაგან, რომელსაც ევალება კურიკულუმის პროექტის მომზადება. ასეთ ჯგუფში იმ პირთა საქმიანობა, რომლებიც არ არიან უნივერსიტეტის თანამშრომლები, ანაზღაურდება უნივერსიტეტის მიერ.
31.51. თუ ახალი სასერტიფიკატო პროგრამის კურიკულუმის მომზადების ინიციატორი არაა საერთო კრება, პროგრამის კურიკულუმის პროექტს საკუთარი ინიციატივით ამზადებს უნივერსიტეტის ან/და სხვა დაწესებულებების თანამშრომელთაგან შემდგარი ჯგუფი. ასეთ ჯგუფში საქმიანობა უნივერსიტეტის მიერ არ ანაზღაურდება.
31.52. ახალი სასერტიფიკატო პროგრამის კურიკულუმის პროექტი ელექტრონული ფორმით, ოპტიკურ დისკზე, ბარდება იურიდიული და საქმისწარმოების სამსახურს, რომელიც მას გადასცემს რექტორს.
31.53. ახალი სასერტიფიკატო პროგრამის კურიკულუმის პროექტის მიღებიდან 10 დღის ვადაში რექტორი, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარდგინებით, ბრძანებით ნიშნავს სასერტიფიკატო პროგრამის შემფასებელ საექსპერტო კომისიას. საექსპერტო კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს უნივერსიტეტის თანამშრომელი ან სხვა პირი, რომელსაც აქვს პროგრამის შესაბამის დარგში პედაგოგიური ან/და პრაქტიკული მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. საექსპერტო კომისიის წევრად არ შეიძლება დაინიშნოს ახალი სასერტიფიკატო პროგრამის კურიკულუმის პროექტის შემდგენელი ჯგუფის წევრი. საექსპერტო კომისიის საქმიანობის ვადასა და წესს ბრძანებით განსაზღვრავს რექტორი. ბრძანების პროექტს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

31.54. რექტორი, საექსპერტო კომისიის წევრთა დანიშვნიდან 3 დღის ვადაში, ახალი სასერტიფიკატო პროგრამის კურიკულუმის პროექტს ელექტრონული საშუალებებით უგზავნის ექსპერტიზისათვის:
ა) საექსპერტო კომისიის ყველა წევრს;
ბ) ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურს;
გ) მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს;
დ) ბიბლიოთეკას;
ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს
31.55. საექსპერტო დასკვნებს რექტორის მიერ დადგენილ ვადაში ამზადებენ და წარუდგენენ რექტორს:
ა) საექსპერტო კომისია - პროექტის შინაარსზე;
ბ) ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახური - პროგრამით სწავლების დაწყებისათვის საჭირო ფინანსებზე და მოსალოდნელ ფინანსურ შედეგებზე;
გ) მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური - შრომის ბაზრის მოთხოვნილების შესახებ პროექტის მიხედვით მისაღებ ცოდნასა და უნარებზე;
დ) ბიბლიოთეკა - პროექტის სასწავლო და მეთოდური მასალებით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ;
ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - სასერტიფიკატო პროგრამის შესაბამისობაზე ხარისხის სტანდარტებთან.
31.56. თუ საექსპერტო კომისიის დასკვნით პროექტი ცალსახად უარყოფითადაა შეფასებული, საერთო კრება, რექტორის წინადადებით, იღებს გადაწყვეტილებას პროექტზე მუშაობის შეწყვეტის შესახებ ან ავალებს რექტორს ახალი ჯგუფის შექმნას პროექტის გადასამუშავებლად.
31.57. თუ საექსპერტო კომისიის დასკვნით პროექტი დადებითადაა შეფასებული, მაგრამ არსებობს შენიშვნები და რეკომენდაციები, ავტორთა ჯგუფი ვალდებულია, რექტორის მიერ განსაზღვრულ ვადაში გადაამუშაოს პროექტი ამ შენიშვნებისა და რეკომენდაციების სავალდებულო გათვალისწინებით და თავიდან წარუდგინოს რექტორს.
31.58. რექტორი, საექსპერტო კომისიისა და მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ დადებითად შეფასებულ პროექტს, ყველა საექსპერტო დასკვნასთან და საკუთარ შეფასებასთან ერთად, წარუდგენს საერთო კრებას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროექტით გათვალისწინებული პროგრამის ამოქმედებაზე.
31.59. ცვლილებებს მოქმედი სასერტიფიკატო პროგრამის კურიკულუმში ამტკიცებს რექტორი. ცვლილებების ინიციატორი შეიძლება იყოს:
ა) რექტორი,
ბ) პროგრამის კურიკულუმის პროექტის ავტორთა ჯგუფი,
გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
31.60. ცვლილებების ინიციატორი (გარდა უნივერსიტეტი რექტორისა) რექტორს წარუდგენს ცვლილებათა საჭიროების დასაბუთებას. რექტორი:
ა) უარყოფს ცვლილებათა საჭიროებას ან
ბ) ბრძანებით ავალებს ცვლილებათა პროექტის მომზადებას მოცემული პროგრამის საგნების სწავლების განმახორციელებელ პირთა ჯგუფს.
31.61. პროგრამის საგნების სწავლების განმახორციელებელ პირთა ჯგუფი ამზადებს ცვლილებათა პროექტს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში და გადასცემს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, რომელიც ერთი კვირის ვადაში ამზადებს დასკვნას და პროექტს, დასკვნასთან ერთად წარუდგენს რექტორს. რექტორი ბრძანებით ამტკიცებს ცვლილებებს.
31.62. გადაწყვეტილებას მოქმედი სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების შეწყვეტაზე იღებს საერთო კრება:

ა) რექტორის წინადადების განხილვის საფუძველზე - თუ კურსდამთავრებულ მსმენელთა ან/და მათ დამსაქმებელთა გამოკითხვით დგინდება პროგრამის შეუსაბამობა შრომის ბაზრის, კურსდამთავრებული მსმენელების, დამსაქმებლების საჭიროებებთან;
ბ) რექტორის წინადადების განხილვის საფუძველზე - თუ პროგრამის განხორციელების გაგრძელება ფინანსურად არაა მომგებიანი.
31.63. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმების დედნები ინახება მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.
31.64. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი - სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის ერთი ან რამოდენიმე საგნის მასწავლებელი - შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია მოცემული ან მონათესავე საგნის სწავლების, საგნის შესაბამის დარგში სამეცნიერო ან გამოყენებითი კვლევების წარმოების ან ამ დარგში პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება.

თავი XXXII. უნივერსიტეტის მსმენელად მიღების წესი

32.1. გადაწყვეტილებას სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამებით სასწავლებლად მსმენელთა მიღების გამოცხადებაზე იღებს რექტორი. გადაწყვეტილება ფორმდება რექტორის ბრძანების სახით, რომელშიც, მიეთითება მისაღებ მსმენელთა ზღვრული რაოდენობა უნივერსიტეტის რესურსების გათვალისწინებით. ამავე ბრძანებით მტკიცდება განცხადება მსმენელების მიღების შესახებ. განცხადებაში მიეთითება:
ა) სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და საგნების ჩამონათვალი, რომლებსაც იგი მოიცავს;
ბ) სწავლების დაწყებისა და დამთავრების თარიღები;
გ) სწავლების ფორმა;
გ) მსმენელად მიღების წინაპირობა;
დ) სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სასწავლებლად მისაღებად წარმოსადგენი საბუთების ჩამონათვალი, მათი წარმოდგენის ვადები და ფორმა, საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
ე) ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელზეც უნდა გამოიგზავნოს საბუთების ელექტრონული ასლები.
32.2. რექტორის ამ თავის 32.1 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების პროექტს ამზადებს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური ბრძანების გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური აქვეყნებს შესაბამის განცხადებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ვაკანსიების საძიებელ იმ პორტალზე, რომელიც მითითებულია ბრძანებაში.
32.3. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელად მიღების წინაპირობები შეიძლება იყოს პოტენციური მსმენელის ასაკი, საქმიანობის დარგი/სფერო, კვალიფიკაცია, პროფესია, გამოცდილება, პრაქტიკული უნარები.
32.4. საბუთების წარმოდგენა დასაშვებია მატერიალური ან/და ელექტრონული ასლების სახით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
32.5. ამ თავით გათვალისწინებული საბუთები მატერიალური სახით სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის მსურველმა უნდა წარუდგინოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უშუალოდ ან საფოსტო გზავნილით. ნაბეჭდ საბუთებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს ერთი CD დისკი, რომელზეც ჩაწერილი უნდა იყოს ყველა წარმოდგენილი საბუთის ელექტრონული ასლი .pdf ფორმატში.
32.6. თუ გათვალისწინებულია საბუთების წარმოდგენა ელექტრონულად, განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე ელექტრონული ფოსტით უნდა გაიგზავნოს .pdf

ფორმატის ერთი ფაილი, რომელიც მოიცავს ყველა წარმოსადგენი საბუთის ელექტრონულ (დასკანერებულ) ასლს.
32.7. საბუთების წარმოდგენის ვადის ამოწურვიდან ერთი კვირის ვადაში სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური ამოწმებს წარმოდგენილი საბუთებისა და საბუთების წარმომდგენის შესაბამისობას განცხადების პირობებთან, ადგენს იმ პირთა სიას, რომლებიც აკმაყოფილებენ წაყენებულ მოთხოვნებს და ამ სიის წევრებს სატელეფონო შეტყობინებითა და ელექტრონული ფოსტით იწვევს უნივერსიტეტში სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლება-სწავლის ხელშეკრულების გასაფორმებლად.
32.8. თუ მისაღები ადგილები შეზღუდულია, სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური ხელშეკრულების გასაფორმებლად იწვევს იმ პირებს, რომლებმაც სხვებზე ადრე წარმოადგინეს საბუთები.
32.9. პირი, რომელიც მოწვეულია სასერტიფიკატო პროგრამით სწავლება-სწავლის ხელშეკრულების გასაფორმებლად, უნდა გამოცხადდეს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურში მოწვევისას დათქმულ ვადაში, წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ამ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირი კარგავს სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელად ჩარიცხვის უფლებას.
32.10. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლება-სწავლის ხელშეკრულებების პროექტებს ამზადებს იურისტი,ხელშეკრულება დგება ორ პირად, რომელთაგან ერთი ეძლევა მსმენელს, მეორე კი რჩება უნივერსიტეტში და ინახება მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.
32.11. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლება-სწავლის ხელშეკრულებებს უნივერსიტეტის სახელით ხელს აწერს რექტორი. ხელშეკრულებას ხელს აწერს მსმენელად ჩასარიცხი პირი, ხოლო თუ იგი არასრულწლოვანია, ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელიც, რომელმაც მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში უნდა წარმოადგინოს მისი კანონიერ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი.
32.12. პირები, რომლებთანაც გაფორმდა სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლება-სწავლის ხელშეკრულებები, უნივერსიტეტის სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელებად ჩაირიცხებიან რექტორის ბრძანებით.
32.13. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლება-სწავლის ხელშეკრულებების გასაფორმებლად დათქმული ვადის ამოწურვის მომდევნო სამუშაო დღეს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ადგენს რექტორის ბრძანების პროექტს სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელებად იმ პირთა ჩარიცხვაზე, რომლებთანაც გაფორმდა სწავლება-სწავლის ხელშეკრულება და წარუდგენს რექტორს.
32.14. რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელების ჩარიცხვის შესახებ მისთვის ბრძანების პროექტის წარდგენის ან მომდევნო სამუშაო დღეს.
32.15. რექტორის ამ თავის 32.14 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემისთანავე მის დამოწმებულ ასლებს იურიდიული და საქმისწარმოების სამსახური გადასცემს ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურს და სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს.

თავი XXXIII. უნივერსიტეტის მსმენელთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

33.1. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის პერიოდში უნივერსიტეტის მსმენელი ვალდებულია, დაიცვას ამ დებულებისა და სტუდენტთა ეთიკის კოდექსის ნორმები.

33.2. მსმენელის მხრიდან ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ქცევის წესების დარღვევა არის მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი.
33.3. ქცევის წესების ამ სტუდენტთა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში მსმენელის მიმართ დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს სტუდენტთა სადისციპლინო კომისია.
33.4. თუ სტუდენტთა სადისციპლინო კომისია დაადგენს მსმენელის მიერ ქცევის წესების რომელიმე დარღვევის ფაქტს, მსმენელი გაირიცხება უნივერსიტეტიდან რექტორის ბრძანებით.
33.5. თუ მსმენელის რომელიმე ქმედებით, რომელიც დისციპლინური წარმოების საფუძველი გახდა, უნივერსიტეტს მიადგება ფულადი ან მატერიალური ზიანი, მსმენელი ვალდებულია, აანაზღაუროს ეს ზიანი. ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მსმენელს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან.
33.6. მსმენელს შეუწყდება სტატუსი რექტორის ბრძანებით:
ა) იმ სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების დასრულებისას, რომლის მსმენელადაც იგი ირიცხებოდა;
ბ) სწავლების დასრულებამდე, საკუთარი განცხადების საფუძველზე;
გ) სწავლების დასრულებამდე, თუ სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის რომელიმე საგანში გაცდენილ მეცადინეობათა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგნის სასწავლო ცხრილით გათვალისწინებული მეცადინეობების საათების რაოდენობის ნახევარს;
დ) ისეთი სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომელიც მსმენელის მიერ სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით დაწყებული სწავლების დასრულებამდე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას გამორიცხავს;
ე) მსმენელის გარდაცვალების შემთხვევაში;
ვ) საზოგადოების ლიკვიდაციის წარმოების დაწყების შემთხვევაში;
ზ) ამ თავის 33.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
33.7. რექტორის ბრძანება მსმენელის უნივერსიტეტიდან გარიცხვის შესახებ გამოიცემა გარიცხვის საფუძვლის წარმოშობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. ბრძანების პროექტს ამზადებს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. ბრძანების გამოცემისთანავე იურიდიული და საქმისწარმოების სამსახური მის დამოწმებულ ასლებს გადასცემს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურსა და ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხეობის სამსახურს.
33.8. თუ მსმენელს სტატუსი შეუწყდება ამ თავის 33.6. პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძვლით, მას უფლება აქვს, 2 თვის განმავლობაში განცხადებით მიმართოს რექტორს მეცადინეობათა გაცდენების მიზეზის საპატიოდ ჩათვლის თხოვნით. განცხადებასა და თანდართულ საბუთებს განიხილავს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური.
33.9. გაცდენების საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს - გაცდენის დღეებში მსმენელის სამუშაო ადგილზე, ან გადაუდებელ სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნის აუცილებლობა.
33.10. თუ სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური გაცდენების მიზეზს საპატიოდ ჩათვლის, სტატუსშეწყვეტილ მსმენელს, რექტორის ბრძანებით, უფლება მიეცემა, მომავალში ისწავლოს იგივე სასერტიფიკატო პროგრამით სწავლის საფასურის თავიდან გადახდის გარეშე.
33.11. რექტორის ამ თავის 33.10. პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება გამოიცემა სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური მერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. ბრძანების პროექტს ამზადებს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური. ბრძანების გამოცემისთანავე იურიდიული და საქმისწარმოების სამსახური მის დამოწმებულ ასლებს გადასცემს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურსა და ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხეობის სამსახურს.

თავი XXXIV. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების საფასური და მისი გადახდის წესი

34.1. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის საფასური არის თანხა, რომელიც უნდა აუნაზღაურდეს საზოგადოებას მოცემული სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის ერთი სრული ციკლის მანძილზე ერთი მსმენელის სწავლებისათვის.
34.2. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლის საფასურს განსაზღვრავს საერთო კრება რექტორის მიერ წარდგენილი ფინანსური ეფექტურობის გაანგარიშების საფუძველზე.
34.3. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური ეფექტურობის გაანგარიშება წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში ერთი 15 მსმენელიანი ჯგუფის სწავლებაზე გასაწევი ხარჯებისა და მოსალოდნელი შემოსავლების ბალანსს.
34.4. რექტორი წარუდგენს საერთო კრებას პროგრამის ფინანსური გაანგარიშების 2 ვარიანტს: ერთს ნულოვანი და მეორეს - 100%-იანი მოგებით.
34.5. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური ეფექტურობის გაანგარიშებას ერთობლივად ამზადებენ სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური და ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახური.
34.6. მიღება სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ საერთო კრების მიერ ამ პროგრამით სწავლების საფასურის განსაზღვრის შემდეგ.
34.7. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების საფასურის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ ამ პროგრამით სასწავლებლად მსმენელთა მიღების გამოცხადებამდე და ამ პროგრამით სწავლების მიმდინარე ციკლის დასრულების შემდეგ.
34.8. სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების საფასურს იხდის მსმენელი ან მესამე პირი საზოგადოების საბანკო ანგარიშზე შესაბამისი თანხის ერთჯერადი ჩარიცხვის/გადარიცხვის გზით სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება-სწავლის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რექტორის ბრძანების გამოცემამდე პირის სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელად ჩარიცხვაზე.
34.9. უნივერსიტეტიდან სწავლების ციკლის დასრულებამდე სტატუსშეწყვეტილ მხმენელს სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების გადახდილი საფასური არ უბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გარიცხვის საფუძველია ამ დებულების 33.6. პუნქტის „ე“ ან „ვ“ ქვეპუნქტი.
34.10. თუ მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია დებულების 33.6. პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების გადახდილი საფასური ბრძანების გამოცემიდან 10 დღის ვადაში უბრუნდება მსმენელის ოჯახის ერთ-ერთ წევრს, როცა სწავლების საფასური გადახდილია მსმენელის მიერ ან, სხვა შემთხვევაში, იმ პირს, რომელმაც გადაიხადა სწავლების საფასური.
34.11. თუ მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია დებულების 33.6. პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, პირი, რომელმაც გადაიხადა სწავლების საფასური, ხდება უნივერსიტეტის კრედიტორი წესდებით დადგენილი წესით.

თავი XXXV. დებულების და მისი ცვლილებების დამტკიცებისა და ძალაში შესვლის წესი

35.1. ამ დებულებას და მის ცვლილებებს ამტკიცებს შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ რექტორი.

35.2. დებულება და მისი ყველა ცვლილება ძალაში შედის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შემდეგ, გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს, ან იმ რიცხვიდან, რომელიც მითითებულია აკადემიური საბჭოს იმ სხდომის გადაწყვეტილებაში, რომელმაც დაამტკიცა დებულება/მისი ცვლილება.

35.3. თუ მოქმედ კანონმდებლობაში, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის წესდებაში ან/და შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილებები წარმოშობს ამ დებულებაში ცვლილებების ან დამატებების შეტანის საჭიროებას, რექტორი ვალდებულია, გონივრულ ვადაში მოამზადოს და წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილებების ან დამატებების პროექტი. თუ ასეთი ცვლილებები/დამატებები დებულებაში შეტანილი არ იქნა, შესაბამისი ურთიერთობები მოწესრიგდება მოქმედი კანონმდებლობის, საზოგადოების წესდების ან/და შინაგანაწესის ნორმებით.

35.4. თუ ამ დებულების ნორმები წინააღმდეგობაშია კანონმდებლობასთან, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის წესდებასთან ან/და შინაგანაწესთან, მოქმედებს კანონმდებლობის, წესდების ან/და შინაგანაწესის ნორმები.